


ՃՈՐՉ ԿԻՈՅՆԱԹՅԻՆ

հոսանքերից Երգեր



ჭილუ ჭრიშნაპურტი

„ჩანანერების წიგნი“

შასავალი

1961 წლის ივნისში, კრიშნამურტმა დაიწყო ჩანანერების გაკეთება საკუთარი შეგრძნებებისა და ცნობიერების მდგომარეობის შესახებ. ეს ჩანანერები გრძელდებოდა სრულ შვიდ თვეს, დაახლოებით ორი კვირის გამოკლებით. ის წერდა გარკვევით, ფანქრით, პრაქტიკულად შესწორების გარეშე. ხელნაწერის პირველი სამოცდაჩვიდმეტი გვერდი ჩანერილია პატარა წიგნაკში, დანარჩენი (სულ 323 გვ.) კი ჩანერილია დიდი ზომის წიგნაკში. ჩანანერი იწყება და წყდება მოულოდნელად. თვითონ კრიშნამურტი ვერ ხსნის, რამ აიძულა იგი დაეწყო ღლიურების წერა. მას არც მანამდე და არც მერე ამგვარი ჩანანერები არ გაუკეთებია.

ხელნაწერმა გაიარა უმცირესი რედაქცირება. გასწორებული იყო ორთოგრაფიული შეცდომები, უფრო მეტი გარკვეულობისათვის, დამატებულია სხვადასხვა სასვენი ნიშანი, შემოტანილია მთლიანობაში ზოგიერთი შემოკლება. როგორც ნიშანი & რომელსაც ის უცვლელად იყენებდა. დამატებულია სხვადასხვა აღნიშვნები, არც ისე მრავლის – მომცველი ჩანართები კვადრატულ ფრჩხილებში. დანარჩენ შემთხვევებში ხელნაწერი წარმოდგენილია ისე, როგორც ის იყო დაწერილი.

უნდა განვმარტოთ მისი ტერმინი – „პროცესი“ რომელსაც ის მუდმივად იყენებს. 1922 წ. 28 წლის ასაკში კრიშნამურტმა განიცადა სულიერი მღელვარება, რომელმაც შეცვალა მისი ცხოვრება, ამას მოყვა ძალიან რთული წლები, თითქმის მუდმივი ტკივილით თავისა და ხერხემლის არეში. ხელნაწერი აჩვენებს, რომ „პროცესი“, ასე ეძახდა ის ამ ამოუცნობ ტკივილს,

გრძელდებოდა თითქმის ორმოცი წლის მანძილზე, თუმცა ბევრად მსუბუქ ფორმაში.

„პროცესი“ იყო ფიზიკური ფენომენი და არ ღირს მისი არევა მისი ცნობიერების მდგომარეობასთან, რომელზეც კრიშნამურტი საუბრობს თავის ჩანაწერებში, და მოიხსენიებს როგორც „კურთხევა“ „სხვა“ „უსაზღვრობა“.

ის არასდროს იყენებდა ტვილივამაყუჩებლებს ამ ტვილის გასაქარვებლად და ამ „პროცესზე“ ზემოქმედებისთვის.

ის არასდროს იყენებდა ალკოჰოლს ან რაიმე ტიპის ნარკოტიკს. ის არასდროს ეწეოდა, ბოლო ოცდაათი წელი არ სვამდა არც ჩაის ან ყავას. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრება იყო ვეგეტარიანელი, მაინც დიდ ყურადღებას აქცევდა დაბალანსებულ და სრულფასოვან კვებას. ასპეტივში, მისი აზრით, ისევე დამანგრეველია რელიგიური ცხოვრებისთვის, როგორც ზედმეცობა. ის ფაქტიურად ზრუნავდა „სხეულზე“, (ყოველთვის ავლებდა ხაზს სხეულსა და ეგოს შორის) როგორც მხედარი ზრუნავს თავის ცხენზე. ის არასდროს შეუწუხებია ეპილეფსიას ან რაიმე სხვა ტიპის ფიზიკურ დაავადებას, რომელიც იწვევს მოჩვენებებს ან რაიმე სხვა სახის სულიერ ფენომენებს; ის არასდროს იყენებდა მედიტაციის რაიმე „სისტემას“. ამ ყველაფერს იმიტომ ვამბობთ, რომ მკითხველს არ შეეცმნას ისეთი წარმოდგენა, რომ თითქოს ეს როდესმე გამონვეული იყო – ნარკოტიკებით ან შიმშილობით.

ამ უნიკალურ ჩანაწერებში ჩვენ გვაქვს ის, რასაც შეგვიძლია უწოდოთ სანყისი, კრიშნამურტის სწავლების სათავე. აქ არის მთელი არსი მისი სწავლების, გამომდინარე მისი ბუნებრივი სანყისიდან. ისევე როგორც

ის თავად წერს ამ ფურცელზე: „ყოველ ჯერზე ამ კურთხევაში არის რაღაც ახალი, ახალი თვისება, ახალი არომატი, და მაინც ის უცვლელია“. ამიტომ, მისგან გამომდინარე სწავლება, არასდროსაა ბუსტად ანალოგიური, თუმცა ხშირად მეორდება, ისე როგორც, ხეები, მთები და მდინარეები, ღრუბლები და მზის სინათლე, ჩიტები და ყვავილები, რომელთაც ის ისევ და ისევ აღწერს, მუდმივად „ახალია“. მათ ხომ თვალი მუდამ ხედავს, თუმცა ისინი არასდროს გამხდარან ჩვეულებრივი; ყოველ დღე ისინი მას უტოვებენ სრულიად ახალ მოგონებებს, და ასეთივე ხდებიან ისინი ჩვენთვისაც.

18 ივნისს 1961 წ. იმ დღეს, როდესაც კრიშნამურტმა დაიწყო ჩანაწერების გაკეთება, ის ნიუ-იორკში, თავის მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა დასავლეთით 87-ე ქუჩაზე. ის ნიუ-იორკში 14 ივნისს ლონდონიდან ჩატურინდა, სადაც ექვსი კვირა გაატარა და ქონდა თორმეტი საუბარი. ლონდონში გამგზავრებამდე ის იყო რომში და ფლორენციაში, მანამდე პირველი სამი თვე იმყოფებოდა ინდოეთში, სადაც ქონდა შეხვედრები ნიუ-დელსა და ბომბეში.

მერი ლაგენსი

წიგნის მთარგმნელი: ნონა ხიდეშელი

ნაწილი პირველი

ოჰაიო, კალიფორნია. 19616.

18 ივნისი. (1961. ნიუ-იორკი)

სალამოს ის აქ იყო: ის უცებ მოვიდა, აავსო ოთახი, მშვენიერების, ძალისა და სინაგიტის უდიადესი შეგრძნებით. ის სხვებმაც შენიშნეს.

19 ივნისი.

მთელი ღამე, როცა არ უნდა გამღვიძებოდა, ის აქ იყო. მთელი გზა თავი მტკიოდა თვითმფრინავში (მიფრინავდა ლოს-ანჯელესში). გვინის განმენდა აუცილებელია. გვინი ყველა შეგრძნების ცენტრია, რაც უფრო ცოცხალი და მსუბუქია შეგრძნებები, მით უფრო სალი და მოქნილია გვინი. გვინი ესაა- ცენტრი მოგონებების, წარსულის. ის აგროვებს გამოცდილებასა და ცოდნას, გრადიციებს. ამიტომაც ლიმიტირებულია, განპირობებულია. მისი ქმედებები დაგვეძლია, მოფიქრებული, დაფუძნებული რაღაცაზე. მაგრამ ის ფუნქციონირებს მხოლოდ გარკვეულ საზღვრებში, დროსა და სივრცეში. ამიტომაც არ შეუძლია გაიგოს ის, რაც არის საერთო, ერთიანობა, მთლიანობა.

მთლიანი, სავსე არის გონება, ის ცარიელია, აბსოლუტურად ცარიელი და ამ სიცარიელის წყალობით გვინი არსებობს დროის სივრცეში. მხოლოდ მაშინ, როდესაც გვინი გაიწმინდება განპირობებულობისაგან, სიხარბისგან, შურისგან, პატივმოყვარეობისგან,

მხოლოდ მაშინ შეუძლია გვინს გაიგოს, ის, რაც არის სისავსე, სიყვარული სწორედ სისავსეა.

20 ივნისი.

ავტომობილში ეს კვლავ დაიწყო (გზად ოჰაიოსკენ). წნევა და განცდა უსასრულო სივრცის. შეუძლებელი იყო მისი განცდა ის უბრალოდ არსებობდა. არ იყო ცენტრი, საიდანაც და სადაც ხდებოდა მისი განცდა. ყველაფერი, ავტომობილი, ხალხი, სარეკლამო აბრები იყო საოცრად ნათელი, ფერები იყო მტკივნეულად ინტენსიური. ეს გრძელდებოდა დაახლოებით ერთ საათს, თავი ძალიან მტკიოდა, ტკივილი მთელს თავს განმსჭვალავდა.

გვინს შეუძლია და სჭირდება განვითარება, მისი განვითარება ყოველთვის იქნება გამომდინარე მიზმიდან, რეაქციებიდან, ძალადობიდან არაძალადობამდე და ასე შემდეგ. გვინი განვითარდა პრიმიტიული მდგომარეობიდან, და მიუხედავად მისი დახვეწილობისა, გონიერებისა ან ტექნიკურობისა, ის მაინც დარჩება ღროის სივრცის საზღვრებში.

ანონიმურობა ნიშნავს თვინიერებას (შეგუებულობას), ის არ მდგომარეობს სახელის ან განსაცმლის ცვლილებაში ან რამე ისეთთან რაც იდენტიფიცირებულია ანონიმურობასთან, მაგალითად იდეალი, გმირობის აქტი, ქვეყანა და ა.შ. ასეთი ანონიმურობა არის გონების აქტი, ცნობიერი ანონიმურობა. არსებობს ანონიმურობა რომელიც მოდის ერთიანობის გაცნობიერებიდან. ერთიანობა არასოდესაა დამოკიდებული გვინის შინაგან ველზე ან იდეაზე.

21 ივნისი

დაახლოებით 2 საათზე გავიღვიძე, საოცარ წნევას ვგრძნობდი, გამჭოლი ტკივილი იყო, უფრო მეტად თავის ცენტრალურ ნაწილში. ეს დაახლოებით ერთ საათს გრძელდებოდა, და რამოდენიმეჯერ გამეღვიძა წნევის ინტენსივობისგან. ყოველ ჯერზე იყო დიდი ექსტაზი. ეს სიხარული გრძელდებოდა. – როდესაც დანგისტის სავარძელში ვიჯექი, წნევა კვლავ განახლდა. გვინი საოცრად მშვიდი ვახდა, მთრთოლვარე, სრულიად გაცოცხლებული, ყოველი შეგრძნება იყო ცოცხალი. თვალები ხედავდნენ ფუტკარს თანჯარაზე, ჩიტებსა და შორეულ იისფერ მთებს. თვალები ხედავდნენ, მაგრამ გვინი არ ათეიქსირებდა ამას. და განა უბრალოდ არ ათეიქსირებდა, არამედ შესაძლებელი იყო გვინის ვიბრაციის შეგრძნება, რაღაც საოცრად ცოცხალი იყო, ვიბრირებდა, წნევა და ტკივილი იყო იმდენად დიდი, რომ სხეული მთვლემარე მდგომარეობაში ჩაიძირა.

თვითკრიტიკული აზროვნება სასიცოცხლოდ აუცილებელია. წარმოსახვები და ილუზია ხელს უშლის სუფთა დაკვირვებას. ილუზია მუდამ იარსებებს სანამ არსებობს სურვილი გაიხანგრძლივო სიამოვნება და თავიდან აიცილო ტკივილი, ანუ მოთხოვნილება გააგრძელო ან გაისხნო ის მოგონებები, რაც მიღებული გაქვს და გაექცე ტკივილსა და ტანჯვას. ერთიც და მეორეც ილუზიას წარმოშობს. იმისათვის, რომ საბოლოოდ გათავისუფლდე ილუზიისგან, აუცილებელია გაიგო რა არის სიამოვნება და წუხილი, ყოველგვარი კონტროლისა და სუბლიმაციის, იდენტიფიკაციისა და უარყოფის გარეშე.

მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი სწორი დაკვირვება, როდესაც გვინი მშვიდია. და შესაძლებელია თუ არა ოდესმე გვინი ღამშვიდდეს? ეს მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ იგი იქნება ძალიან სენსიტიური,

დაინახოს ნეგატივი, მისი გამრუდების გარეშე. დღის მეორე ნახევარში წნევა გრძელდებოდა.

22 ივნისი.

შუალამეს გამეღვიძა, საოცრად დიდი განცდა მქონდა გონების უსასრულოდ გაფართოებული მდგომარეობის, თვით გონება იყო ეს მდგომარეობა. „შეგრძნება“ ამ მდგომარეობის განძარცველი იყო ყოველგვარი სენტიმენტებისა და ემოციებისგან, იყო ძალიან ფაქტიური, ძალიან რეალური. ეს მდგომარეობა საკმაოდ დიდ ხანს გაგრძელდა. ამ დილით ეს ტვიფილი და წნევა ძალიან მწვავე იყო.

დანგრევა სასიცოცხლოდ აუცილებელია. არა, საგნებისა და შინობების, არამედ ყველა ფსიქოლოგიური მიბმისა და დამცავი მექანიზმების, ღმერთების, რწმენის, სასულიერო პირებზე დამოკიდებულების, განცდების, ცოდნის და ა.შ. ამ ყველაფრის დანგრევის გარეშე არ იქნება კრეატიულობა. შემოქმედებითობა მხოლოდ თავისუფლებაში მოდის, სხვა თქვენს მაგივრად ამას ვერ დაანგრევს, თქვენ თავად უნდა უარყოთ და დაანგრიოთ ეს თვითშემქმედებელი ცნობიერებით.

რევოლუციას – სოციალურს თუ ეკონომიკურს, იქნება ეს მასშტაბური თუ ვიწრო საზღვრებში, შეუძლია შეცვალოს მხოლოდ გარეგანი ყოფა და მდგომარეობა, თუმცა ეს მუდამ იქნება შეზღუდული ფიქრის არეალში. სრული რევოლუციისთვის, გვინმა აბსოლუტურად უნდა მოიშოროს მთელი თავისი შინაგანი, ფარული მექანიზმი ავტორიტეტების, შურის, შიშის და ა. შ.

ძალა და მშენიერება სათუთი ფოთლის, მდგომარეობს სწორედ განადგურებისგან მის დაუცველობაში, როგორც ტროტუარზე ამოსული ბალახის ღერო, რომელიც ფლობს ძალას წინ აღუდგეს შემთხვევით სიკვდილს.

23 ივნისი

შემოქმედება, არასოდესაა პიროვნების ხელში. ის სრულიად ქრება, როდესაც ინდივიდუალურობა, მთელი თავისი უნარებით, გალანგით, გექნივით ხდება დომინანტი. შემოქმედება არის მთლიანის შეუცნობელი არსის მოძრაობა. მისი გამოხატვა ნაწილობრივ შეუძლებელია.

სწორედ მაშინ, როდესაც ვწვებოდი სანოლში, ეს სისრულე მოვიდა, მან აავსო სახლი, ის არა მარტო ოთახს ავსებდა, არამედ, თითქოს მთელს ჰორიზონტს მოიცავდა. ეს იყო დალოცვა.

წნევა, თავისი სპეციფიკური გვივით, მთელი დილა აქ იყო და გაგრძელდა თითქმის მეორე დღის შუადღემდე. ვიჯექი დანტისტის სავარძელში და ვიყურებოდი ფანჯრიდან, ვხედავდი სატელევიზიო ანტენებს და სატელეფონო ძელს მენამულ მთაზე. ვუყურებდი არა მარტო თვალებით, არამედ მთელი თავით, თითქოს თავის უკანა მხარით, მთელი ჩემი არსებით. ეს იყო უცნაური განცდა. არ იყო ცენტრი, საიდანაც შეიძლებოდა მომხდარიყო დაკვირვება. ფერები, მშენიერება და მთების კონტურები იყო ინტენსიური.

ფიქრის ყოველი ხვეული უნდა იყოს გაგებულ, რომ მთელი ფიქრი არის რეაქცია და ნებისმიერი ქმედება მისგან გამოდინარე, მხოლოდ გაზრდის არეულობას და კონფლიქტს.

24 ივნისი

წნევა და ტკივილი გუშინ მთელი დღე არ მომშორებია; ეს ყველაფერი უკვე ძალიან რთული და მგკივნეული ხდება. როდესაც მარტო ვრჩები, ეს იწყება. არც სურვილია მისი აქ ყოფნის და არც იმედგაცრუება თუ იგი წავა. ეს უბრალოდ აქა- გინდა თუ არა. ეს ყოველგვარი ფიქრისა და მიზეზების მიღმაა.

აკეთო რამე მხოლოდ კეთებისთვის, როგორც ჩანს ძალიან რთულია, და ამავე დროს არასასურველი. სოციალური თვსეულობები დაფუძნებულია რაიმეს კეთებაზე, რაღაცის გამო. ამას კი მიყავხარ უნაყოფო არსებობამდე, ისეთ ცხოვრებამდე, რომელის არასოდესაა სრული, მთლიანი, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი დამანგრეველი უკმაყოფილების.

იყო კმაყოფილი სიმახინჯეა, მაგრამ დაუკმაყოფილებლობა შობს სიძულვილს. იყო კეთილის მოქმედი მხოლოდ იმიტომ, რომ, დაიმსახურო სასუფეველი ან მიიღო აღიარება პატივცემული ადამიანებისგან, საზოგადოებისგან, ნიშნავს გადააქციო ცხოვრება უნაყოფო მინდვრად, რომელსაც მუდმივად ხნავენ, მაგრამ არასოდეს არაფერს თესავენ. ქმედება, როდესაც რაღაც კეთდება რაღაცის გულისთვის, თავისი არსით, არის განზრახ გაქცევა საკუთარი თავისგან, იმისგან, რაც არის.

თუ არ განიცადე არსი, არ იარსებებს მშვენიერება. სილამაზე არ არის გარეგნულ საგნებში ან შინაგან თეძრებში, გრძნობებსა და იდეებში. მშვენიერება არსებობს მხოლოდ და მხოლოდ გრძნობისა და თეძრის მიღმა. სწორედ ეს არსია მშვენიერება. მაგრამ ასეთ სილამაზეს არათფერი აქვს ისეთი რაც მას ეწინააღმდეგება.

წნევა გრძელდებოდა, განსაკუთრებით თავის არეში ვგრძნობ დანოლას და ეს მტკივნეულია

25 ივნისი

შუალამისას გამეღვიძა და აღმოვაჩინე რომ სხეული სრულიად მშვიდია, ხერხემალი გაჭიმული, უძოძრაოდ; ასეთი მდგომარეობა როგორც ჩანს რაღაც დროის მანძილზე შენარჩუნდა. ტკივილი და წნევა ისევ იყო. ტვინი და გონება ინტენსიურად მშვიდი. მათ შორის არ იყო არავითარი დაყოფა. იყო საოცრად მშვიდი ინტენსივობა, თითქოს ორი უზარმაზარი დინამო მუშაობდა მთელი სიჩქარით. ეს იყო განსაკუთრებული ენერჯია, სადაც არ იყო დაძახულობა. მთლიანად იყო შეგრძნება სივრცის, იყო ძალა ყოველგვარი მიმართულებისა და მიზნის გარეშე, ამიტომ არ იყო არავითარი სისასტიკე და შეუბრალებლობა. ეს დილასაც გრძელდებოდა.

დაახლოებით ბოლო წლის განმავლობაში ისე ხდებოდა, რომ მეღვიძებოდა და ყველაფერს იმას, რაც ხდებოდა ძილის დროს, განვიცდიდი ფხიზელ მდგომარეობაში, ყოფიერების განსაკუთრებული მდგომარეობა. გეღვიძება თითქოს მხოლოდ იმიტომ, რომ ტვინმა მოახდინოს ყველაფერის რეგისტრაცია. საკვირველია, რომ განსაკუთრე-

ბული შეგრძნება სწრაფად გაქრა. ტვინმა არათფერი არ ჩაიწერა მესხიერების სახით.

არის მხოლოდ წგრევა და არაფითარი ცვლილება. იმიტომ, რომ ყოველგვარი ცვლილება მოდიფიცირებული გაგრძელებაა იმის, რაც იყო. ყველა სოციალური, ეკონომიკური რევოლუცია არის რეაქცია, მოდიფიცირებული გაგრძელება იმის რაც იყო. ასეთი ცვლილება არანაირად არ აწგრევეს, ეგოცენტრული ქმედების ფესვებს.

სიტყვა განადგურებას, რა მნიშვნელობითაც ჩვენ ვიყენებთ; არ აქვს მიზანი, ეს არ არის შედეგზე ორიენტირებული ქმედება. შურის განადგურება – არის ტოტალური და სრული, ის გულისხმობს თავისუფლებას გავლენისგან, კონტროლისგან, და თავისუფალია ყოველგვარი მოტივისგან.

ტოტალური განადგურება შესაძლებელია, თუ დავინახავთ შურის მოთვლს სტრუქტურას. ამის დანახვას არ ჭირდება დროის სივრცე, ეს ხდება უშუალოდ, დაუყოვნებლივ.

26 ივნისი

წნევა და მისგან გამომდინარე დაძაბულობა, ძალიან ძლიერი იყო გუშინ შუადღისას და დღეს დილით. მაგრამ მოხდა რაღაც ცვლილება: წნევა და დაძაბულობა მოდიოდა თავის უკანა მხრიდან, სასიდან ზევით, თავის ზედა ნაწილისკენ. უცნაური ინტენსივობა გრძელდებოდა, საკმარისია დაემშვიდდე ის ინყება.

კონტროლი, ნებისმიერი ფორმით, საზიანოა მთლიანი, გოცალური გაგებისთვის. დისციპლინირებული არსებობა – ესაა დაქვემდებარებული ცხოვრება, კონფორმიზმი, აქ კი არ არსებობს თავისუფლება შიშისგან. ჩვევა ანადგურებს თავისუფლებას. ჩვევა ეს ფიქრია, ჩვევა დალევს და სხვა ტიპის რაიმე ჩვევა, ცხოვრებას ხდის ზედაპირულს და ნაცრისფერს. ორგანიზებული რელიგია, თავისი რწმენით, ღოგმითა და რიტუალით, უარყოფს გონების ფართო სივრცეში თავისუფალ გასვლას. სწორედ ასეთი გასვლა წმინდას გონებას დროის სივრცისგან. განმედილ ტვინს შეუძლია გაუმკლავდეს დროის სივრცეს.

27 ივნისი

ის რაც იყო ილ-ში (ასე ერქვა სახლს ფლორენციასთან ახლოს), აქაც იყო, მოთმინებით, მონყალებით, უდიდესი სინაზით. ის გავდა ელვას ღამის წყვილიადში –, მაგრამ ის აქ იყო, გამეძირავი, ღვთაებრივი ნეტარება.

რალაც უცნაური ხდება ფიზიკურ ორგანიზმში, შეუძლებელია ეს ზუსტად განსაზღვრო, მაგრამ არის რალაც, „ღამატებით“ დაჟინებული, იძულებითი, ეს არ არის არავითარ შემთხვევაში თვითშემოქმედება, წარმოსახვის ნაყოფი. ეს განიცდება სიმშვიდეში, მარტობაში, ხის ქვეშ ან ოთახში, განსაკუთრებით მძაფრად კი როდესაც ვეშაბები დასაძინებლად. ეს ახლაც აქაა, როცა ვწერ; წნევა და დაძაბულობა, ჩვეული ტკივილით

ამ ყველაფრის ფორმულირება ან სიტყვებით გადმოცემა უაზრობაა; ყველაზე ზუსტი სიტყვაც კი, ან ყველაზე ნათელი აღწერილობაც ვერ გადმოსცემს ამ მოვლენას.

ამ ყველაფერში არის უდიდესი და გამოუთქმელი მშვენიერება.

ცხოვრებაში არის მხოლოდ ერთი მოძრაობა, შინაგანი და გარეგანი, ეს მოძრაობა განუყოფელია, თუმცა მას ყოფენ. ამ დაყოფის გამო, უმეტესობა მიყვება გარეგნულ მოძრაობას – ცოდნა, იდეა, რწმენა, ავტორიტეტები, უსათრთხოება, კეთილდღეობა და ა.შ. ამის საპირისპიროდ, ამაზე რეაქციის შედეგად, სხვა მიყვება ეგრეთ წოდებულ შინაგან ცხოვრებას თავისი ხედვებით, იმედებით, მისწრაფებებით, საიდუმლოებებით, კონფლიქტებითა და იმედგაცრუებებით..

რადგანაც ეს მოძრაობა არის რეაქცია, ეწინააღმდეგება და კონფლიქტშია გარეგანთან. ამიტომაც არსებობს წინააღმდეგობა, თავისი ტანჯვით, განგაშითა და გაქცევით.

არის მხოლოდ ერთი მოძრაობა, ის გარეგანიცაა და შინაგანიც. გარეგანის გაგებით, იწყება შინაგანი მოძრაობა, რომელიც არ არის მოძრაობა წინააღმდეგ ან საპირისპიროდ. როცა კონფლიქტი ამონურულია, ტვინი, თუნდაც ყველაზე მგრძობიარე და თხიზელი, ხდება მშვიდი. მხოლოდ მაშინ შეიძლება შინაგანს ქონდეს რაიმე ღირებულება და აზრი.

ამ მოძრაობიდან გამოდის დიდსულოვნება და თანაგრძობა, რაც არ არის პროდუქტი ჭკუის ან მიზანმიმართული თვით-უარყოფის.

28 ივნისი

შუალამეს გამეღვიძა ყვირილითა და კვნესით. წნევა და დაძაბულობა – თავისი სპეციფიკური ტვივით, ინტენსიური იყო. ეს, როგორც ჩანს,

დიდხანს გრძელდებოდა და გაღვიძების შემდეგაც ვაგრძელდა რაღაც ღროის განმავლობაში. ყვირილი და კვნესა ხშირად. ეს კუჭნაწლავის ბრალი არ არის. როდესაც სავარძელში ვიჯექი და დანტისტს ველოდი, ყველაფერი თავიდან დაიწყო და ეხლაც გრძელდება, შუადღის შემდეგ, როცა ამას ვწერ. ეს განსაკუთრებით მარტოობაში შეიმჩნევა, ლამაზ ადგილასაც და ჭუჭყიან ხმაურიან ქუჩაშიც.

რაც წმინდაა, მას ატრიბუტები არ აქვს. ქვა ტაძარში, ხატები ეკლესიაში, სიმბოლო სინძინდე არ არის. ადამიანი ეძახის მას სინძინდეს, წმინდას, თაყვანისცემის ღირსს, გამომდინარე რთული მოთხოვნილებებიდან, შიშისგან და სურვილებისგან. ეს სინძინდეც ფიქრის ველშია, ის ფიქრმა შექმნა და ფიქრში არაფერია ახალი ან წმინდა. ფიქრს შეუძლია შექმნას ჩახლართული სისტემები, დოგმები, სარწმუნოება, ხატი, სიმბოლოები; მისი პროექცია იმაზე წმინდა არაა ვიდრე, სახლის კონტურები ან ახალი თვითმფრინავის პროექტი. ეს ყველაფერი ფიქრის არეალშია, და ამაში არც წმინდა და არც მისტიკური არაფერია. ფიქრი-მაგერიაა, და იგი შეგიძლიათ გადააქციოთ რაღაც გნებავთ, სიმახინჯედ ან სილამაზედ.

მაგრამ არსებობს სინძინდე, მაგრამ ეს არც ფიქრიდანაა და არც ფიქრისგან გამომდინარეობს გრძნობისგან. ის შეუცნობელია ფიქრისგან და ვერ იქნება მის მიერ გამოყენებული. ფიქრს არ შეუძლია მისი გამოხატვა. და მაინც, არსებობს სინძინდე, ფიქრისგან და სიმბოლოებისგან ხელშეუხებელი, ეს არ გადმოიცემა, ეს ფაქტია.

ფაქტი უნდა დაინახო ეს დანახვა არ ხდება სიციყვების მეშვეობით. როცა ხდება ფაქტის ინტერპრეტაცია, ის უკვე ფაქტი აღარაა, ის ხდება რაღაც სხვა. ხედვას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. ხედვა, ღროის- სივრცის

მიღმა. ის წამიერია, უშუალო. და ის, რასაც ჩვენ ვხედავთ, არასოდესაა ერთი და იგივე. არ არსებობს არავითარი – ისევე ან ამასობაში –

ამ სინძინდეს არ ყავს თაყვანისმცემელი, არ ყავს დამკვირვებელი, რომელიც მედიტირებს მასზე. ის ბაზარში არ არის, რომ იყილო ან გაყილო.

როგორც მშვენიერების, მისი დანახვაც შეუძლებელია წინააღმდეგობის ფონზე, ვინაიდან მასში არა არავითარი წინააღმდეგობა.

მისი ყოფნა – აქ, ავსებს ოთახს, იღვრება მთებსა და წყლებზე, მთელს დედამიწას ფარავს.

გასულ ღამეს, და ეს უკვე რამოდენიმეჯერ განვიცადე, სხეული იყო უბრალოდ ორგანიზმი და არათფერი მეტი, რომელიც ფუნქციონირებდა, ცარიელი და მშვიდი.

29 ივნისი

წნევა და დაძაბულობა ძალიან ღრმა ცკვივლით, აქ არის. თითქოს სადღაც შიგნით, სიღრმეში ოპერაცია მიდის. ეს არ ხდება ვილაცის ნებასურვილით, როგორი ნატიფიც არ უნდა იყოს ის. რაღაც ღროის მანძილზე ცნობიერება შევიდა ამ სიღრმეში. შეიძლება განიზრახო ასეთი რამ, შეიქმნა გარეგნული პირობები, განმარტოვდე ან სხვა რამ, სტიმული მისცე თავს და შეხვიდე სადღაც სიღრმეში, მაგრამ ამ ღროს არათფერი არ ხდება. ეს ყველაფერი – არა რის ახალი.

სიყვარული – არ არის მიჯაჭვულობა. მას არ მოაქვს მწუხარება. სიყვარულში არ არის უიმედობა ან იმედი. სიყვარულს ვერ გახდი

რესპექტაბელურს, სოციალური პროგრამის ნაწილს. როდესაც ის არ არის, ყველა უბედურება მაშინ იწყება.

ფლობდღე და ეკუთვნოდღე, სიყვარულის ფორმად ითვლება. ადამიანის ან რაიმე ნივთის ფლობის სურვილი, არ არის განსაზღვრული უბრალოდ საზოგადოებით ან გარემოებებით, მისი ფესვები გაცილებით ღრმაა. ის მარტოობის სიღრმეებიდან მოდის, და ყველა ცდილობს ეს მარტოობა რაიმე გზით შეავსოს, სასმელით, ორგანიზებული რელიგიით, რწმენით, რაიმე საქმიანობით და ა.შ. ეს ყველაფერი გაქცევაა მარტოობიდან, თუმცა ის კვლავ აქ არის.

შეუერთდღე რაიმე ორგანიზაციას, რაიმე სარწმუნოებას ან საქმიანობას, ნიშნავს მათ მფლობელობაში შეხვიდღე – ეს ნეგატიური ფლობაა. პოზიტიურია თუ თვითონ ფლობ. ნეგატიური და პოზიტიური ფლობაა – სიკეთის კეთებაა, სამყაროს შეცვლა და ეგრეთ წოდებული სიყვარული. აკონტროლო და შეცვალო სხვა სიყვარულის სახელით, ნიშნავს ფლობის სურვილს, სურვილს – სხვაში იპოვო თავშესაფარი, უსაფრთხოება, და თანაგრძნობა. მოთხოვნილება, სხვისი საშუალებით, ან რაიმე საქმიანობით საკუთარი თავი დაიფინყო, ბაღებს მიჯაჭვულობას და მიჯაჭვულობას მოაქვს მწუხარება და უიმედობა, რაც იწვევს რეაქციას – განცალკევების. მიჯაჭვულობისა და განცალკევების დაპირისპირებულობა წარმოშობს კონფლიქტსა და იმედგაცრუებას.

არ არსებობს საშუალება, რითიც მარტოობას გაექცევი: მარტოობა – ფაქტია, გაქცევა ფაქტიდან კი იწვევს დაბნეულობასა და მწუხარებას.

საოცარი მდგომარეობაა – არ ფლობდღე არაფერს, არ ფლობდღე იდეასაც კი, არათუ ადამიანს ან ნივთებს. როცა იდეა, ფიქრი ფესვს იდგავს,

ეს უკვე ფლობაა, და იწყება ბრძოლა განთავისუფლებისთვის. და ეს თავისუფლება სულაც არაა თავისუფლება; ეს მხოლოდ რეაქციაა. რეაქცია ფესვს იღვავს და ჩვენი ცხოვრება არის ნიადაგი, სადაც ეს ფესვები იზრდება. გადაჭრა ყველა ფესვის ერთმანეთის მოყოლებით, – ეს ფსიქოლოგიური აბსურდია. ეს შეუძლებელია. საჭიროა დაინახო მხოლოდ ფაქტი და ყველა დანარჩენი თვითონ გაქრება.

30 ივნისი

გუშინ დღის მეორე ნახევარში ცუდად ვიყავი, ძალიან ცუდად, თითქმის აუტანელი იყო; ასე გავრძელდა რამდენიმე საათი. სეირნობისას, ისფერი მთებითა და კლდეებით გარშემორტყმულმა, უეცრად ვიგრძენი საოცარი განმარტოება, სრული განმარტოება. ეს ყველგან იყო; მასში იყო უდიდესი, განუზომელი სიმდიდრე. მასში იყო ფიქრებისა და გრძნობების მიერ ხელშეუხებელი მშვენიერება. ის არ იყო უმოძრაო, ის ცოცხალი იყო, მოძრავი, ავსებდა ყოველ კუთხე-კუნჭულს. ჩამავალი მზის სხივები კაშკაშებდა მაღალი კლდეების მწვერვალებზე, და ეს შუქი და ფერები ავსებდა ზეცას განმარტოებით.

ეს იყო განუმეორებელი მარტოობა, არა იზოლაცია, არამედ მარტოობა, მსგავსად წვიმის წვეთისა, რომელიც თავის თავში, დედამიწის მთელს წყლებს მოიცავს, ის არ იყო სასიხარულო ან სამწუხარო, უბრალოდ თავისთავადი იყო. მას არ ქონდა თვისება, ფორმა ან ფერი; ეს მას გახდიდა შეცნობილს, საზღვრულს. ის ელვასავით გამოჩნდა და სიცოცხლე შეიძინა. ის არ იზრდებოდა, არ ვითარდებოდა, არამედ მთელი თავისი სისავსით იმყოფებოდა. მას არ ქონდა დრო სიმწიფისთვის, დროს

ფესვები წარსულში აქვს. ეს იყო მდგომარეობა ფესვებისა და მიზნის გარეშე. ის ცოცხალურად „ახალია“, ეს არც იყო და არც იქნება, იმიტომ, რომ ის ცოცხალია.

იზოლაცია ნაცნობია, როგორც მარტობა; მას ვიცნობთ, რადგანაც ხშირად განვიცდით, რეალურად თუ წარმოსახვით. ეს ბაღებს თავისებურ თვით-კმაყოფილ უგულვებელყოფას და შიშს, აქედან წარმოსდგება ცინიზმი და ღმერთები. მაგრამ თვით-იზოლაციას და მარტობას არ მიყავსარ განმარტობისკენ. ეს უნდა დაასრულო, არა იმ მიზნით რომ რამეს მიაღწიო, ის ისევე ბუნებრივად უნდა მოკვდეს, როგორც ჭკნება ლამაზი ყვავილი. წინააღმდეგობა შობს შიშს, ისევე როგორც მიღება. ტვინმა სრულად უნდა გაასუფთაოს თავისი თავი ყოველგვარი წარმოსახვებისა და მოხერხებულობისგან.

სრულიად სხვაა – უსაზღვრო განმარტობა, მას არავითარი საერთო არ აქვს ამ დამახინჯებულ და გამრუდებულ ცნობიერებასთან, დაბინძურებულს ეგოს ქმედებებით. ამ განმარტობაში ხდება ყოველგვარი შემოქმედება, შემოქმედება ანადგურებს, ამიტომ ის მუდამ უცნობია.

გუშინ მთელს საღამოს იყო ეს განმარტობა, ეხლაც აქაა, და როდესაც გამეღვიძა ღამით, მაშინაც აქ იყო.

წნევა და დაძახულობა გრძელდება, მზარდი თუ მცირე ტალღებით. დღეს, დღის მეორე ნახევარში, ეს საკმაოდ მძიმეა.

1 ივლისი

თითქოს ყველაფერი გაჩერდა. არავითარი მოძრაობა, ძვრა, აბსოლუტური სიცარიელე ყველა ფიქრის, ყოველგვარი ხედვის. არ არის ინტერპრეტატორი, ვინც ინტერპრეტაციას გაუკეთებს, დააკვირდება, ან ცენზურაში გაატარებს. უკიდევანო სივრცე, რომელიც სრულიად ჩუმი და მშვიდია. არ არის არც სივრცე, არც დრო, რომელიც ამ სივრცეს დაფარავს. ყოველივე არსებულის დასაწყისი და დასასრული აქაა. სინამდვილეში, არც არის არავინ ვინც ამას იტყვის.

წნევა და დაძაბულობა ჩუმი გრძელდებოდა მთელ დღეს; ამ წუთას კი გაძლიერდნენ.

2 ივლისი

ის, რაც გუშინ მოხდა, ეს განუზომელი მშვიდი სივრცე, მთელ დღეს გრძელდებოდა, მიუხედავად დამსწრე საზოგადოებისა და ზოგადი საუბრებისა. ეს გაგრძელდა მთელ ღამეს; ის აქ იყო დილითაც. თუმცა იქ მიდიოდა, საკმაოდ, ხმამაღალი, ემოციური, ნერვიული საუბარი. მოულოდნელად, ის ამ ყველაფერს შორის აღმოჩნდა. ის აქ არის, აქ არის მშვენიერება და სიდიადე, ესაა განცდა უსიტყვო ექსტაზის.

წნევა და დაძაბულობა საკმაოდ ადრიდან დაიწყო.

3 ივლისი

მთელი დღე არ ვიყავი სახლში. მიუხედავად ამისა, წნევა და დაძაბულობა, ხმაურიან ქლაქშიც, დღის მეორე ნახევარში 2 ან 3 საათის განმავლობაში სულ გრძელდებოდა.

4 ივლისი

მიუხედავად იმისა, რომ, დაკავებული ვიყავი მთელი დღე, წნევა და დაძაბულობა, დღის მეორე ნახევარში სულ გრძელდებოდა.

ადამიანი რასაც არ უნდა აკეთებდეს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ძლიერმა რყევებმა ან რაიმე ინციდენტებმა, მასზე კვალი არ უნდა დატოვოს. ეს შრამები გადაიქცევა ეგოდ „მე“-დ, დროთა განმავლობაში ძლიერდება, და მისი კედლები პრაქტიკულად შეუვალი ხდება.

5 ივლისი

დაკავებული ვიყავი, მაგრამ სიმშვიდის მომენტებში წნევა და დაძაბულობა გრძელდებოდა.

6 ივლისი

სრული სიმშვიდისა და სიჩუმის განცდით გამეღვიძა წუხელ. გვინი საოცრად ფხიზელი და ინტენსიურად ცოცხალი იყო, სხეული ძალიან

მშვიდი. ეს მდგომარეობა დაახლოებით საათნახევარი გაგრძელდა, და ეს ყველაფერი, მიუხედავად მომქანცველი დღისა.

მაღალი ინტენსივობისა და სენსიტიურობის, განსაზღვრავს არსის განცდას. სწორედ მასში მდგომარეობს სიტყვებისა და გრძნობების მიღმიერი მშვენიერება. პროპორციები და სიღრმე, სინათლე და სიბნელე, შემოსაზღვრულია დროის სივრცით, ექვემდებარება სილამაზე-სიმახინჯეს. მაგრამ ის, რაც ხაზებისა და ფორმების მიღმაა, სწავლაზე და ცოდნაზე ზევითაა – ეს არის არსის მშვენიერება.

7 ივლისი

რამოდენიმეჯერ ყვირილით გამეღვიძა. ტვინის ინტენსიური სიმშვიდე და გრძნობა უსაზღვრობის ისევ აქ იყო. წნევა და დაძაბულობა გრძელდებოდა.

წარმატება – ეს სისასტიკეა. წარმატება ნებისმიერი ფორმით, იქნება ეს რელიგიური, პოლიტიკური, ხელოვნებასა თუ ბიზნესში. წარმატების მიღწევა გულისხმობს სისასტიკეს.

8 ივლისი

ძილის წინ, უფრო სწორად ძილის მომენტში, რაღაც პერიოდი გრძელდებოდა კვნესა და ყვირილი. ამდენი მგზავრობით სხეული ძალიან შეწუხდა, ლონდონში გავემგზავრე (ლოს ანჯელესიდან). წნევა და დაძაბულობა რაღაც დონეზე გრძელდებოდა.

9 იზლისი

როდესაც თვითმტერინაში ვკვდებით, მიუხედავად მთელი ამ ხმაურისა, სიგარეტის ბოლისა და ხმამაღალი საუბრებისა, სრულიად მოულოდნელად ისევ ის განცდა დამეუფლა, განცდა უსაზღვრობისა, საოცრად კურთხეული, უსაზღვრო სინძინდის განცდა, როგორც ილ-ში. ხალხმრავლობის, ხმაურისა და სხვა რამეების გამო, სხეული ნერვულად დაძაბული იყო, თუძცა, ის მაინც იყო.

წნევა და დაძაბულობა ინტენსიური იყო, თავის უკანა მხარეს ძლიერი ტკივილით. იყო მხოლოდ ეს მდგომარეობა და არ იყო არავითარი დამკვირვებელი. მთელი სხეული მასში იყო, სინძინდის შეგრძნება ისეთი ინტენსიური იყო, რომ სხეულს კვნესა აღმოხდებოდა ხოლმე, გვერდზე სავარძლებში კი მგზავრები ისხდნენ. ეს რამდენიმე საათს გაგრძელდა, გვიან ღამემდე. თითქოს მარტო თვალებით კი არ ვუყურებდი, არამედ ათასეული საუკუნეებით. ეს გასაოცარი მოვლენა იყო.

ტვინი სრულიად ცარიელი იყო, ყველა რეაქცია შეჩერდა. მთელი ამ დროის განმავლობაში, ამ სიცარიელის გააზრება არ ხდებოდა, მხოლოდ წერის დროს გახდა ნათელი, მაგრამ ეს ცოდნა არის მხოლოდ აღწერილობა და არა რეალობა. ის, რომ ტვინმა თავად შეძლო დაცარიელება – უცნაური ფენომენია. როდესაც თვალები დახუჭული იყო, სხეული და ტვინი, თითქოს უძირო სიღრმეებში ჩაიძირა, საოცარი სენსიტიურობისა და მშვენიერების მდგომარეობაში. ჩემს გვერდით მჯდომმა მგზავრმა, რაღაც მკითხა და როდესაც ვუპასუხე, ეს ინტენსიულობა მაინც აქ იყო; არ იყო არავითარი უწყვეტობა, იყო მხოლოდ ყოფიერება.

წელ-წელა დაბინდდა და ნათელი ცა სინათლით აივსო.

მოგვიანებით, როდესაც ეს ყველაფერი იწერება, უძილობით გამონწვეული დაღლილობით, ეს სინშინდე ისევ აქაა, ისევ როგორც წნევა და დაძაბულობა.

ნაწილი მეორე.

ლონდონი. 1961

10 ივლისი

ცოცხა მეძინა, გავიღვიძე ძლიერ მოძრავი ენერჯის შეგრძნებით, რომელიც თავში იყო ფოკუსირებული. სხეული კუნესოდა, მაგრამ მაინც საოცრად წყნარი, გაშლილი და მშვიდი იყო. თითქოს ოთახი საესე იყო; ძალიან გვიან იყო და მეზობელი სახლის კარი ხმაურით დაიკეტა. – არ იყო არც იდეა, არც გრძნობა და გვინი მაინც ცოცხალი და ფხიბელი იყო. წნევა და დაძაბულობა ისევ იყო, რაც ტკივილს იწვევდა. უცნაური ამ ტკივილში ისაა, რომ ვერანაირად ვერ აუძღურებს სხეულს. როგორც ჩანს გვინში ბევრი რამ ხდება, თუმცა, რა ხდება ზუსტად, სიგყვებით გადმოცემა შეუძლებელია. იყო განცდა უსასრულო განფენილობის, განვრცობის.

11 ივლისი

წნევა და დაძაბულობა საკმაოდ ძლიერი იყო, რა საც ტკივილიც თან ერთვოდა. საინტერესოა, სხეული რომ საერთოდ არ აპროტესტებს ამას,

არავითარი წინააღმდეგობა. ამ ყველაფერში უცნობი ენერჯიაა ჩართული. ძალიან დაკავებული ვარ, იმისათვის, რომ ბევრი ვწერო.

12 ივლისი

მძიმე ღამე მქონდა, ყვირილითა და კვნესით. თავი მტკიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ცოცხა მქონდა, მაინც ორჯერ გამეღვიძა, და ყოველ ჯერზე მქონდა შეგრძნება მზარდი ინტენსივობის და ძლიერი შინაგანი ყურადღების, გვინმა სრულიად დააცარიელა საკუთარი თავი, ყოველგვარი გრძნობისა და ფიქრისგან.

განადგურება, სრული დაცარიელება გვინის, რეაქცია და მესხიერება ყოველგვარი იძულების გარეშე უნდა წაიშალოს; წაშლა გულისხმობს ღროს, მაგრამ, სწორედ ღრო მთავრდება და არა მესხიერება.

ეს ღროისმიღმიერი ზრდა, რაც ხდებოდა, ინტენსივობის ხარისხითა და ღონით სრულიად განსხვავდება ვნებებისა და გრძნობებისგან. ამ ინტენსივობას არავითარი საერთო არ აქვს რაიმე სურვილთან, მოთხოვნისა ან გამოცდილებისა. გვინი მხოლოდ ინსტრუმენტი იყო, ხოლო ეს ღროისმიღმიერი ზრდა (განვრცობა), ეს შემოქმედებითობის ამაფეთქებელი ინტენსივობა – გონებაა. შემოქმედებითობა არის სწორედ განადგურება.

თვითმფრინავში ეს გრძელდებოდა (მიფრინავდა ჟენევაში)

ნაწილი მესამე

შვიცხარია 1961.

13 ივლისი

ამ ადგილების სიმშვიდემ, მწვანე ფერდობებმა, ხეების სილამაზემ და სიმშვიდემ მგონი ჩემი წნევა და დაძაბულობა უფრო გააძლიერა. თავი მთელი დღე მგვიოდა; როცა მარტო ვრჩები უფრო ცუდად ვხდები. გასულ ღამეს, მგონი, სულ ასე ვაგრძელებდი. რამოდენიმეჯერ ყვირილითა და კვნესით გამეღვიძა; მეორე დღეს, დასვენების დროსაც ისე მგვიოდა, ყვირილი მინდოდა. სხეული სრულიად მოღუნებულია და ისვენებს. გასულ ღამეს, მთიან ადგილებში გრძელი და სასიამოვნო მოგზაურობის შემდეგ, როდესაც ოთახში შემოვედი, ეს გამაოგნებელი სინძინდე და ნეგარება აქ იყო. ეს ჩემმა მეგობარმაც იგრძნო, მანაც შეიგრძნო ეს სიმშვიდე, ეს განმსჭვალავი აგმოსფერო. უდიდესი მშვენებების, სიყვარულისა და სრულყოფილი სისაფისის შეგრძნება იყო.

ძლევა მოსილება მოდის ასკეტიზმიდან, მოქმედებიდან, მდგომარეობიდან, სათნოებებიდან, ბაგონობიდან და ა.შ. ძალაუფლების ყველა ეს ფორმა ბოროტებაა. ეს აფუჭებს და რყენის. ფულის, ნიჭის და გონების გამოყენება ძალაუფლების მისაღწევად, და საერთოდ, რაიმეს გამოყენებით წარმოქმნილი ძალა ბოროტებაა.

მაგრამ არსებობს ძალა, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს ისეთ ძალასთან, რაც ბოროტებაა. ასეთ ძალას ვერ იყიდი მსხვერპლით, სათნოებით, კეთილი საქმეებით ან რწმენით, ვერც თაყვანისცემითა და ლოცვებით, თვით-უარყოფის თუ თვით-განადგურების მედიტაციებით.

ყოველგვარი ძალისხმევა გახდეს ან იყო, სრულად და ბუნებრივად უნდა შეჩერდეს. მხოლოდ მაშინ მოვა ის სიძლიერე, რაც არ არის ბოროტება.

14 იმისი

მთელი ეს პროცესი სულ გრძელდებოდა გუშინ – წნევა, დაძაბულობა და ტკივილი თავის უკან არეში; რამოდენიმეჯერ ყვირილით გავიღვიძე. დღის განმავლობაშიც იყო უნებური კვნესა და ყვირილი. გასულ ღამეს, ამ წმინდა გრძნობამ ოთახი აავსო, და ეს სხვადაც იგრძნო. (საუბარია მის მეგობარზე, ვისთანაც ის სტუმრად იყო).

რა ადვილია საკუთარი თავის მოგყევა თითქმის ყველაფერში, გასაკუთრებით ძალიან ღრმა და ნატიფ მოთხოვნილებებსა და სურვილებში. ძალიან რთულია იყო თავისუფალი ყველა ასეთი სწრაფვისა და სურვილისგან. თუმცა ეს უკიდურესად აუცილებელია, რადგანაც გვინიწარმოშობს ილუზიების ყოველგვარ ფორმებს. იმ განცდების განმეორების სურვილიც კი, რაც ასე სასიამოვნო, მომხიბვლელი და ნაყოფიერი იყო, ისეთი ნიადაგია, სადაც მწუხარება იზრდება. მწუხარების ვნება ისევე ზღუდავს, როგორც ვნება ძალაუფლების. გვინმა უნდა შეწყვიტოს საკუთარი გზით სიარული, ის უნდა გახდეს აბსოლუტურად პასიური.

15 იმისი

წუხელ მთელი ეს პროცესი მძიმე იყო; ძალიან დაღლილი და გამაოქმინებელი დავრჩი.

შუალამისას გამეღვიძა უსაზღვრო და უზარმაზარი ძალის შეგრძნებით. ეს ის ძალა არ არის, რომელსაც ნება ან სურვილი იძლევა, არამედ ძალა, რომელიც არის მდინარეში, მთაში, ხეში. ეს ადამიანშიცაა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა, ნებელობა და სურვილი ნებისმიერი ფორმით სრულიად ქრება. მას არ აქვს არავითარი ფასეულობა და არც რაიმე სარგებლობა მოაქვს ადამიანისთვის, თუმცა მის გარეშე არ არის ადამიანური არსებობა, ან ხე.

ადამიანის ქმედება – არჩევანი ან ნებაა, ასეთ არსებობაში არის წინააღმდეგობა და კონფლიქტი, აქედან კი მწუხარება. ყველა ასეთ ქმედებას აქვს მიზეზი, მოტივი, ამიტომაც არის ის რეაქცია. ამ ძალის მოქმედებას არ აქვს მიზეზი, არც მოტივი, ამიტომაც ის თავისთავადაა განუზომელი და არსი.

16 იმპიუსი

ეს პროცესი ღამე დიდხანს გრძელდებოდა; საკმაოდ ინტენსიური იყო. რამდენის ატანა შეუძლია სხეულს! მთელი სხეული თრთოდა, ამ დილითაც რომ გავიღვიძე, თავი ირყეოდა.

ამ დილით, აქ, ის განსაკუთრებული სინძინდე იყო, ოთახს ავსებდა. ის უდიდეს ყოვლისგანმსჭვალავ ძალას ფლობს, თქვენი არსების ყოველ ნაწილში აღწევს, ავსებს, წმინდავს, ყველაფერს თავის თანამონაწილედ ხდის. ეს სხვადაც იგრძნო. ეს სწორედ ისაა რასაც ნაცრობს ადამიანი, მაგრამ რადგანაც ის ამისკენ ისწრაფვის, ხელიდან უსხლტება. ბერი, მღვდელი, სანიასინი განჯავს საკუთარ სხეულსა და სულს ამის მოპოვების სურვილით, მაგრამ ის მათ გვერდს უვლის. მას ვერ იყიდი. ვერც

მსხვერპლშენიშრვა, ვერც სათნოებები, ვერც ლოცვა ვერ მოგცემს ამ სიყვარულს. ეს ცხოვრება, ეს სიყვარული ვერ იქნება, თუ საშუალებად სიკვდილი ხდება. ყოველგვარი ძიება, ყოველგვარი თხოვნა და მუდარა, სრულიად უნდა შეჩერდეს.

ჭეშმარიტება ვერ იქნება ზუსტი. ის რაც იზომება, – არ არის ჭეშმარიტება. შეიძლება გაზომო და გაიგო იმის სიმაღლე, რაც არ ცხოვრობს.

17 იზილისი

მთის ცყიან მხარეს, მალლა მიუყვებოლით ციცაბო ბილიკს, შემდეგ ჩამოვეყეით. უცებ, სრულიად მოულოდნელად, ეს წმიდათაწმინდა კურთხევა ჩვენზე გადმოვიდა; ეს სხვამაც იგრძნო; თუმცა არათერს ვამბობდით. როგორც ოთახი აავსო რამოდენიმეჯერ, თითქოს ისე დათარა მთა და თერდობი, მთელი მასშტაბით მოიცვა ირგვლივ ყველათერი. ის ყველგან იყო, თითქოს, მთელი სივრცე გაუჩინარდა, ყველათერი, რაც შორს იყო, თართო ხეობები, შორეული მთიანი მწვერვალები და ადამიანი, რომელიც იჭდა, გაუჩინარდა. არ იყო ერთი, ორი ან მრავალი, არამედ მხოლოდ უსაზღვრობა. გვინმა მთელი თავისი რეაქციები დაკარგა, ის მხოლოდ ინსტრუმენტი იყო დაკვირვებისთვის, ის იყო ხედვა, – არა გვინი, რომელიც ეკუთვნის კონკრეტულ ადამიანს, არა განპირობებული დროის სივრცეში, – არამედ არსი ნებისმიერი გვინის.

მშვიდი ღამე მქონდა, მთელი პროცესი არც ისე ინტენსიური იყო. დილით ისეთი განცდა იყო, რაც გრძელდებოდა ალბათ წუთით, 1 საათით ან საერთოდ დროის მიღმა. განცდა, რომელიც დროით ივსება, აღარ არის

განცდა. რასაც განგრძობითობა იქვს, ის არ არის განცდა. გაღვიძებისას, ძალიან ღრმად, მთლიანი გონების უსაზღვრო სიღრმეებში, საოცრად ინტენსიური, ცოცხალი, უკიდურესად მწველი, ყურადღების, გაცნობიერებისა და შემოქმედების ალი გიზგიზებდა.

სიგყვა – არ არის საგანი; სიმბოლო – არ არის რეალობა. ცეცხლი რომელიც ცხოვრების ზედაპირზე ანთია, მიღის, ქრება, და გოვებს მწუხარებას, ფერთლს და მოგონებას. ამ ცეცხლს ეძახიან ცხოვრებას, მაგრამ ეს არ არის ცხოვრება. ეს რღვევაა. შემოქმედების ცეცხლი, ქმნალობა, რაც არის განადგურება, სწორედ ესაა სიცოცხლე. მასში არც დასაწყისია და არც დასასრული, არც ხვალ და არც გუშინ. ის არის, და ვერანაირი ზედაპირული მოქმედება მას ვერ გახსნის. ტვინი უნდა მოკვდეს, ასეთი ცხოვრებისთვის.

18 იხილისი

პროცესი ძალიან მძაფრი იყო, ძილის საშუალებას არ მაძლევდა. დილითაც და შუადღის შემდეგაც ვყვიროდი და ვკვნესოდი, ტკივილი საკმაოდ დიდი იყო.

დილით გავიღვიძე ტკივილით, ამავე დროს იყო გაელვება ხედვის, ეს იყო გამოვლინება(გამოცხადება). ჩვენი თვალეები და ტვინი გარეგანი საგნების რეგისტრირებას ახდენს – ხეები, მთები, სწრაფად მორბენალი ნაკადულები; აგროვებს ცოდნას, ტექნიკას და ა. შ. იგივე თვალეებითა და ტვინით, ვსწავლობთ დაკვირვებას და ამორჩევას, განსჯასა და გამართლებას, ვიყურებით შინაგანში, შევიცნობთ საგნებს, ვქმნით იდეებს, რაც შემდეგ ფორმირებას უკეთებს გონებას. ეს შინაგანი ხედვა, არც ისე

შორს აღწევს, რადგან ის იმყოფება საკუთარი შეზღუდული დაკვირვებისა და გონების თარგლებში. ეს შინაგანი ხედვა – ჯერ კიდევ გარეგანი ხედვაა, ამიტომაც არ არის მათ შორის დიდი სხვაობა. ის, რაც გეჩვენება განსხვავებული, შესაძლებელია იყოს მსგავსი.

მაგრამ, არსებობს შინაგანი დაკვირვება, რომელიც არ არის შიგნით მიმართული გარეგანი დაკვირვება. თვალი და ტვინი, რომელიც აკვირდება მხოლოდ ნაწილობრივ, ვერ ჩასწვდება ერთიან ხედვას. ისინი უნდა იყოს სრულიად ცოცხალი და ამავე დროს მშვიდი; მათ უნდა შეწყვიტონ ამორჩევა და განსჯა და გახდნენ პასიურად შემცნობნი. მაშინ შინაგანი ხედვა აღარაა დროის-სივრცის საზღვრებში. ამ გაელვებაში იბადება ახლებური აღქმა და შეცნობა.

19 იმჯინი

გუშინ, დღის მეორე ნახევარში, ძალიან ცუდად ვიყავი, თითქოს ტკივილი უფრო გაძლიერდა. საღამოს მოვიდვა ის სინძინდე და ოთახი აავსო, ეს სხვადაც იგრძნო. ღამე საკმაოდ მშვიდი იყო, თუმცა წნევა და დაძაბულობა რჩებოდა, როგორც მზე, ღრუბლებს მიღმა; დილით ადრე პროცესი ისევ დაიწყო.

მეჩვენებოდა, მარტო იმიტომ ვიღვიძებდი, გარკვეული განცდა რომ დამერეგისტრირებინა; ეს საკმაოდ ხშირად ხდებოდა გასულის წლის განმავლობაში. დღეს დილას სიხარულის ცოცხალი შეგრძნებით გავიღვიძე; ის გაღვიძებისთანავე შემოდის, ეს არ არის წარსულის. ის არსებობს აწმყოში. ის მოდიოდა, ეს ექსტაზი, „გარედან“, ეს არ იყო თვით-ფლობით გამონწვეული; ის აღწევდა სისტემის მეშვეობით, უზარმაზარი

ენერჯითა და სისაესით მოედინებოდა მთელს ორგანიზმში. გვინი ამაში არ იღებდა მონაწილეობას, მხოლოდ არევისგრირებდა, არა როგორც მოგონებას, არამედ როგორც ფაქტს, როგორც რეალობას – რომელიც ხდებოდა. თითქოს ამ ექსტაზის უკან, უსაზღვრო ძალა და ცხოველმყოფელობა იდგა. ეს არ იყო სენტიმენტალობა, გრძობა ან ემოცია, მაგრამ ისეთი მყარი და რეალური, როგორც მთიდან წამოსული ნაკადი, ან როგორც განმარტოებული ფიჭვი, მთის მწვანე ფერდობზე. ყველა შეგრძნება და ემოცია გვინთანაა დაკავშირებული, მაგრამ როგორ სიყვარული არ არის გვინთან კავშირში, ისე ეს ექსტაზიც. მხოლოდ დიდი ძალისხმევით თუ შეძლებდა გვინი ამის აღდგენას მესხიერებაში.

დღეს, დილიდან იყო ეს ნეგარება, იგი თითქოს მთელს დედამიწას ფარავდა და ოთახი აავსო. მასთან ერთად მოდის ეს ყოვლისმომცველი სიმშვიდე, სიჩუმე, რომელიც თითქოს, თავის თავში ყველა მოძრაობას მოიცავს.

20 ივნისი

გუშინ, დღის მეორე ნახევარში, პროცესი გასაკუთრებით ინტენსიური იყო. მანქანაში ვიჯექი და ვერ ვამჩნევდი რა ხდებოდა ირგვლივ. ინტენსივობა გაიზარდა და ისეთი აუტანელი გახდა, რომ დანოლა მომინია. საბედნიეროდ ოთახში სხვაც იყო.

ოთახი ამ ნეგარებით აივსო. შეუძლებელია იმის სიტყვებით გადმოცემა, რაც ხდებოდა. სიტყვები მკვდარია, მათ აქვს განსაზღვრული და დადგენილი მნიშვნელობა, ის, კი რაც ხდებოდა, ყველანაირი სიტყვისა და აღწერილობის მიღმაა. ეს ყოველგვარი შემოქმედების ცენტრი იყო; ეს

იყო სერიოზული გამწმენდი, რომელიც ასუფთავებდა ცვინს ყოველგვარი გრძნობისა და ფიქრისგან. მისი სერიოზულობა ელვასავით იყო, რომელიც ყველაფერს ანადგურებს და წვავს; მისი სიღრმე განუზომელი იყო, უძრავი, მიუღწეველი, მისი სიმტკიცე ისევე ნათელი იყო, როგორც ზეცა. ის იყო თვალებში, სუნთქვაში. ის თვალებში იყო და ამ თვალებს დანახვა შეეძლო.

თვალები რომლებიც ხედავდნენ, რომლებიც უყურებდნენ, სრულიად განსხვავდებოდნენ მხედველობის ორგანოდან, და მაინც, ეს იგივე თვალები იყო. იყო მხოლოდ ხედვა, თვალები რომლებიც ხედავდნენ ღროის – სივრცის მიღმა. ეს იყო შეუღწეველი(ურღვევი) ღირსება და მშვიდობა, როგორც არსი, ყოველი მოძრაობისა და მოქმედებისა. ვერავითარი სათნობა მას ვერ ეხებოდა, რადგანაც ის, ადამიანისგან აღიარებულ ყოველგვარი სათნობის მიღმა იყო. მასში იყო სიყვარული, სრულიად მოკვდავი, ამიგომაც ძალიან სათუთი, როგორ ყველა ახალი რამ, დაუცველი, მსხვრევადი, და მაინც ის ამ ყველაფრის მიღმა იყო. ეს იყო ურღვევი, უსახელო, შეუცნობელი. ვერანაირი ფიქრი ვერ შეაღწევდა მასში, ვერანაირი ქმედება ვერ შეეხებოდა მას, ის იყო „სუფთა“, ხელშეუხებელი – და მაინც მომაკვდინებლად ლამაზი.

ამ ყველაფერმა, როგორც ჩანს მაინც იმოქმედა ცვინზე, ის უკვე აღარ იყო ისეთი, როგორიც ადრე. (ფიქრი ისეთი უმნიშვნელო რამაა, აუცილებელი, მაგრამ უმნიშვნელო). ამ მიზეზით, როგორც ჩანს დამოკიდებულება შეიცვალა. როგორც საშინელი შტორმი, დამანგრეველი მიწისძვრა აძლევს ახალ კალაპოტს მდინარეებს, ცვლის ლანდშაფტს, ღრმად თხრის მიწას, სწორედ ასე გათალა ფიქრის კონტურები და ფორმა შეუცვალა გულს.

21 იველისი

მთელი პროცესი ჩვეულებრივად მიდის, მიუხედავად გაცეებისა და ციებ-ცხელებისა, ის უფრო მძაფრი და შეუპოვარი გახდა. საოცარია, რამდენის ატანა შეუძლია სხეულს.

გუშინ, როდესაც მშვენიერ ვინო ხეობაში ვსეირნობდით, რომლის ციცაბო მხარე თიჭვების ჩრდილით იყო დაფარული, ხოლო მწვანე მინდვრები ველური ყვავილებით, უცებ, საუბრისას, სრულიად მოულოდნელად, ეს კურთხევა ჩვენზე გადმოვიდა, როგორც მსუბუქი წვიმა. ჩვენ მის ცენტრში აღმოვჩნდით. ის იყო მსუბუქი, დაჟინებული, უსაზღვროდ ნაზი და მშვიდობიანი. ისეთი ძალით აღგვაგვსო, რომელიც ყოველგვარი მიზეზისა და ბრალეულობის მიღმაა.

დილით ადრე, გაღვიძებისას, – ცვალებადი, უცვლელი გამწმენდი სერიოზულობა და ექსტაზი, რომელსაც არ აქვს მიზეზი. ის უბრალოდ აქ იყო. და მთელი დღის განმავლობაში, რაც არ უნდა გამეკეთებინა, ის აქ იყო უკანა პლანზე გადასული, და სიმშვიდის მომენტში მომენტალურად, წამში მოდიოდა წინ. მასშია დაჟინება და მშვენიერება.

ვერავითარი წარმოსახვა ან სურვილი, ვერასოდეს შეძლებდა ასეთი ღრმა სერიოზულობის ფორმულირებას.

22 იველისი

როდესაც ექიმს ველოდებოდი ოფისის ბნელ და უჰაერო მისაღებში, ეს კურთხევა, რომელსაც ვერანაირი სურვილით ვერ გამოინვევ, მოვიდა

და მთელი ოთახი ააესო. სანამ იქ ვიყავით, ჩვენთან იყო. არ ვიცი, იგრძნო თუ არა, ეს ექიმმა.

რაგომ ხდება დეგრადაცია? გარეგანი თუ შინაგანი. რაგომ? დრო ანადგურებს ყველა მექანიკურ კონსტრუქციას. ის, ნებისმიერ ორგანიზმს აუძლურებს მუშაობითა და ავადმყოფობით. მაგრამ რაგომ ხდება დეგრადაცია შინაგანი, ფსიქოლოგიური? ყოველგვარი ახსნა განმარტების მიღმა, რისი მოცემაც გვინს შეუძლია, რაგომ ვირჩევთ ცუდს და არა კარგს, რაგომ უფრო სიძულვილს ვიდრე სიყვარულს, რაგომ სიხარბეს, ვიდრე გულუხვობას, რაგომ ეგოცენტრულ ქმედებას და არა გახსნილობას, მთლიან ქმედებას. რაგომ სიმდაბლე, როცა არსებობს მოლივლივე მწვერვალები და მბრწყინავი ნაკადულები? რაგომ ეჭვიანობა და არა სიყვარული? რაგომ? ფაქტის დანახვას მიყავხარ ერთ მხარეს, მოსაზრებებსა და ახსნა- განმარტებებს – მეორე მხარეს. იმ ფაქტის დანახვა, რომ ჩვენ მივდივართ დაცემისა და დეგრადაციისკენ, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, თუ რაგომ, ან რის გამო ხდება ასე. ფაქტის წინაშე, ყოველგვარი ახსნა-განმარტება უმნიშვნელოა, მაგრამ ის, რომ ადამიანი კმაყოფილდება განმარტებებითა და სიტყვებით – დეგრადაციის მთავარი ფაქტორია. რაგომ ომი და არა მშვიდობა? ფაქტი ასეთია – ჩვენ მოძალადეები ვართ. შინაგანი თუ გარეგანი კონფლიქტი ნაწილია ჩვენი ცხოვრების, ცხოვრება ამბიცია და წარმატებაა. დეგრადაციის დასასრული, სწორედ ამ ფაქტის დანახვაა, და არა მოხერხებული და დახვეწილი განმარტებები. არჩევანი – დაცემის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, სრულიად უნდა დასრულდეს. დეგრადაციის ერთ-ერთი ფაქტორია, მის ჩრდილში მყოფი – სურვილის დაკმაყოფილება, სიამოვნება და მწუხარება.

დღეს ადრე გამეღვიდა, რათა ეს კურთხევა განმეცადა. „იძულებული“ გავხდი ღავმჭდარიყავი, რათა ამ სინათლესა და მშვენიერებაში ვყოფილიყავი. მოგვიანებით, უკვე ხის ქვეშ, გზისპირა სკამზე, იგივე უსაზღვროება განვიცადე. ეს გაძლევს თავშესაფარს, დაცულობას, მსგავსად ხისა, რომლის ფოთლებიც თან გიფარავს მთის მცხუნვარე მზისგან და თან სხივებსაც ატარებს. ყველა დამოკიდებულება, ისეთი დაცულობაა სადაც არის თავისუფლება, და რადგანაც არის თავისუფლება, არის თავშესაფარიც.

23 ივნისი

დილით ადრე, უბარმაზარი ძალის, მშვენიერებისა და უხრწნელობის განცდით გავიღვიძე. ეს არ იყო რაღაც, რაც ადრე მომხდარა, და ეხლა გაღვიძებისას გავისხენე როგორც სიზმარი, არამედ რაღაც ისეთი, რაც რეალურად ხდებოდა. ვაცნობიერებდი რაღაცას, ძალიან დაურღვეველს, მასში ვერ იარსებებდა ისეთი რამ, რაც შეიძლებოდა გახრწნილიყო, დეგრადირებულიყო. ძალიან დიდი იყო იმისათვის, რომ ტვინს დაეჭირა და დაემახსოვრებინა. მას შეეძლო მხოლოდ მექანიკურად დაეფიქსირებინა, რომ არის ასეთი „მდგომარეობა“ უხრწნელობის. ასეთი მდგომარეობის განცდა უკიდურესად აუცილებელია, ის აქ იყო, უსაზღვრო, ხელუხლებელი, მიუწვდომელი.

მის ურღვევობაში იყო მშვენიერება. არა ის, რომელიც ჭკნება, ან რომელიც ადამიანის ხელს შეუქმნია, არც ბოროტება თავისი სილამაზით. თითქოს მის აქ ყოფნაში, თავად ყოფიერება არსებობდა, და ამიტომ წმინდა იყო. ეს იყო სიცოცხლე, რომელშიც ვერაფერი მოკვდებოდა. სიკვდილი

არის უხრწელი, მაგრამ ადამიანი ხდის მას ისეთივე ხრწანდს, როგორც ცხოვრებაა მისთვის.

ამ ყველაფერთან ერთად იყო შეგრძნება ძალის, ისეთი მყარი სიძლიერის, როგორც მთა, რომელსაც ვერაფერი შეარყევს, რომელსაც ვერასოდეს შეეხება ვერც მსხვერპლშენიშვნა, ვერც ლოცვა და ვერც სათნოება.

ის აქ იყო, უბარმაზარი, და ვერანაირი თიქრთა ღინება, ან მოგონება ვერ დაარღვევს მას. ის აქ იყო, და თვალები და სუნთქვა მას ეკუთვნოდა.

დრო, სიზარმაცე, აფუჭებს. რაღაც პერიოდი ის წავიდა. ნელ-ნელა განთიადი შემოიპარა, მანქანა და მიწდორი ცვრიანი იყო. მზე ჯერ კიდევ არ ამოსულიყო, მაგრამ თოვლიანი მწვერვალი მკვეთრად მოსჩანდა მონაცრისფრო-მოცისფრო ცაზე. მომაჭადოებელი დილა იყო, უღრუბლო. მაგრამ იმდენად ლამაზი, რომ ვერ გაგრძელდებოდა.

რაგომ ხდება ეს ყველაფერი ჩვენს თავს? შეიძლება მოუგონო უამრავი ახსნა, მაგრამ არცერთი მათგანი არ იქნება საკმარისი. თუმცა ზოგი რამ, აბსოლუტურად გასაგებია:

- უნდა იყო სრულიად „ინდეფერენტული“, ყველაფრის მიმართ, რაც მოდის და მიდის.
- არ უნდა იყოს სურვილი, რაიმე განცდის გახანგრძლივების ან მესხიერებაში შენახვის.
- საჭიროა გარკვეული ფიზიკური სენსიტიურობა, გულგრილობა კომფორტის მიმართ.
- აუცილებელია თვით-კრიტიკული, იუმორისტული მიდგომა.

მაგრამ, მაშინაც კი, თუ ეს ყველაფერი ადამიანს აქვს შემთხვევით, ყოველგვარი მიზანმიმართული კულტივირებისა და თავმდაბლობის გარეშე, მაინც არ არის საკმარისი. რაღაც სრულიად სხვაა აუცილებელი ან არათუ არ არის საჭირო. ეს უნდა მოვიდეს, ამას ვერასოდეს იპოვით, როგორც არ უნდა ეძებთ. ამ სიას შეგიძლიათ სიყვარულიც დაამატოთ, მაგრამ – ეს სიყვარულის მიღმაა. ერთი რამ ცხადია, გვინი ამას ვერასოდეს ჩანვდება და ვერც მოითავსებს თავის თავში. ნეტარია, ვისაც ეს მიეცემა. ასევე შეგიძლიათ დაამატოთ, მშვიდი და წყნარი გვინი.

24 იწილისი

პროცესი არც ისე ინტენსიური იყო, რადგანაც სხეული კარგად არ იყო რაღაც პერიოდი, პროცესი მართალია სუსტია, მაგრამ პერიოდულად მისი ინტენსივობა მაინც იგრძნობა. უბრალოდ გასოცარია, როგორ შეუძლია პროცესს ადაპტირება გარემოებასთან.

გუშინ, როდესაც ვინრო ხეობაში გავიარეთ, სადაც მთიდან წამოსული ნაკადი ხმაურით იკვლევდა გზას, სველი გზის გასწვრივ, ეს კურთხევა იყო. ის ძალიან ძლიერი იყო და ყველაფერი მასში ცურავდა. მდინარის ხმაც მისი ნაწილი იყო და ჩანჩქერიც, საიდანაც ის მოდიოდა, მასში იყო. ეს გავდა მსუბუქ წვიმას და გაუხდი სრულიად მონყვლადი; სხეული თითქოს მსუბუქი გახდა, როგორც ფოთოლი, დაუცველი და მოცახცახე. ეს გრძელდებოდა მთელ გრძელ და ცივ გზაზე, საუბარი გახდა მწირი; ეს იყო წარმოუდგენელი სილამაზე. ის მთელ საღამოს გაგრძელდა, მიუხედავად სიცილისა, მყარი, შეუღწევადი სერიოზულობა რჩებოდა.

დღეს დილას, გაღვიძებისას, როცა მზე კიდევ ჰორიზონტს მიღმა იყო, ექსტაზი ამ სერიოზულობის აქ იყო. მან აავსო გული და გვინი. უძრაობის განცდა იყო.

აუცილებელია უყურო. ჩვენ ვუყურებთ საგნებს პირდაპირ, დაუყონებლივ, აქედან წამოსული მოთხოვნილებებიდან, ვუყურებთ მომავალს, რომელიც შეფერადებულია წარსულით. ჩვენი ხედვა ძალიან შეზღუდულია, ჩვენი თვალეები იმას შეეჩვია, რაც ახლოა. ჩვენი ხედვაც, ისევე როგორც გვინი დაკავშირებულია ღროის სივრცესთან. ჩვენ არასოდეს ვიყურებით ამ შეზღუდულობის მიღმა; ჩვენ არ ვიცით და არ შეგვიძლია ამ ფრაგმენტული საზღვრის მიღმა დანახვა. მაგრამ თვალეებმა უნდა დაინახოს ამის მიღმა, უნდა შეაღწიოს ღრმად და ფართოდ, არჩევსა და დამალვის გარეშე. ისინი უნდა მიიღგოდნენ ადამიანის მიერ დადგენილი იდეებისა და ფასეულობების საზღვრების მიღმა, რათა განიცადონ ის რაც სიყვარულის მიღმაა. მაშინ იქნება კურთხევა, რომელსაც ვერანაირი ღმერთი ვერ მოგცემს.

25 ივნისი

შეხვედრის მიუხედავად (საუბრები საანანში, გშტაადთან არსებული დასახლება. შევიცარია), პროცესი მიდის, საკმაოდ რბილად, მაგრამ მიდის.

დილით ადრე გავიღვიძე ისეთი გონების შეგრძნებით, რომელმაც უცნობ სიღრმეებში შეაღწია. თითქოს გონება თავის თავში, ღრმად და ფართოდ შედიოდა, მოგზაურობდა ყოველგვარი მოძრაობის გარეშე. ეს ისეთი განცდა იყო, სიუხვისა და სიმდიდრის უსაზღვროების, რომელიც ვერასოდეს შეირყვნება.

საოცარია, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი განცდა და მდგომარეობა სრულიად განსხვავებულია, ეს მაინც ერთი და იგივე მოძრაობაა; გეჩვენება, თითქოს იცვლება, მაგრამ ის მაინც უცვლელია.

26 ივლისი

გუშინ ღლის მეორე ნახევარში, პროცესი სულ გრძელდებოდა და საკმაოდ მძიმე იყო. მთების ჩრდილსა და მორაკრაკე ნაკადულების გვერდით სეირნობისას, ინგენსიური პროცესის დროს, თავს საოცრად მონყვლადად, შიშვლად და გახსნილად ვგრძნობდი. ბუნდოვნად ვგრძნობდი არსებობას. თოვლით დაფარული მთების სილამაზე უცნაურად აღმაფრთოვანებდა.

ღილით აღრე, როდესაც მზე ჯერ კიდევ არ ამოსულიყო, და ბალახი ნამით იყო დაფარული, მშვიდად ვინექი, ყოველგვარი ფიქრისა და მოძრაობის გარეშე, ისეთი ხედვა მოვიდა, არა ზედაპირული ხედვა, არამედ, თითქოს, თვალების საშუალებით, თავის უკანა მხრიდან ვხედავდი. თვალები და თავის უკანა მხარე, მხოლოდ ინსტრუმენტი იყო, საიდანაც განუზომელი წარსული განუზომელ სივრცეში იყურებოდა, რომელსაც არ ქონდა დრო. მოგვიანებით, კვლავ ლოგინში წოლისას, ისეთი ხედვა იყო, რომელიც თითქოს მთელ ცხოვრებას მოიცავდა.

რა ადვილია საკუთარი თავის მოცუება, გამოიგონო სასურველი მდგომარეობა, რომელიც რეალურადაც განცდილია და ამასთანავე სასიამოვნოცაა. არ არსებობს არც ილუზია და არც ტყუილი, როდესაც არ არის სურვილი, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ნებისმიერი ტიპის განცდის,

როდესაც ადამიანი ინდეფერენტულია ამ განცდების მოსვლისა და წასვლის მიმართ, მაშინ ის არაფერს არ ეძებს.

27 ივლისი

საოცარი მოგზაურობა იყო, ორი სხვადასხვა ხეობის გავლით ულელტეხილისკენ; უზარმაზარი კლდეები, თავისი ფანტასტიკური ფორმებითა და ხვეულებით, მათი მარტოობითა და სიღიადით, შორს კი, მწვანე, დაქანებული მთები, საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა გვინზე, რომელიც ჯერ კიდევ მშვიდი იყო. მგზავრობის განმავლობაში, ეს უცნაური ინტენსივობა და სილამაზე ამ უამრავ დღეთა უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა. ეს სხვადასხვა იგრძნო.

ძალიან ადრე გავიღვიძე; ის, რაც არის კურთხევა და რაც არის სიძლიერე აქ იყო, გვინი ამას აცნობიერებდა, ისე როგორც აცნობიერებს არომატს, თუმცა ეს არც შეგრძნება იყო და არც ემოცია; ის უბრალოდ აქ იყო. რაც გნებავთ ის აკეთეთ, ის მუდამ აქ იქნება და ამასთან ვერაფერს გახდები.

ღილით საუბარი შედგა; მთელი საუბრის განმავლობაში, გვინი, რომელიც რეაგირებს, ფიქრობს, კონსტრუქციებს ქმნის, არ იყო. გვინი არ მუშაობდა, გამონაკლისი მხოლოდ მესხიერება და სიციყეები იყო.

28 ივლისი

გუშინ საყვარელ გზაზე ვსეირნობდით, ხმაურიანი ნაკადულების გასწვრივ, მუქი ფიჭვებითა და ყვავილებით სავსე მინდვრებით დატარულ ვინრო ხეობაში, შორს მასიური თოვლიანი მთებითა და ჩანჩქერით. საოცარი იყო, მშვიდი და გრილი. სეირნობისას, ეს წმინდა კურთხევა მოვიდა, თითქოს შეხებაც შეიძლებოდა, შიგნით, ძალიან ღრმად ცვლილებები მიდიოდა. ეს იყო სალამო არამინიერი მშვენიერებისა და მომხიბვლელობის, აქ იყო უსაზღვრობა და სიმშვიდე.

დღეს ადრე გამეღვიძა და შევნიშნე, რომ პროცესი ინტენსიური იყო, თავის უკანა მხრიდან წინ ისე მოიწევა, როგორც ისარი, მისთვის დამახასითებელი ხმით, როდესაც ის ჰაერს აპობს, რაღაც ძალა, მოძრაობა, რომელიც არსაიდან მოვიდა და მიდიოდა არსად. იყო გრძნობა უდიდესი სტაბილურობისა და „ღირსების“, რომელსაც ვერც კი მიუახლოვდები. და სიმკაცრე, რომლის გადმოცემაც არანაირ ფიქრს არ ძალუძს, და ამ სიმკაცრესთან ერთად უსასრულო სიმსუბუქის სისუფთავე. ეს ყველაფერი მხოლოდ სიგყვებია, ამიტომაც ვერასოდეს გადმოსცემენ რეალობას, არც სიმბოლოს აქვს რაიმე თვასი.

პროცესი მთელი დღია გრძელდებოდა, და თვალა, რომელსაც თითქოს განუზომელი სიღრმე და სიმაღლე აქვს, გადავსებული იყო.

29 ივლისი

ვხვდებოდი ხალხს, მათი წასვლის შემდეგ, კი ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ორ სამყაროს შორის ვიყავი გამოკიდებული. მალე

პროცესის სამყარო, თავისი უშრეტი ინტენსივობით დაბრუნდა. საიდან ასეთი დაყოფა? ვისთანაც შეხვედრა მქონდა, არ იყვნენ სერიოზულები, საუკეთესო შემთხვევაში თავი მიაჩნიათ სერიოზულ ადამიანებად, მხოლოდ ზედაპირულად იყვნენ სერიოზულები. ვერ შევძელი ბოლომდე დაეხარჯულიყავი და აქედან ისევ ეს გრძნობა დისკომფორტის, თუმცა ეს მაინც უცნაური განცდა იყო.

საუბრისას, ყურადღება მიიპყრო ხეებს შორის მიმაგალმა პაგარა ნაკადულმა. თითქოს ეს ჩვეულებრივი რამ იყო, ყოველდღიური წვრილმანი, მაგრამ ამავე დროს, რაღაც ხდებოდა, არა გარეგნულად, არამედ იყო შინაგანი, ნათელი აღქმა. ის რაც აბსოლუტურად აუცილებელია სიმნიუისთვის, სისრულისთვის.

- სრული უბრალოება, რომელიც მოდის თავმდაბლობით, არა საგნებისა და ქონების სიმარტივე, არამედ უბრალოება, როგორც ყოფიერების ხარისხი.
- ვნება, ისეთი ინტენსიური, რომელიც არ არის უბრალოდ თიზიკური.
- მშვენიერება; სენსიტიურობა არა მხოლოდ გარეგნული რეალობის მიმართ, არამედ, იყო სენსიტიური იმის მიმართ, რაც ფიქრისა და შეგრძნების მიღმაა.
- სიყვარული; მისი სისავსე; არა ის, რომელმაც იცის ეჭვიანობა, მიჯაჭველობა, დამოკიდებულება, არა ის, რომელიც გაყოფილია ღვთაებრივად ან ვნებიანად. მთელი მისი უსაზღვროება.
- გონება, რომელსაც შეუძლია მიყვებს და განჭვრიტოს, თავისი საკუთარი უსასრულო სიღრმეები, ყოველგვარი მოტივისა და

მიზნების გარეშე; გონება რომელსაც არა აქვს ბარიერები, და რომელსაც შეუძლია თავისუფლად იხეციალოს დროის სივრცის გარეშე.

ყველაფერი ეს, და ისიც, რასაც ეს თავის თავში მოიცავს მოულოდნელად გავაცნობიერე ; არადა მხოლოდ პატარა ნაკადულს ვუყურებდი, გამოფიგული ტოტებისა და ფოთლებს შორის, მოღუშულ და წვიმიან დღეს.

როდესაც ვსაუბრობდით, ყოველგვარი მიზნების გარეშე, რადგანაც, ის რამეც ვსაუბრობდით, არც ისე მნიშვნელოვანი იყო, – რაღაც უსასრულო სიღრმიდან, უცებ ვიგრძენი ძლევა მოსილების უსაზღვრო ალი, დამანგრეველი თავის შემოქმედებაში. ეს იყო ძალა, რომელიც არსებობდა სამყაროში საერთოდ რაიმეს შექმნამდე; ეს ხელშეუხებელი იყო, მას ვერ მიუახლოვდებოდი მისი ძლევა მოსილების გამო.

არაფერი არ არსებობს, გარდა ამ ერთადერთისა. უსაზღვროება და მოკრძალება.

ამ განცდის ნაწილი, მგონი სიზმარშიც გრძელდებოდა, რადგანც გაღვიძებისას აქ იყო, და პროცესის ინტენსივობამ გამომალვიდა. შეუძლებელია რაიმე აზრით ან სიგყვით ალწერო ის, რაც ხდებოდა, მისი ძალმოსილება და სიყვარული, მისი სილამაზე. ვერანაირი წარმოსახვა, მას ვერასოდეს შექმნიდა, ვერც ილუზია; მისი ძალა და სისუფთავე თანგაბიორი გვინისა და გონების საქმე არ არის. ეს ყოველგვარი ადამიანური უნარისა და შესაძლებლობის მიღმაა.

30 ივლისი

ღრუბლიანი დღე იყო, მძიმე, მუქი ღრუბლებით; დილიდან წვიმა მოდიოდა, ძალიან ციოდა. სეირნობის შემდეგ ვსაუბრობდით, მაგრამ უფრო მეტად სამყაროს მშენიანებას ვუცქერდით, სახლებს და მუქ ხეებს.

უცებ ისეთი მიუწვდომელი ძალა და სიმტკიცე გამოკრთა, რომ თიბიკურად შემარცია. სხეული უმოძრაობისგან გაიყინა და იძულებული გავხდი თვალები დამეხუჭა, რათა გონება არ დამეკარგა. ეს იყო სრულიად შოკისმომგვრელი, ყველაფერი რაც არსებობს, თითქოს არარსებობაში ჩაიძირა. მისგან გამომავალი ძალის უძრაობამ და დამანგრეველმა ენერგიამ, მხედველობისა და სმენის ლიმიტირებული საზღვრები გაარღვია. ეს იყო რაღაც წარმოუდგენლად დიადი, მისი სიღრმე და სიმაღლე მიუწვდომელია.

დღეს, დილით ადრე, განთიადისას, როდესაც ცაში ერთი ღრუბელიც კი არ იყო და თოვლით დაფარული მთები მოჩანდა, გავიღვიძე თვალებსა და ყელში ამ შეუცნობელი სიძლიერის შეგრძნებით; თითქოს ეს იმდენად ცხადი და ხელშესახები მდგომარეობა იყო, რომ შეუძლებელია აქ არ ყოფილიყო. თითქმის ერთი საათი, რაც აქ იყო, გვინი ცარიელი რჩებოდა. ეს არ იყო ის, რისი დაჭერა და მესხიერებაში შენახვაც ფიქრის საშუალებით შეიძლებოდა. ის აქ იყო და ყველა ფიქრი მკვდარი იყო. აზრებს მხოლოდ საკუთარ არეალში შეუძლია ფუნქციონირება; და ამაზე ფიქრი მას არ შეეძლო, ფიქრი – დროა, ეს კი ყოველგვარი დროისა და ზღვარის მიღმა იყო. აზრსა და სურვილს არ შეეძლო ნდომოდა ამის გავრძელება ან გამეორება, რადგანაც ორივე სრულიად გამქრალი იყო. მაგრამ აბა რამ

დაიმბსოვრა ეს რასაც ვწერ? ეს უბრალოდ მექანიკური ჩანაწერია, მაგრამ ეს ჩანაწერი, სიტყვა, არ არის რეალობა.

პროცესი მიდის შედარებით მსუბუქად, ალბათ საუბრის გამო, თუმცა არის ზღვარი, რომლის იქით სხეული დაირღვევა. მაგრამ ის გრძელდება. მუდმივი და დაჟინებული

31 იზლისი

სწრაფი დინების გასწვრივ, უამრავი ადამიანით გარშემორტყმული, გრილ და სასიამოვნო ბილიკზე სეირნობისას, ეს კურთხევა აქ იყო, ნაზი, როგორც თოთოლი, მასში მოცეკვავე სიხარულით. მასშიც და მის მიღმაც იყო ის უსაზღვრო მგვიცე ძალა და ძლევამოსილება, რაც მიუწვდომელია. მის უკან უსასრულო სიღრმე იგრძნობოდა, რაღაც უძირო. ის აქ იყო, ყოველი ფეხის ნაბიჯზე, დაჟინებული და ამავე დროს უსასრულოდ „ინდეფერენტული“. ეს უსაზღვრობა ისეთი იყო, როგორც დიდი კაშხალი, რომელიც მდინარის შეკავებით, მრავალი მილის მანძილზე, დიდ და ფართო ტბას ქმნის.

ყოველ წუთს რაღაც ინგრეოდა; არა ისეთი განადგურებით, რომელსაც ახალი ცვლილებები მოაქვს, არა, ცვლილება არასოდესაა ახალი, არამედ სრული განადგურება იმის, რაც იყო, და აღარასოდეს იქნება. ამ განადგურებაში არ იყო ძალადობა; ძალადობა ცვლილებებშია, რეოლუციებში, დაქვემდებარებაში, დისციპლინაში, კონტროლსა და ბატონობაში, ყოველგვარი ძალადობა, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი სახელით, აქ სრულიად შეჩერდა. ეს ნგრევა – შემოქმედებაა.

მაგრამ შემოქმედება – არ არის მშვიდობა. მშვიდობა და კონფლიქტი ეკუთვნის ღროისა და ცვლილებების სამყაროს, არსებობის შინაგან და გარეგან მოძრაობას, ეს არ იყო დაკავშირებული ღროსთან, ან სივრცეში რაიმე მოქმედებასთან. ეს იყო სრული და სუფთა განადგურება, მხოლოდ მასში შეიძლება იყოს „ახალი“.

დილით, გაღვიძებისას, ეს არის აქ იყო, მომეჩვენა თითქოს ის მთელი ღამე აქ იყო, და გავიღვიძე თუ არა, მთელი თავი და სხეული აავსო. პროცესი მსუბუქად მიდის. უნდა იყო, მარტობასა და სიმშვიდეში და ის აქ იქნება.

როდესაც ვწერ, ეს კურთხევა აქ არის, როგორც მსუბუქი ქარი ფოთლებს შორის.

1 აზვისსო

მშენიერი დღე იდგა, და ამ არაჩვეულებრივ ხეობაში მოგზაურობისას, იყო ის, რისი უარყოფაც შეუძლებელია, ის აქ იყო, როგორც ჰაერი, ცა ან მთები.

პროცესი ინტენსიური იყო, და ამიგომ დილა აღრიან ყვირილით გამეღვიძა. თუმცა დღის განმავლობაში, საუბრისას (შეხვედრა საანანში) მსუბუქად გავრძელდა.

2 აზვისსო

დილით ადრე გავიღვიძე; დაბანაც ვერ მოვასწარი, იძულებული ვავხდი დავმჯდარიყავი. საერთოდ სანამ ავდგები, რალაც დროის განმავლობაში ლოგინზე ვზივარ ხოლმე; დღეს ყველაფერი თავისი ჩვეული ჩარჩოდან გამოვიდა, და იყო კიდევ ამის აუცილებელი და იმპერატიული საჭიროება. როდესაც დავეცი, ძალიან სწრაფად მოვიდა ეს უსაზღვრო კურთხევა, მალე ვიგრძენი, რომ მთელი ეს ძალა, ეს მიუწვდომელი და მკაცრი ძალა, იყო ჩემს შიგნით, ჩემს ირგვლივ, და თავში; ხოლო ამ უსასრულობის ცენტრში აბსოლუტური სიჩუმე იდგა. ეს ისეთი სიჩუმე იყო, რომლის წარმოდგენა და ფორმულირებაც, არც ერთ გონებას არ შეუძლია; ამას ძალით ვერ შექმნით; მას არ ქონდა მიზები, ის არ იყო შედეგი; ეს იყო სიმშვიდე – გიგანტური ქარიშხლის ცენტრში. ეს იყო ყველა მოძრაობის სიმშვიდე, არსი ყველა მოქმედების; ეს იყო შემოქმედების აფეთქება, და მხოლოდ ასეთ სიჩუმეში შეიძლება იარსებოს – ქმნილება.

გვინს ისევე არ შეეძლო ამის დაჭერა, არ შეეძლო ამის მოთავსება თავის მესხიერებაში, წარსულში, რადგანაც ეს დროის გარეთაა. მას არ ქონდა არც მომავალი, არც წარსული და არც აწმყო. ის რომ დროსთან კავშირში ყოფილიყო, გვინი შეძლებდა დაუფლებოდა მას და თავისი განპირობებულობის მიხედვით მიეცა ფორმა. მაგრამ, ვინაიდან ეს სიმშვიდე ყოველი მოძრაობის სისავსეა და ყოველგვარი მოქმედების არსია, ესაა ცხოვრება ჩრდილის გარეშე, ამიგომ ჩრდილთა სამყაროდან მას ვერაფერი ვერ გაზომავს. ის ძალიან დიდია იმისათვის, რათა დრომ დაიჭიროს, ან სივრცემ თავის თავში დაიტვიცოს.

ეს გრძელდებოდა 1 წუთი ან 1 საათი.

პროცესი, მთელი დღის განმავლობაში მსუბუქად გრძელდებოდა, ძილის წინ კი ძალიან მძაფრი იყო.

3 აზვისსმო

ადრე გავიღვიძე, არაამქვეყნიური, ყოველგვარი თიქრს მიღმა არსებული სამყაროს შეგრძნებით; განცდა ისეთი ინტენსიური იყო, ნათელი და სუფთა როგორც ადრიანი დილა, უღრუბლო ცა. რადგანაც აღარ არის გაგრძელება, ილუზია და წარმოსახვებიც განიდევნა გონებიდან. ყველაფერია და ეს არასოდეს ყოფილა მანამდე. სადაც შეიძლება გაგრძელება იქ ცთომილებაა.

ნათელი დილა იყო, თუმცა მალე ღრუბელმა იმატა. თანჯრიდან კარგად ჩანდა მინდვრები და ხეები. უცნაური რამ ხდება: მგრძნობელობის მომატება. სენსიტიურობა არა მარტო მშვენიერების მიმართ, არამედ ყველაფრის მიმართ რაც არსებობს. ბალახის ღეროები საოცრად მწვანე იყო, თითოეული ღერო ფერთა მთელ სპექტრს მოიცავდა; ის ისეთი ინტენსიური და დამაბრმავებელი იყო, და ამავე დროს ისეთი პატარა ქმნილება, რომლის განადგურებაც ადვილად შეიძლებოდა. ეს ხეები თავისი სიმაღლითა და სიღრმით სიცოცხლით სავსეა. გაშლილი კლდეებისა და მარტოხელა ხეების კონტურები ყველა დროისა და სივრცის გამომხატველი იყო; მთები, ფერმკრთალი ცის ფონზე, ადამიანის ყველა ღმერთს აღემატებოდა. საოცრება იყო ამის ყურება, ამის შეგრძნება, უბრალოდ თანჯრიდან ვხედავდი. თვალები უფრო ნათელი გახდა.

საოცარია, როგორ ავსებდა ოთახს ეს ძალა, ეს ძლევამოსილება ერთი თუ ორი ინტერვიუს განმავლობაში. თითქოს ის თვალებსა და

სუნთქვაში იყო. ის უცებ და სრულიად მოულოდნელად შემოვიდა, გასაოცარი ინტენსივობითა და ენერგიით, სხვა დროს ის უფრო მშვიდად და აუღელვებლად არის აქ. მაგრამ ის აქ არის, გინდა ეს თუ არა. შეუძლებელია მას შეეჩვიო, რადგანაც ის არც ყოფილა და არც იქნება. მაგრამ ის არის.

პროცესი მსუბუქად მიდიოდა; ალბათ შეხვედრებისა და საუბრების გამო.

4 აზვისსმო

დილით ძალიან ადრე გავიღვიძე; ჯერ კიდევ ბნელოდა, მაგრამ ცისკარი ახლოს იყო; შორს, აღმოსავლეთით სუსტი სინათლე მოსჩანდა. ცა საოცრად ნათელი იყო, და მთებისა და კლდეების კონტურების გარჩევა შესაძლებელი იყო. სიჩუმე იყო.

ლოგინზე დაგჯექი, ფიქრები სრულიად მშვიდი და შორეული იყო, გრძნობის ნაგამალიც არ არსებობდა, მოულოდნელად, ამ უდიდესი მდუმარებიდან, მოვიდა ის, რაც უკვე ასე მყარი, ამოუწურავი ყოფიერებაა. ის მტკიცე იყო, არ ქონდა წონა, არც ზომა; მხოლოდ ის იყო და მეტი არაფერი არსებობდა. ის ყველაფრის გარეშე იყო. სიტყვები – მტკიცე, უმოძრაო, მიუღწეველი, ვერანაირად ვერ გადმოსცემს ამ ხარისხის დროისმიდმიერ სტაბილურობას. არც ამ და არც სხვა სიტყვებს არ შეუძლია იმის გადმოცემა, რაც აქ იყო. ის თავისთავადია. ის იყო არსი, სისავსე ყველა საგნის.

მისი სისუფთავე, ადამიანს ცოვებდა თიქრისა და მოქმედების გარეშე. შეუძლებელია მასთან ერთიანობა, შეუძლებელია ერთიანობა ჩქარ მდინარესთან. თქვენ ვერ იქნებით ერთიანი მასთან რასაც არა აქვს ფორმა, ზომა, ან თვისება. ის არის – მორჩა.

რა საოცრად ღრმა და სრული გახდა ყველაფერი; და რაც ყველაზე უცნაურია, მთელი ცხოვრება – მასშია; როგორც ახალგაზრდა ფოთოლი, აბსოლუტურად დაუცველი.

5 აზვისსო

დილით ადრე როდესაც გავიღვიძე, მოხდა გაელვება „ხედვის“ „დანახვის“, მგონი ეს გრძელდება და სამუდამოდ გაგრძელდება. ის არსაიდან იწყებოდა და არსად მიდიოდა- მაგრამ ამ ხედვაში იყო ყველა ხედვა და ყველა საგანი. ეს იყო ხედვა, რომელიც გასცდა ნაკადებს, კლდეებს, მთებს, გასცდა დედამიწას, ჰორიზონტსა და ადამიანებს. ამ ხედვაში იყო გამჭოლი შუქი და საოცარი სისწრაფე. არც ტვინს შეუძლია მიყვას მას და ვერც გონება დაიგვეს. ეს იყო სუფთა სინათლე, უსწრაფესი, რომელმაც არ იცის წინააღმდეგობა.

გუშინ სეირნობისას, ამ ნათების მშვენიერება ხეებსა და ბალახზე ისეთი ინტენსიური იყო, რომ სუნთქვა შემიკრა და სხეული დაასუსტა.

მოგვიანებით, უკვე დილით, საუბმისას, ეს კურთხევა ისე შემოიჭრა, როგორც დანა ჩაერჭობა ხოლმე მსუბუქ მინაში, თავისი ძალითა და ღონით. ის მოვიდა როგორც გაელვება და ასევე სწრაფად გაუჩინარდა.

გუშინ, შუადღის შემდეგ, პროცესი საკმაოდ ინტენსიური იყო; დღეს დილას ცოტა სუსტია. სხეულში რაღაც სისუსტეა.

6 აზვისსო

არც ისე კარგად, მაგრამ მაინც მეძინა, გაღვიძებისას მივხვდი, რომ პროცესი სულ გრძელდებოდა, უფრო მეტიც, ეს კურთხევა ყვაოდა. თითქოს მის ზემოქმედებას ვგრძნობდი.

გაღვიძებისას ეს ძალა და ძლევამოსილება გადმოდიოდა, იღვრებოდა. როგორც მდინარის ნაკადი გადმოსჩქეფს კლდიდან და მიწიდან. ამაში იყო უცნაური და წარმოუდგენელი ნეტარება, ექსტაზი, რომელსაც არავითარი საერთო არ ჰქონდა ფიქრთან და გრძნობასთან.

ეს ვერხვის ხეა, რომლის ფოთლებიც კრთიან ნიავის დაბერვაზე, და ამ ცეკვის გარეშე არ არის სიცოცხლე.

7 აზვისსო

საუბრის შემდეგ ძალიან დავიღალე, (შეხვედრა წინა დღეს იყო) საღამოს სასეირნოდ გავედი. მოკაშკაშე დღის შემდეგ ღრუბელი გროვდებოდა და საღამოს ინვიძებდა. ღრუბელი მთების თავზე იკრიბებოდა და ღინება დიდ ხმაურს გამოსცემდა. გზაზე მტვერი იყო ავტომობილების გამო, მდინარეზე ვინრო, ხის ხიდი იყო გადებული, ჩვენ

ეს ხიდი გადავიარეთ და ბალახიან გზას ზევით გაუყევით, მწვანე ფერდობები ფერადფერადი ყვავილებით იყო სავსე.

გზად ძროხების სადგომს ჩაუვარეთ, ცარიელი იყო, საქონელი საძოვარზე ყავდათ წაყვანილი უფრო მაღლა. ადამიანების გარეშე, მჩქეფარე ღინების ხმის ფონზე საოცარი სიმშვიდე იყო. ჩუმად, სიმშვიდეში, ის მოვიდა, ისე ნაზად, რომ ვერც მიხვდებოდი, ისე ახლოს დედამიწასთან, ყვავილებს შორის. ის იღვრებოდა, თარავდა მიწას და ადამიანი მასში იყო, არა როგორც დამკვირვებელი, არამედ როგორც მისი საკუთრება. არ იყო არავითარი ფიქრი და გრძნობა – გვინის სრული სიმშვიდე. უცებ უბინოება მოვიდა, ისეთი უბრალო, ისეთი ნათელი და ნატიფი. ეს იყო უბინოების მდელი, სიამოვნებისა და გვივილის გარეშე, ყოველგვარი წამების, იმედისა და სასწონარკვეთის მიღმა. ის აქ იყო, და გვინსა და მთელს ადამიანურ არსებობას უბინოს ხდიდა; ადამიანი მას ეკუთვნოდა, – საზომისა და სიციყების მიღმა, გონება გამჭირვალეა, გვინი ახალგაზრდა დროისმილმიერი.

ეს რალაც პერიოდი გრძელდებოდა, უკვე გვიან იყო და უკან დაბრუნება მოგვიხდა.

დღეს დილით, გაღვიძების მერე, ცოტა დრო დაჭირდა ამ უსაზღვრობას რომ მოსულიყო, ის მოვიდა და ფიქრი და გრძნობა გაქრა. როდესაც კბილებს ვიხეხავდი, მისი ინტენსივობა იყო მძაფრი და მკაფიო. ის ისევე მოულოდნელად მიდიოდა, როგორც მოდიოდა, არაფერს შეეძლო მისი შეკავება და არაფერს შეუღია მისი მოხმობა.

პროცესი მძაფრი იყო, გვივილი ბასრი.

8 აზვისსო

რადგანაც წინა დღე ძალიან მომქანცველი იყო, გაღვიძებისას სიმშვიდე სუფევდა. საოცარი სიჩუმე იდგა; დაჯექი, რათა ჩვეულებრივ მედიტაცია დამენყო. მოულოდნელად, როგორც შორეულ ხმაურს გაიგებ ხოლმე, ეს დაიწყო, მშვიდად, მსუბუქად და უცებ მთელი ძალით. ასე გრძელდებოდა ალბათ რამდენიმე წუთს. ეს წავიდა, მაგრამ თავისი არომატი ცნობიერების სიღრმეებში დატოვა და მთელი ხედვა თვალეებში.

საუბრის დროს (ეს იყო მეშვიდე საუბარი, მიძღვნილი მედიტაციის არსს), დღეს დილას, ეს უსაზღვრობა თავისი კურთხევით აქ იყო. ამას ყველა თავის ინტერპრეტაციას გაუკეთებდა, რითიც მის აღუწერელ ბუნებას დაარღვევდა. ნებისმიერი ინტერპრეტაცია ამახინჯებს.

პროცესი მძაფრად მიდიოდა, სხეული ძალიან დასუსტდა. მაგრამ ამ ყველაფრის მიღმა არის სისუფთავე წარმოუდგენელი მშვენიერების; ეს არ არის სილამაზე საგნის, რომელიც ფიქრმა, გრძნობამ, ან ვილაც ოსტატის ნიჭმა შექმნა, ის გავს მდინარეს, რომელიც მოედინება, კვებავს და ინდეფერენტული რჩება გამოყენებისა და დაბინძურების მიმართ; ის არის სრული და მთლიანი თავისთავადობა. ძალა, რომელსაც არაავითარი ფასი არ აქვს ადამიანის სოციალური სტრუქტურისა და ქმედებისთვის. მაგრამ ის აქ არის, უვნებო, უსაზღვრო, მიუწვდომელი. მისი წყალობით არსებობს ყოველივე.

9 აზვისსო

დღეს დილას, გაღვიძებისას, ისევ ვიგრძენი, რომ ცარიელი ღამე იყო; ეს უკვე მეტისმეტი იყო სხეულისთვის, წინა დღის შეხვედრის მერე ძალიან დაღლილი ვიყავი. როგორც ყოველთვის, ლოგინზე ჯდომისას, სხეული მშვიდად იყო; ქვეყნიერებას ეძინა, არ იყო არავითარი ხმა და დილა ღრუბლებით იყო დამძიმებული. საიდანაც არ უნდა მოსულიყო ის, მოვიდა მოულოდნელად და ცოცხალურად, ეს კურთხევა, მთელი თავისი ძალითა და ღონით. ის დარჩა, ავსებდა ოთახს და ირგვლივ ყველაფერს, შემდეგ კი მოულოდნელად წავიდა და დატოვა განცდა სიფრცის, რისი სიდიადეც სიტყვებით გამოუთქმელია.

გუშინ როდესაც ვსეირნობდი კლდეებს, მდელოებსა და ნაკადულებს შორის, საოცარი სიმშვიდისა და მშვენიერების ფონზე, ისევ ვიგრძენი ეს უცნაური, ღრმად შთამბეჭდავი უბინოება. ის მშვიდად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შემოვიდა, გონების ყველა კუთხე კუნჭულში შეაღწია, და გაასუფთავა ის ყოველგვარი ფიქრებისა და გრძნობებისგან. ის ადამიანს ხდიდა ცარიელს და საესეს. უცებ დრო გაჩერდა. ყველა გრძნობდა მის მოსვლას. (სეირნობდა მეგობრებთან ერთად)

პროცესი მიდის, შედარებით მსუბუქად და ღრმად.

10 აზვისსო

ძალიან ძლიერი წვიმა იყო, მთაში მიმაგალი მოუკირწყლავი გზის ნაპირებზე, მრგვალ ფოთლებს სულ ჩამოერეცხა თეთრი მცვერი. ჰაერი მსუბუქი და ნაზი იყო, ასეთი სიმაღლისთვის არც ისე მძიმე; ის სასიამოვნო

იყო, სუფთა, სველი მინის სუნით გაჟღერებული. გზას მიუყვებოდი, ვაცნობიერებდი დედამიწის მშვენიერებასა და ციცაბო ბორცვების კონტურებს საღამოს ცის ფონზე, მასიურ კლდოვან მთებს, თავისი ყინულოვანი და თვართო თოვლიანი მინდვრებით, უამრავ ყვავილს მდელოზე. ეს იყო უდიდესი სიმშვიდისა და სილამაზის საღამო. წყლის ნაკადი წვიმის გამო აიძვრა და გაჭუჭყიანდა; მთის წყლისთვის დამახასიათებელი გამჭირვალობა დაკარგა, მაგრამ მალე ისევ ისეთი გახდება.

ნახევრად მძინარე, ყოველგვარი აზრის გარეშე, როდესაც მასიურ კლდეებს ვუყურებდი, თავისი ხვეულებით, ფორმებითა და მბრწყინავი თოვლით, უცებ გაჩნდა უზარმაზარი, უსასრულო ღირსების ძალა და კურთხევა. მან მომენტალურად აავსო ხეობა, გონებას არ გააჩნდა საზომი; ის იყო სიტყვებს მიღმა. კვლავ მოვიდა უბინოება.

დილით ადრე, გაღვიძებისას, ის აქ იყო, და მედიტაცია უმნიშვნელო გახდა, ყველა ფიქრი მოკვდა, ყველა შეგრძნება შეჩერდა; გვინი აბსოლუტურად მშვიდი იყო. მისი აღწერა არ არის რეალური. ის აქ იყო, ხელშეუხებელი და შეუცნობელი. ის არასოდესაა ისეთი, როგორიც იყო, მასში დაუსრულებელი სილამაზა.

ეს საოცარი დილა იყო. ასე გრძელდებოდა მთელი ოთხი თვე, მიუხედავად გარემოებისა, და სხეულის მდგომარეობისა. ის არასოდესაა ერთნაირი და მაინც ის სულ ერთნაირია; ის – ნგრევაა და უწყვეტი ქმნალობაა. მისი ძალა და ძლევამოსილება ყოველგვარი სიტყვისა და შედარების მიღმაა. ის არასოდეს გრძელდება; ის – სიკვდილი და სიცოცხლეა.

პროცესი საკმაოდ მძაფრი იყო, თუმცა ყველაფერი უმნიშვნელო იყო.

11 აბზისსო

(აქ იწყება უკვე დიდი ზომის ჩანაწარების წიგნი)

მთის ხმაურიან დინებასთან, მწვანე, მდიდარ მდელოებს შორის, ბინდშემოპარული ცის ქვეშ, როდესაც ავტომობილში ვიჯექი, ეს ხელუხლებელი უბინოება, რომლის სიმკაცრეც – მშვენიერებაა, აქ იყო. გვინი სრულიად მშვიდი იყო, და ის მას შეეხო.

გვინი იკვებება რეაქციებითა და გამოცდილებით; ის ცხოვრობს გამოცდილებით. მაგრამ გამოცდილება ყოველთვის შეზღუდული და განპირობებულია; მესხიერება – ესაა მექანიზმი ქმედების. გამოცდილების, ცოდნისა და მესხიერების გარეშე, შეუძლებელია მოქმედება, მაგრამ ასეთი ქმედება არის ფრაგმენტული, ლიმიტირებული. ფიქრებისგან ორგანიზებული ამროვნება არასოდესაა სრული; იდეა – მესხიერების გამოძახილია, ის უნაყოფოა. რწმენა, კი ფიქრების თავშესაფარია. ყოველგვარი გამოცდილება მხოლოდ აძლიერებს ფიქრს, ნეგატიურად თუ პოზიტიურად.

განცდა განპირობებულია გამოცდილებით, წარსულით. თავისუფლება – ესაა გონების დაცარიელება გამოცდილებისგან. როდესაც გვინი აღარ იკვებება გამოცდილებით, მესხიერებით და ფიქრით, როდესაც ის კვდება განცდისთვის, მაშინ მისი მოქმედებაც აღარაა ეგოცენტრული. მაშინ ის

თავის საკვებს რაღაც სხვისგან იღებს. და სწორედ ასეთი კვება ხდის გონებას რელიგიურს.

დილით, გაღვიძებისას, დამოუკიდებლად ყოველგვარი მედიტაციის, ყოველგვარი თიქრით ან ილუზიით გამონწვეული გრძნობებისა, ტვინის ცენტრში და მის მიღმა, ცნობიერების ცენტრში და მთელი არსების ცენტრში იყო ინტენსიურად მკათიო სინათლე. ის აქ იყო, ყოველგვარი მოძრაობის გარეშე. ამ სინათლესთან ერთად იყო ის წარმოუდგენელი, გრძნობისა და თიქრისთვის მიუწვდომელი ძალა და მშვენიერება.

დღის მეორე ნახევარში, პროცესი საკმაოდ მძაფრი იყო.

12 აბჰისხო

გუშინ ხეობაში სეირნობისას, ღრუბლებით დაფარულ მთებს შორის, დინებასთან ახლოს, რომელიც ისე ხმაურობდა, როგორც არასოდეს, საოცარი სილამაზის შეგრძნება იყო. იმიტომ არა, რომ, მდელი, ფერდობი ან თიქვები შეიცვალა, არა, უბრალოდ სინათლე იყო სხვა, უფრო მსუბუქი, კაშკაშა, თითქოს ყველაფერში აღწევდა და ჩრდილს არ ტოვებდა. გზას მალლა მიუყვებოდით და შეგვეძლო დაბლა, მწვანე საძოვრებით გარშემორტყმული ფერმისთვის გვეცქირა. ეს იყო მწვანე მდელი, მდიდარი უხილავი ბალახით, მაგრამ ეს ფერმა თავისი მწვანე საძოვრებით თითქოს მთელს დედამიწას და მთელ კაცობრიობას მოიცავდა. ეს იყო აბსოლუტურად დასრულებული. ეს იყო დასრულებული სილამაზე, რომელიც არც თიქრისა და არც გრძნობის მიერ არაა შელახულა. მშვენიერება სურათის, სიმღერის, ან შენობის ადამიანის ხელითაა შექმნილი, ის შეიძლება შეადარო რამეს, აკრიტიკო, დაამატო რამე ან

დაასრულო. მაგრამ ეს სილამაზე არ იყო ადამიანის ხელით შექმნილი, მან რომ იარსებოს, ყველაფერი, რაც ადამიანის ხელს შეუქმნია, სრულიად უნდა უარყო. მისთვის აუცილებელია ცოცხალური უბინოება, ცოცხალური ასკეტიზმი, არა ფიქრისგან მოტანილი უბინოება, ან მსხვერპლშენივით მიღწეული ასკეტიზმი. როდესაც გვინი, გათავისუფლდება დროისგან, მისი რეაქციები სრულიად გაქრება, და გახდება აბსოლუტურად მშვიდი, ესა მკაცრი უბინოება მაშინ დაისადგურებს.

გათენებამდე ძალიან ადრე გამეღვიძა, როდესაც ჰაერი ძალიან მშვიდია და დედამიწა მზის ამოსვლას ელოდება. გამეღვიძა სპეციფიკური, უცნაური სიცხადითა და დაჟინებულობით, რომელიც სრულ ყურადღებას ითხოვდა. სხეული სრულიად უძრავი იყო, უმოქმედობა სადაც არ არის არავითარი იძულება ან დაძაბულობა. თავის შიგნით რაღაც უცნაური ხდებოდა, ეს რაღაც სპეციფიკური ფენომენია.

დიდი ფართო მდინარე, წყლის დიდი მასით, მაღალი, პრიალა გრანიტის კლდეებს შორის მოედინებოდა. მდინარის ორივე მხარეს იყო პრიალა, მბრწყინავი გრანიტი, სადაც არაფერი იზრდებოდა, არც ერთი ბალახი; არაფერი არ იყო, გარდა ფრიალა და ციცაბო თვალუწვდენელი კლდეებისა. მდინარე უშფოთველად მიედინებოდა, მდუმარე, გულგრილი, დიდებული. ეს რეალურად ხდებოდა, ეს არ იყო სიმმარი, ჩვენება ან სიმბოლო რისი ინგერპრეგაციაც შესაძლებელია. ის აქ იყო, ეჭვს გარეშეა, და ის არ იყო წარმოსახვის ნაყოფი. ის ზედმეტად დიდი და რეალური იყო, იმისათვის რომ ფიქრს გამოეგონებინა.

სხეულის უძრაობა და ეს უზარმაზარი მდინარე, რომელიც გვინის პრიალა გრანიტის კედლებს შორის მოდიოდა, ნახევარი საათიდან ერთ საათამდე გაგრძელდა. ღია ფანჯრიდან თვალეებს განთიადის დანახვა

შეეძლოთ. არავითარი ეჭვი არ იყო, რომ ეს რეალურად ხდებოდა. საათნახევარი სრული ყურადღება იყო, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე. სრულიად მოულოდნელად ეს შეწყდა და დღე დაიწყო.

ამ დილას კურთხევა ოთახს ავსებდა. ძლიერი წვიმა იყო, მაგრამ მოგვიანებით გამოიღარა.

პროცესი თავისი წნევებითა და ტკივილით მსუბუქად მიდის.

13 აგვისტო

როგორც გზა რომელიც მაღლა მთაში მიემართება, თავისთავში ვერ მოიცავს მთელ მთას, ისე უსაზღვრობა არ არის სიღრმე. და მაინც, მაღლა მთაში ასვლისას, ფერდობის ძირში გამოსულ ნაკადულთან ერთად, ეს საოცარი, უსახელო უსაზღვრობა აქ იყო, გონება და გული ავსილი იყო მისით, წყლის ყოველი წვეთი, ფოთოლსა თუ ბალახზე მისით ანათებდა.

მთელი ღამე და მთელი დღე წვიმდა, მძიმე ღრუბელი იყო, ახლა კი მაღალ ფერდობებზე მზე გამოჩნდა და მწვანე, გადარეცხილ, ყვავილებით სავსე მდელოებზე ჩრდილი განვა. ბალახი ძალიან სველი იყო, და მთებს მზე ანათებდა. მიუყვებოდით ამ ბილიკს და ეს იყო მშვენიერება, და საუბარი ახლა ან მერე, თითქოს ვერანაირად (აქ სიღრმე დაკარგულია) ამ სინათლის სილამაზეს ან უბრალოდ მშვიდობას, რომელიც აქ სუფევდა. ამ უსაზღვრობის კურთხევა აქ იყო, და აქ იყო სიხარულიც.

დღეს დილას, გაღვიძებისას ეს მიუწვდომელი ძალა რომლის სიძლიერეც კურთხევაა, აქ იყო, ის იგრძნობოდა, და გვინი მას აღიქვავდა ყოველგვარი რეაქციების გარეშე. ეს ძალა ცას საოცრად სუფთას ხდიდა და პლუადებს ენით აღუწერლად ლამაზს. თოვლიანი მთების თავზე ამომავალი მზე, სამყაროს სინათლე იყო.

საუბრისას (ეს იყო ბოლო საუბარი, რელიგიური გონების შესახებ) ის აქ იყო, მიუწვდომელი და სუფთა, შუადღის შემდეგ ის ელვისებური სისწრაფით ოთახშიც მოვიდა და წავიდა. მაგრამ რაღაც დონეზე ის მუდამ აქ არის, თავისი უცნაური უბინოებით, თვალისთვის შეუძნეველი.

პროცესი საკმაოდ მძაფრი იყო, როგორც გასულ ღამეს, ისე ახლა, როდესაც ამას ვწერ.

14 აზვისსმო

მიუხედავად იმისა, რომ, წუხანდელი საუბრისა და ხალხთან შეხვედრის გამო, დილით სხეული ძალიან სუსტი იყო, ავტომობილში, ფართოდ გაშლილი ხის ქვეშ, მიდიოდა რაღაც უცნაური ღრმა მოქმედება. ეს ის ქმედება არ არის, რომელსაც გვინი თავისი ჩვეული რეაქციით გაიგებს, ან ფორმულირებას გაუკეთებს, ეს მისი შესაძლებლობების მიღმა იყო. მაგრამ ეს იყო მოქმედება, შიგნით ძალიან ღრმად, და ის ნებისმიერ წინააღმდეგობას ღახავდა. თუმცა შეუძლებელია მისი ბუნება აღწერო, ან ხასიათი მისი ქმედების, როგორც ღრმა მინისქვეშა წყლები, რომლებიც გზებს ზევით იკვლევენ, ეს მოქმედება უფრო ღრმად იყო ვიდრე ყველა ცნობიერება.

გვინის მგრძობელობის ზრდას შევიგრძნობ, ფერი, ფორმა, ხაზი, საგნების საერთო ფორმები – ეს ყველაფერი გახდა ინტენსიური და საოცრად ცოცხალი. ჩრდილებს, როგორც ჩანს საკუთარი ცხოვრება აქვთ, ცხოვრება ღიადი სიღრმისა და სისუფთავის. მშვენიერი, წყნარი საღამო იყო; ფოთლებს შორის ქარი დაჰქროდა, ვერხვის ფოთლები თრთოდნენ და ცეკვავდნენ. მაღალი და სწორი მცენარე, თეთრი ყვავილებით, რომლებსაც ღია ვარდისფერი დაჰკრავდათ, მთის დინებასთან ამოსულიყო, როგორც მცველი. დინება ჩამავალი მზის ფონზე ოქროსფერი იყო, ხეები ღრმა მღუმარებაში იყვნენ; თითქოს გავლილი მანქანაც ვერ აწუხებდა მათ. თოვლით დაფარული მთები ღრმად იმალებოდნენ ბნელ, მძიმე ღრუბლებში, მდელოები იცნობდნენ უბინოებას.

გონება შორს იყო ყოველგვარი განცდებისგან და მედიტაციაში მყოფი ჩუმად იყო.

15 აბჰისხო

დინების გასწვრივ სეირნობისას, ღრუბლებით დაფარული მთების ძირში, ინტენსიური მღუმარების წუთები იყო, მსგავსად, გაფანტულ ღრუბლებს შორის, ლურჯი ცის მბრწყინავი ლაქებისა. ცივი და ნესტიანი საღამო იყო, ქარი ჩრდილოეთიდან უბერავდა. შემოქმედება – ეს არ არის ნიჭიერი, გალანგით დაჯილდოებული ხალხისთვის, მათ იციან მხოლოდ კრეატიულობა, მაგრამ არა შემოქმედება. შემოქმედება – ფიქრისა და ფორმის მიღება, სიცივისა და გამობხატვის მიღება. მას ვერ გადმოსცემ, შეუძლებელია მისი ფორმულირება, სიცივებით გადმოცემა. მისი შეგრძნება

შესაძლებელია მხოლოდ სრული ცნობიერებით. შეუძლებელია ის გამოიყენო და გასაყიდად დადო, ივაჭრო და გაყიდო.

გვინს, მთელი თავისი მრავალფეროვანი რეაქციებით, ამის გაგება არ შეუძლია. გვინს არ შეუძლია მას შეეხოს. ის სრულიად უუნაროა. ცოდნა ხელისშემშლელია და თვით-შემეცნების გარეშე ქმნადობა არ იქნება. ინტელექტი, ეს გვინის მკვეთრი ინსტრუმენტი, ვერანაირად ვერ მიუახლოვდება მას. მთელი გვინი, თავისი ფარული, საიდუმლო მოთხოვნითა და მისწრაფებებით, მრავალფეროვანი ეშმაკური სათნოებებით, სრულიად მშვიდი და მდუმარე უნდა იყოს, ფხიზელიც და ჩუმიც. შემოქმედება ეს არ არის პურის გამოცხობა ან ლექსების წერა. გვინის მთელი მოქმედება ადვილად და ნებაყოფლობით, კონფლიქტისა და ტვივილის გარეშე, უნდა შეჩერდეს. კონფლიქტისა და იმიტაციის ჩრდილიც არ უნდა იყოს.

მაშინ არსებებს ეს საოცარი მოქმედება, რასაც შემოქმედება ქვია. ის არსებობს, მხოლოდ სრულ, აბსოლუტურ უარყოფაში. ეს ვერ მოხდება დროთა განმავლობაში და ვერც სივრცე ვერ დაფარავს მას. აუცილებელია სრული სიკვდილი, ცოცხალი განადგურება, რათა ეს იყოს.

დილით გაღვიძებისას, შინაგანად და გარეგნულად სრული მდუმარება იყო. სხეული და გვინი, რაც იზომება და იწონება სრულიად უძრავი იყო, თუმცა ორივე ცოცხალი და ძლიერ სენსიტიური. და ისე მშვიდად, როგორც განთიადი მოდის, ის მოვიდა, სადღაც შიგნით, დიდი სიღრმეებიდან, ეს ძალა, თავისი ენერჯითა და სისუფთავით. თითქოს მას არც ფეხვები ქონდა, არც მიზები, და მაინც ის აქ იყო, ინტენსიური და მყარი, თავისი მიუწვდომელი სიმაღლითა და სიღრმით. რაღაც დროის

განმავლობაში, თუ საათის მიხედვით ვიმსჯელებთ, ის აქ იყო, მერე კი წავიდა, როგორც ღრუბელი მთის უკან.

ყოველთვის არის რაღაც „ახალი“ ამ კურთხევაში. „ახალი“ ხარისხი, „ახალი“ არომატი, და მაინც, ის უცვლელია. ის აბსოლუტურად შეუცნობელია.

რაღაც პერიოდი პროცესი მძაფრი იყო; ეხლა ის მსუბუქ ფორმებში მიდის. ყველაფერი ძალიან უცნაური და არაპროგნოზირებადია.

16 აბჰისხი

ორ უსასრულო, უზარმაზარ ღრუბელს შორის, სუფთა და საოცრად ლურჯი, ნაზი და გამჭირვალე ლურჯი ცა ლაქასავით მოჩანდა. სულ ძალიან ის შთაინთქმებოდა და აღარასოდეს იარსებებდა. ასეთ ლურჯ ცას ველარასოდეს ნახავდი. თითქმის მთელი ღამე და მთელი დღი წვიმდა, მთებსა და ძალიან გორებზე ახალი თოვლი იდო. მდელოები ისეთი მწვანე და მკათი იყო, როგორც არასოდეს, მაგრამ ლურჯი ცის ეს ჰატარა ლაქა აღარასოდეს იარსებებს. ამ ლაქაში იყო სინათლე ყველა ბეცის და ყველა ცის. სანამ ვუყურებდი, მან ფორმის შეცვლა დაიწყო, ღრუბლები ჩქარობდნენ მის დატარვას, და არც ისე კარგად მოჩანდა. ის გაქრა, და აღარასოდეს დაბრუნდებოდა. მაგრამ მას ხედავდნენ, და მისი საოცრება რჩებოდა.

იმ წუთებში, როდესაც დივანზე ვინეცი, და ღრუბლები იპყრობდნენ ამ სილურჯეს, სრულიად მოულოდნელად მოვიდა ეს კურთხევა თავისი სისუფთავითა და უბინოებით. ის მოვიდა სიჭარბით და ოთახს ავსებდა,

სანამ ოთახი და გული შეძლებდნენ მის დაგვეას. მისი ინტენსივობა განსაკუთრებით დაუძლეველი და გამსჭვალავი იყო, და მისი მშვენიერება მიწას მოედო. მზე ანათებდა ლაქებს კაშკაშა ბალახზე და მუქი ფიჭვები მშვიდი და ინდეფერენტული იყვნენ.

დღეს დილას, ძალიან ადრე, განთიადამდე ალბათ 2 საათით ადრე გავიღვიძე, თვალებს ძილის შეგრძნება არ ქონდათ, უსასრულო სიხალისე შევიგრძენი; მას არ ქონდა მიზები, არც სენტიმენტალობა, არც ემოციური ექსტრაგანტულობა და ენთუზიაზმი არ იდგა მის უკან. ის ისეთი ნათელი იყო, უბრალო, მხიარული, შეურყენელი, ხელუხლებელი, მდიდარი და სუფთა. მის უკან არ იდგა არავითარი ფიქრი ან საფუძველი, მისი გაგება შეუძლებელია რადგანაც მას არ აქვს მიზები. ეს სიხალისე საკუთარი არსებობიდან მოდიოდა და ეს არსებობა უკიდურესად ცარიელი იყო. როგორც წყლის ნაკადი, რომელიც მთის ფერდობებზე მოედინება, ბუნებრივი და ენერგიული, ეს სიხარულიც, მომავალი არსაიდან და მიმავალი არსად, დიდი სიუხვით იღვრებოდა, მაგრამ გული და გონება არასოდეს იქნება ისეთი როგორც ადრე. შეუძლებელია ამ სიხალისის ხარისხის გაცნობიერება, ის მოდის და მისი ბუნება, ალბათ დროთა განმავლობაში იჩენს თავს, თუმცა დრო მას ვერ გაზომავს. დრო არარაობაა და მას არ შეუძლია აწონოს სიუხვე.

სხეული ძალიან ცარიელი და სუსტი იყო, გასულ ღამესა და დილას პროცესის საკმაოდ მძაფრი იყო, თუმცა დიდხანს არ გავგრძელდა.

17 აზვისსო

ღრუბლიანი, წვიმიანი დღე იყო, ძლიერი და ცივი ჩრდილო დასავლეთის ქარით. გზას ჩანჩქერისკენ მიუყვებოდით, სწორედ აქედან მოედინებოდა ეს ხმაურიანი ნაკადი. ხალხი ძალიან ცოცხალი იყო, ავტომობილიც აქა იქ გაივლიდა, ღინება ჩვეულებრივზე სწრაფი იყო. ჩვენ მალე მიუყვებოდით გზას, ქარი ზურგიდან გვიბერავდა; ვინრო ხეობა თართოვდებოდა და მწვანე ხასხასა საძოვრებზე მზის ლაქები გამოჩნდა. ისინი (ხალხი მუშაობდა) გზას აფართოებდნენ, როდესაც მიუახლოვდით, მოგვესალმნენ, მეგობრულად გაგვიღიმეს და იგალიურად რამდენიმე სიტყვა გვითხრეს. ისინი მთელ დღეებს შრომობდნენ, თხრიდნენ, ქვებს იღებდნენ, და თითქოს წარმოუდგენელი იყო, მათ სიცილი კიდევ რომ შეეძლოთ. მაგრამ ისინი იცინოდნენ და კიდევ უფრო შორს, ფარდულის ქვეშ თანამედროვე მანქანით ჭრიდნენ ხეებს, ბურღავდნენ ხვრელებს და უზორებს აკეთებდნენ. ხეობა უფრო და უფრო იშლებოდა, შორს სოფელი მოჩანდა, უფრო შორს კი კლდისანი და ყინულოვანი მთიდან გადმოსული ჩანჩქერი.

უფრო ვგრძნობდი, ვიდრე ვხედავდი მიწისა და დაღლილი ხალხის, სწრაფი ჩანჩქერისა და მშვიდი მდელის სილამაზეს. უკან გზაზე, სახლიდან არც ისე შორს, მთელი ცა მძიმე ღრუბლებით დაიფარა და ჩამავალმა მზემ უცებ მალაღი კლდოვანი მთის მწვერვალები გაანათა. მწვერვალებზე მზის ეს ლაქები, ავლენდა სილამაზისა და გრძნობის ისეთ სიღრმეს, რომლსაც ვერანაირი ქანდაკება და სურათი ვერ გადმოსცემს. თითქოს ეს კლდეები საკუთარი შინაგანი სინათლით ანათებდა, უშფოთველი და ჩაუქრალი. ასე დასრულდა დღე.

მეორე დილით ადრე, გაღვიძებისას, გაუცნობიერე წინა საღამოს სილიადე და მშვენიერება, რომელიც უკვე აქ იყო. ცნობიერებას არ შეუძლია დაიციოს უბინოების უსაზღვრობა; მას შეუძლია მიიღოს ის, მაგრამ ვერ მიყვება მას და ვერც მის კულტივირებას მოახდენს. მთელი ცნობიერება უნდა იყოს აბსოლუტურად მშვიდი, არ სურდეს, არ ეძებდეს, არ მიყვებოდეს. ცნობიერება გოგალურად მშვიდი უნდა იყოს, და მხოლოდ მაშინ შეიძლება მოვიდეს ის, რასაც არც დასასრული აქვს და არც დასაწყისი.

მედიტაცია არის ცნობიერების დაცარიელება, არავითარი მიღება, არამედ სრული გათავისუფლება ამ მისწრაფებებისგან. უნდა იყოს სიჩუმის სივრცე, შექმნილი არა თიქრისა და მისი მოქმედებებისგან, არამედ სივრცე, რომელიც ჩნდება სრული უარყოფისგან და ნგრევისგან, როდესაც აღარაა თიქრი და მისი პროექცია. მხოლოდ ამ სიცარიელეშია შესაძლებელი შემოქმედება.

დილით ადრე გაღვიძებისას, მშვენიერება ამ ძალის, თავისი უბინოებით აქ იყო, შინაგანი სიღრმეებიდან გონების ზედაპირზე მიდიოდა. მას ქონდა თვისება უსასრულო მოქნილობის, მაგრამ ვერაფერი ვერ მისცემდა მას ფორმას, ვერ შეცვლიდა, ვერ დაუქვემდებარებდი ვერანაირ ყალიბს. მას ვერ დაიჭერ სიმბოლოებითა და სიგყვებით. თუმცა ის აქ იყო, უსასრულო, ხელშეუხებელი. ყველა მედიტაცია ცარიელი და სულელური ჩანდა. რჩებოდა მხოლოდ ის, და გონება მშვიდი იყო.

დღის განმავლობა, უცნაურ წუთებში, ეს კურთხევა მოდიოდა და მიდიოდა.

სურვილს და თხოვნას არავითარი აზრი არ აქვს. პროცესი მშვიდად მიდის.

18 აზვისსო

თითქმის მთელი ღამე წვიმდა და საკმაოდ აცივდა. მთებსა და მწვერვალებზე ღიდი თოვლი იდო, გამჭოლი ქარი უბერავდა. მწვანე მდელოები საკმაოდ მკაფიო იყო, და სიმწვანეც გასაოცარი. მთელი დღე წვიმდა, მხოლოდ საღამოსკენ დაიწყო გამოდარება და მთებს შორის მზე გამოჩნდა. ჩვენ ბილიკზე ვსეირნობდით, რომელიც ერთი სოფლიდან მეორისკენ მიდიოდა, ეს გზა ფერმას უვლიდა მდიდარი მწვანე მდელოების გასწვრივ. ძელები, რომლებზეც მძიმე კაბელი იყო გაბმული, საღამოს ცის ფონზე შემაძრწუნებლად გამოიყურებოდნენ. ამ უბარმაზარი ფოლადის კონსტრუქციის ყურებისას, ცაზე მოფანტული ღრუბლების ფონზე, საოცარი ძალა და სილამაზე იგრძნობოდა. ხის ხიდზე გადასვლისას, ნაკადი აღიდებული იყო ამდენი წვიმისგან, სწრაფად მიედინებოდა, ისეთი ენერგიითა და ძალით, რაც მთის ნაკადს ახასიათებს. ვუყურებდი ღინებსა ბევიდან ქვევით, კლდეებსა და ხეებს შორის მოქცეულ ვიწრო კალაპოტში და ვგრძნობდი დროის მოძრაობას, წარსულს, აწმყოსა და მომავალს; ეს ხიდი იყო აწმყო, და მთელი ცხოვრება მოძრაობდა და ცხოვრობდა ამ აწმყოს შედეგად.

ამ ყველაფრის მიღმა, წვიმისგან გადარეცხილი და ატალახებული ბილიკის მიღმა, იყო რაღაც სხვა, სამყარო, რომელსაც ვერასოდეს ვერ შეეხება ადამიანის ფიქრი, თავისი ქმედებებითა და დაუსრულებელი სევდით. ეს სამყარო არ იყო იმედის ან რწმენის. იმ მომენტში ეს ბოლომდე

ვერ ცნობიერდებოდა, ბევრი სხვა რამ იყო დასაკვირვებელი, შესაგრძნობი და აღსაქმელი; ღრუბლები, მკრთალი ცისფერი ცა მთებს მიღმა და მზე მათ შორის, საღამოს შუეი ცქრიალა მდელოებზე, ძროხების სადგომის სუნი და წითელი ყვავილები ფერმის გარშემო. ეს სხვა აქ იყო, ყველაფერს ფარავდა, ისე, რომ, თვით ყველაზე მცირედსაც კი არ ტოვებდა, და როდესაც უკვე ლოგინში ვინეჩი, თხიზელი, ის მოვიდა, გადმოიღვარა და გული და გონება აავსო. მაშინ გავაცნობიერე ეს ნატიფი სილამაზე, მისი ვნება და სიყვარული. არა ის სიყვარული, რომელიც მოქცეულია ფორმაში, გამონვეული სიმბოლოებით, სურათებითა და სიტყვებით. არა ის სიყვარული, რომელიც გახვეულია შურსა და ეჭვიანობაში, არამედ სიყვარული, რომელიც არსებობს თიქრებისა და გრძნობებისგან დამოუკიდებლად, რომელიც თავადაა გლუვი მოძრაობა, მარადისობა. ამის მშვენიერება აქ არის, თავდავინყების ვნებით. არ იარსებებს ამ მშვენიერების ვნება, თუ არ იქნება ასკეტიზმი(სიმკაცრე). ასკეტიზმი არ არის საგანი გონების, მსხვერპლშენიერვით, დათრგუნვითა და დისციპლინით მიღებული. ეს ყველაფერი ბუნებრივად უნდა შეჩერდეს, არავითარი აზრი ამას ამ „სხვისთვის“ არ აქვს. ის მოვიდა, გადმოიღვარა თავისი ალუნერელი სიუხვით. ამ სიყვარულს არ ჰქონდა არც ცენტრი, არც პერიფერია, ეს ისეთი სრული იყო, ისეთი უძლეველი, რომ არ ჰქონდა ჩრდილი და ამიტომაც ნებისმიერ მომენტში აღვილად დაიმსხვრეოდა.

ჩვენ ყოველთვის გარედან ვიყურებით შიგნით. ერთი ცოდნიდან გადავდივართ შემდეგ ცოდნაზე, სულ ვამატებთ, ამოღება და თავიდან მოშორებაც კი, ახალ დამატებას ნიშნავს. ჩვენი ცნობიერება შედგება ათასი მოგონებისა და ცოდნისგან; ცოდნა მოცახცახე ფოთლის, ყვავილის, იმ ადამიანის, გამვლელის, ბავშვის, რომელიც მინდორზე დარბის, მთებისა და დინების, შუეი წითელი ყვავილების და საღორის ცუდი სუნის. გამომდინარე

ამ მოგონებებიდან და ცოდნიდან, გარეგნული რეაქციებით ვცდილობთ ჩვენვდეთ შინაგან სიღრმეებს, ღრმა მოტივებსა და სურვილებს. ვცდილობთ გონების უსასრულო სიღრმეების შეცნობას, მთელი ეს პროცესი გამონწვევებისა და პასუხების, მოძრაობა გამოცდილებისა და ცოდნის ფარული თუ ღია ქმედების, ეს არის ღრმში დაჭერილი ცნობიერება.

თასი არ არის მარტო ფორმა, ფერი ან დიზაინი, ის სიცარიელეცაა შიგნიდან. თასი – ეს ფორმაში მოქცეული სიცარიელეა, და რომ არა ეს სიცარიელე არც თასი იქნებოდა და არც ფორმა. ჩვენ ვიცნობთ ცნობიერებას გარეგნული ნიშნებით, თავისი შეზღუდულობით, სიმაღლითა და სიღრმით, ფიქრებითა და გრძნობებით. ეს ყველაფერი ცნობიერების გარეგნული ფორმაა და გარედან ვცდილობთ ჩვენვდეთ შინაგანს, შესაძლებელია კი ეს? არავითარი მნიშვნელობა არ აქვს თეორიებსა და სპეკულაციებს, ისინი სინამდვილეში ატერხებენ აღმოჩენებს. გარედან ვცდილობთ ჩვენვდეთ შინაგანს, ნაცნობიდან ვცდილობთ გავიგოთ უცნობი. შესაძლებელია გარეგნულიდან შინაგანის შეცნობა? ინსტრუმენტი რომელიც იკვლევს გარედან ჩვენ ვიცით, მაგრამ არსებობს კი ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც უცნობიდან ნაცნობს გამოიკვლევს? არსებობს? და როგორ შეიძლება ის არსებობდეს? ის ვერ იქნება, და თუ ის არსებობს, ის შეცნობადია, და თუ შეცნობადია, მაშინ ის ნაცნობის არეალის ფარგლებშია.

ეს უცნაური კურთხევა როცა უნდა მაშინ მოდის, მაგრამ ყოველ მის მოსვლაზე, ძალიან ღრმად, შიგნით ხდება ტრანსფორმაცია; ის არასოდესაა ერთი და იგივე.

პროცესი გრძელდება – ხან მსუბუქად ხან მძაფრად.

19 აზვისსო

არაჩვეულებრივი დღე იყო, უღრუბლო, დღე ჩრდილებისა და შუქის; ძლიერი წვიმების მერე, კრიალა და გამჭირვალე ცისფერ ცაზე მზე ანათებდა. მთები თავისი თოვლით ისე ახლოს იყო, გვეგონებოდა შეეხებოდი; ისინი ცის ფონზე მკაფიოდ მოსჩანდნენ. ნათელი, კაშკაშა მდელი მზეზე ბრწყინავდა, ყოველი ბალახი საკუთარ ცეკვას ცეკვავდა, ფოთლები მძიმედ მოძრაობდნენ. ხეობა ბრწყინავდა და თითქოს იცინოდა; ეს საოცარი დღე იყო ათასი ჩრდილით.

ჩრდილები უფრო ცოცხალია, ვიდრე რეალობა; ჩრდილები უფრო ღრმაა, გრძელი, მდიდარი; თითქოს მათ თავისი ცხოვრება აქვთ, დამოუკიდებელი და დაცული. მათ მიზიდულობაში რაღაც სიამოვნებაა. სიმბოლო უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე რეალობა. სიმბოლო იძლევა თავშესაფარს, და ძალიან ადვილია მასში კომფორტის პოვნა. მასთან იმას გააკეთებ რაც მოგინდება, ის არასოდეს შეგეწინააღმდეგებათ, ის არასოდეს შეიცვლება; ის შეგიძლიათ დაფაროთ გირლანდებით ან ფერფლით. საოცარი კმაყოფილებაა მკვდარ საგნებში, სურათებში, დასკვნებსა და სიტყვებში. ისინი მკვდარია, წარსულიდან მოხმობილი, და აქ არის სიამოვნება გუშინდელი სურნელის. ტვინი მუდამ გუშინდელია და დღევანდელი დღეც გუშინდელის აჩრდილია, და მომავალიც ამ აჩრდილის გაგრძელებაა; თუმცა ცოცხალი შეცვლილა, მაგრამ მას გუშინდელი სურნელი ასდის. ამიგომ ტვინი ცხოვრობს და მას თავისი ჩრდილი აქვს, მთელი მისი ცხოვრება ჩრდილია, ასე უსაფრთხო და კომფორტულია.

ცნობიერება ყოველთვის მიძღვება, აგროვებს და შემდეგ ამ მოგროვილიდან ინტერპრეტირებს; იღებს, აგროვებს, განიცდის, გამომდინარე აქედან, განსჯის, კომპილირებს, მოდიფიკაციას უკეთებს. ის იყურება არამარტო თვალებისა და გვინის მეშვეობით, არამედ ამ ბეგრანდის საშუალებითაც. ცნობიერება ჩნდება რათა მიიღოს და ამ მიძღვებით ის ცხოვრობს. მან თავის სიღრმეებში ის შეინახა რაც საუკუნეების მანძილზე მიიღო, – ინსტინქტები, მოგონება, დამცველი მექანიზმები, – ამატებს და ამატებს, გამორიცხავს მხოლოდ იმიტომ რომ ისევე მიიღოს. ეს ცნობიერება გარეთ მხოლოდ იმის გამო იყურება, რომ აწონოს, დააბალანსოს და მიიღოს. და როცა ის შიგნით იყურება, ეს მაინც გარეთ მიძღვრული ხედვაა – რათა აწონოს, დააბალანსოს და მიიღოს. შინაგანი გაშიშვლების პროცესი დამატების კიდევ ერთი ფორმაა. ეს პროცესი კი დროისგან განპირობებული მიდის და მიდის, გვივლით, წამიერი სიხარულითა და მწუხარებით.

უყურო, ხედავდე და გესმოდეს იმ ცნობიერებით – მოქმედებით, რომელშიც არ არის მიღება, არის სრული, გოტალური თავისუფლება.

ასეთ მოქმედებას არა აქვს ცენტრი, წერტილი, დიდი თუ მცირე, საიდანაც ის მოდის; აქედან გამომდინარე ის მოქმედებს ყველა მიძღვრულებით, ყოველგვარი დროის სივრცის ბარიერების გარეშე. ასეთ მოძრაობაში სმენა არის მთლიანი და ხედვა არის სრული, ეს მოქმედება არის არსი ყურადღების. ყურადღებაში ჩართულია ყველანაირი გათანგულობა (ყურადღების გადაგანა), იმიტომ რომ, არ არის არავითარი გათანგულობა. მხოლოდ კონცენტრაციამ იცის ყურადღების გათანგვის კონფლიქტი. ყველა ცნობიერება არის ფიქრი, გამოხატული ან გამოუხატავი, ვერბალური, ან ჯერ კიდევ სიცხეების ძიებაში; ფიქრი

როგორც გრძნობა და გრძნობა როგორც ფიქრი. ფიქრი არასოდესაა მშვიდი, რეაქცია, რომელიც გამოხატავს თავისთავს – ეს ფიქრია, და ფიქრი უფრო და უფრო ზრდის რეაქციას. სიყვარული, ჯერ კიდევ ფიქრის არეალის შიგნითაა. არსებობს კი სიყვარული და მშვენიერება ფიქრის შებლუდულ არეალში? არის მშვენიერება, როდესაც არის ფიქრი? ის სილამაზე და სიყვარული, რომელსაც ფიქრი იცნობს, სიმახინჯისა და სიძულვილის საწინააღმდეგოა. სილამაზეს არ ყავს მონინააღმდეგე ისე როგორც სიყვარულს.

ხედვა ფიქრის, სიგყვისა და მესხიერების გამოძახილის გარეშე, აბსოლუტურად განსხვავდება ხედვისგან, რომელსაც ახლავს ფიქრები და გრძნობა. იმას, რასაც ფიქრით ხედავთ, ზედაპირულია; ეს არის მხოლოდ ნაწილობრივი, და ამიტომ საერთოდ არაა ხედვა. ხედვა ფიქრების გარეშე – აბსოლუტური ხედვაა. ხედავდე ღრუბელს მთების თავზე ფიქრისა და მისი რეაქციის გარეშე, არის სასწაული სიახლის. ეს არ არის რაღაც „მშვენიერი“ ეს არის აფეთქება თავის უსაზღვრობაში; ეს ისაა, რაც არც ყოფილა და არც იქნება. რომ დაინახო, მოისმინო, ცნობიერება სრულიად მშვიდი უნდა იყოს, მხოლოდ მაშინ იქნება ეს გამანადგურებელი შემოქმედება. ეს ცხოვრების სისავსეა და არა ფრაგმენტი მთელი ფიქრის. აქ არ არის მშვენიერება, არამედ მხოლოდ ღრუბელი მთის ზემოთ, და ეს არის შემოქმედების აქტი.

ჩამავალი მზე მთის მწვერვალებს ეხებოდა, ბრწყინვალეს და თვალწარმტაცს, მიწაც მშვიდად იყო, აქ მხოლოდ ერთი ფერი იყო და არა სხვადასხვა ფერები, აქ იყო მხოლოდ სმენა და არა ხმათა სიმრავლე.

ამ დილას გვიან გავიღვიძე, მზე უკვე მწვერვალებს ანათებდა, და ეს კურთხევა, როგორც ბრწყინვალე ნათელი აქ იყო, მას როგორც ჩანს

საკუთარი ძალა და ძალაუფლება აქვს. მსგავსად შორს მორაკრაკე წყლისა, მისი მოქმედება გრძელდება – არ გვინის, თავისი სურვილებითა და ტყუილებით, არამედ მოქმედება ინტენსივობის.

პროცესი განსხვავებული ინტენსივობით მიდის, ხანდახან ძალიან მძაფრია.

20 აბჰისსო

შესანიშნავი დღე იყო, ცა ძალიან ლურჯი და დილის მზებზე ყველაფერი ბრწყინავდა. ღრუბლები აქეთ – იქით ზღაბუნით დაცურავდნენ, არ იცოდნენ საით ნასულიყვნენ. მწვანე, დახრილი გორაკების ფონზე, მზის სხივები, მოცახცახე ვერხვის ფოთლებზე მბრწყინავი სამკაულებივით მოჩანდა. მღელღები წინა ღამით შეცვლილიყო, უფრო ინტენსიური გახდა, უფრო რბილი და წარმოუდგენლად მწვანე. შორს გორაკებზე, სამი ძროხა ბალახს ძოვდა და მათი ზარების ხმა, დილის სუფთა ჰაერზე ისმოდა. ისინი უწყვეტი ცოხნით, მწყობრად, მღელღოს ერთი ბოლოდან მეორე ბოლოსკენ გადადიოდნენ. სათხილამურო გადამყვანი მათ თავზე გადიოდა, მაგრამ თავიც არ შეუწუხებიათ მალლა ახედვით. ეს მშვენიერი დილ იყო, თოვლიანი მთები ისე მკაფიოდ მოჩანდა, რომ მრავალი ჩანჩქერის დანახვა შეიძლებოდა. ეს იყო დილა გრძელი ჩრდილებისა და უსასრულო სილამაზის. უცნაურია, ამ მშვენიერებაში სიყვარული იყო, და ისეთი სიმშვიდე, თითქოს ყველაფერი გაირინდა, რათა რაიმე მოძრაობას ფარული ჩრდილი არ გაეღვიძებინა. ღრუბელი ცოცხალი გაიზარდა.

მშენიერი გასერნება იყო, ავტომობილი თითქოს იმით ცკებოდა რისთვის შექმნეს. ყოველ მოსახვევს, რაც არ უნდა მკვეთრი ყოფილიყო, მსუბუქად და სიამოვნებით გადიოდა, მაღლა, გრძელ აღმართშიც, ყოველგვარი ხმაურის გარეშე მიდიოდა, თუმცა არც ისე ცოცხა ძალა უნდოდა იქ ასვლას, სადაც გზა მიდიოდა. ის გავდა ცხოველს, რომელმაც საკუთარი ძალა კარგად იცის. გზა დაბურულ, მზით განათებულ ტყეში, აქეთ იქით უხვევდა, და სინათლის ყოველი ლაქა საოცრად ცოცხალი იყო, ის ფოთლებთან ცეკვავდა. გზის ყოველი მოსახვევი, უფრო ნათელი ჩანდა, უფრო მეტი ცეკვა და უფრო მეტი ალფრთოვანება იყო. ყოველი ხე და ყოველი ფოთოლი თავისთვის იყო, ინტენსიური და უმფოთველი. ხეებს შორის შემოჭრილ სინათლეში, საოცრად მწვანე მდელოები ლაქებად მოჩანდა. ეს იმდენად შთაბეჭდავი იყო, რომ, დამავინწყდა რამდენად სახიფათო გზაზე ვიყავი. გზა გახდა საოცრად მსუბუქი, და ნელ-ნელა სხვა ხეობაში შევიდა. ღრუბლები გროვდებოდნენ და სასიამოვნო იყო, მზე რომ აღარ გვაჭერდა. გზა თითქმის ჰორიზონტალური გახდა, თუ შეიძლება რომ მთის გზა გახდეს ჰორიზონტალური, ის გადიოდა მუქ, ფიჭვებით დაფარულ გორაკთან, წინ უზარმაზარი, ყოვლისშემძლე მთები, კლდეები და თოვლი იყო, მწვანე მინდვრები და ჩანჩქერები, ჰაგარა ხის ქოხები და მთების დაგრეხილი კონტურები. რთული იყო იმის დაჭერება, რასაც თვალები ხედავდნენ, – კლდეების ფორმების დაუძლეველი ღირსება, არავითარი ხეები და თოვლით დაფარული მთები, კლდეს კლდე მოყვებოდა, ეს იყო დაუსრულებელი კლდოვანი მასივი, და მის მოპირდაპირედ მწვანე მდელოები, რომლებსაც დიდი და ფართო მთა მოიცავდა. ეს მართლაც წარმოუდგენელი იყო; აქ იყო სიყვარული და სილამაზე, ნგრევა და უსასრულო შემოქმედება – არა ამ კლდეებში, მდელოებში, ან ფაცხებში, არამედ ამ ყველაფრის მიღმა. ის ისეთი სიდიადითა და გრუხუნით მოვიდა, რომლის დანახვა და მოსმენა არც ერთ თვალსა და ყურს არ შეეძლო,

ისეთი საესე და ისეთი მშვიდი იყო, რომ, ცვინი თავისი ფიქრებით არარაობად იქცა, მსგავსად ცყეში მყოფი მკვდარი ფოთლებისა. ის აქ იყო, ისეთი სიუხვითა და ისეთი ძალით, რომ ხეები და დედამინა დასრულდა. ეს იყო სიყვარული, შემოქმედება და განადგურება. და მეტი არაფერი არ იყო.

აქ იყო არსი სიღრმის. არსი ფიქრის – ესაა მდგომარეობა, როცა არ არის ფიქრი. რაც არ უნდა ღრმა და ფართო შეიძლება იყოს ფიქრი, ის მაინც ვინრო და ბედაპირული იქნება. ფიქრის დასრულება ნიშნავს ამ არსის დანყებას. ფიქრის დასრულება არის უარყოფა, და უარყოფითს არ გააჩნია პოზიტიური გზა; არ არის არც მეთოდი და არც სისტემა ფიქრის დასრულებისთვის.

მეთოდი და სისტემა პოზიტიური მიდგომაა უარყოფასთან და ამიგომ ფიქრი ვერასოდეს იპოვის საკუთარ არსს. ფიქრი უნდა შეჩერდეს, რათა არსმა დაიკავოს ადგილი. არსი ყოფიერების – არა-ყოფიერებაა, და რომ „დაინახო“ სიღრმე არა-ყოფიერების, საჭიროა თავისუფლება გახდომისგან. არ არის თავისუფლება თუ არის გაგრძელება; ის რაც გრძელდება დროის ფარგლებშია. ყოველი განცდა, ფიქრს დროსთან აჯაჭვავს, გონება, რომელიც არის არ-განცდის მდგომარეობაში, მთელს არსს აცნობიერებს. ეს ის მდგომარეობაა, სადაც ყოველგვარი განცდა დასრულდა, არა ცვინის პარალიზება; პირიქით, ეს არის გონების დანამატი, გონება რომელიც აგროვებს იშლება. მოგროვება მექანიკურია, გამეორებაა, უარის თქმა შეიძენაზე, და უბრალოდ არ შეიძენა, ორივე გამეორებაა, იმიტაცია. გონება, რომელიც სრულიად ანგრევს ამ მოგროვებისა და თავდაცვის მექანიზმს, თავისუფალია, ამიგომაც განცდა კარგავს თავის მნიშვნელობას.

არის მარტო ფაქტი, არ განცდა ფაქტის, აზრი ფაქტზე, მისი შეფასება, სილამაზე ან არასილამაზე ფაქტის განცდას ნიშნავს. განიცადო ფაქტი, ნიშნავს უარყო იგი, გაიქცე მისგან. ფიქრისა და გრძნობის გარეშე ფაქტის განცდა – საოცრად ღრმა მოვლენაა.

ღღეს ღილას, გაღვიძებისას, ეს უცნაური მდუმარება სხეულისა და გვინის, აქ იყო; და ამასთან ერთად მოვიდა ინტენსივობის უსასრულო სიღრმეებში შესასვლელი მოძრაობა და უდიდესი ნეგარება, ის სხვაც აქ იყო.

პროცესი რბილად მიდის.

21 აგვისტო

ისევე ნათელი, მზიანი ღღე იყო, გრძელი ჩრდილებითა და კაშკაშა ფოთლებით; მთები მშვიდი, მყარი და ახლობელი იყო, ცა საოცრად ლურჯი, სუფთა და მსუბუქი. დედამიწას ჩრდილები ავსებდა; ეს იყო ჩრდილების დილა, პატარა და დიდი, გრძელი და ვიწრო, მსუქანი და კმაყოფილი ჩრდილების, მყუდროდ განოლილი და მხიარული, როგორც ელფები. კოტეჯებისა და ფერმის სახურავები, ძველი თუ ახალი, როგორც პრიალა მარმარილო, ისე ბრწყინავდა. თითქოს ხეებსა და მდელოებს შორის დიდი მხიარულება და შეძახილები იყო, ისინი ერთმანეთისთვის არსებობდნენ და მათ თავზე ზეცა იყო, არა ადამიანის მიერ შექმნილი, თავისი ტანჯვითა და იმედებით. ეს იყო სიცოცხლე, უზარმაზარი, მბრწყინავი და რიგმული, გადაჭიმული ყველა მიმართულებით. ეს იყო ცხოვრება, მუდამ ახალგაზრდა და მუდამ სახითათო; ცხოვრება რომელიც არასოდეს დგას, რომელიც მთელს სამყაროში დაეხეცება, ინდეფერენტული,

არასოდეს გოვებს კვალს, არასოდეს არათერს ითხოვს და არათერი ჭირდება. ის აქ იყო სიუხვით, ჩრდილისა და სიკვდილის გარეშე; მას არ აღარდებდა საიდან მოდიოდა და საით მიდიოდა. სადაც ის იყო, ცხოვრებაც იქ იყო, ცხოვრება ღროისა და თიქრის მიღმა. ეს იყო საოცარი რამ, თავისუფალი, ნათელი და უსასრულო. და ის არ არსებობდა იმისათვის რომ ჩაეკეტათ, სადაც ის ჩაეკეტეს – თავყანისცემის ადგილებში, ბაზრის მოედნებსა თუ სახლებში – იქ იყო, დაცემა და ლპობა თავისი მუდმივი რეფორმებით. ეს იყო უბრალო, დიდებული, გამანადგურებელი და მისი შშენიერება, თიქრისა და გრძნობის მიღმა იყო. ის ისეთი დიდი და შეუდარებელია, რომ ავსებს დედამინას, ზეცას, და ბალახის ღეროს, რომელიც სწრაფად ნადგურდება. ის აქ არის სიყვარულითა და სიკვდილით.

ტყეში ციოდა ხმაურიანი დინების გამო, რომელიც რამდენიმე ფუტის მანძილზე იყო. ცაში აცყორცნილი თიჭვები, რომლებიც არასოდეს იხრებიან, რათა დედამინას შეხედონ, ეს დიდებული იყო, შავი ციყვები ხის სოკოს ჭამდნენ და ხეებზე ზევით-ქვევით ერთმანეთს დასდევდნენ. აქ იყო მეფოლია, ან რაღაც მისი მსგავსი, და ისიც ზევით ქვევით დახტოდა. ციოდა და სიჩუმე იყო, თუ არ ჩავთვლით დინებას, თავისი ცივი მთის წყლით. და აქ იყო ეს სიყვარული, შემოქმედება და განადგურება, არა როგორც სიმბოლო, არა თიქრისა და გრძნობაში, არამედ როგორც აბსოლუტური რეალობა. ამას ვერ დაინახავდი, ვერ იგრძნობდი, მაგრამ ის აქ იყო, საოცრად დიდი, ისეთი ძლიერი როგორც ათი ათასი, ყველაზე მოწყვლადი ძალით. ის აქ იყო, და ყველაფერი დამშვიდდა, სხეულიც და ტვინიც. ეს იყო კურთხევა და გონებაც იქ იყო.

სიღრმეს დასასრული არა აქვს; ამის არსი – დროისა და სივრცის მიღმაა. ამას ვერ განიცდი. განცდა ეს ისეთი უგემოვნობაა, ის ადვილად მოდის და ადვილად მიდის; თქვენი ვერ აანეცხებს მას და გრძნობა ვერასოდეს მივა მასთან. ისინი ისეთი სულელური და უმნიშვნელოა. ზრდასრულობა ეს არ არის დროისა და ასაკის საქმე, და არც გავლენებისა და გარემოების შედეგად მოდის. მას ვერ იყიდი, ვერც წიგნები, ვერც მასწავლებლები და ვერც მხსნელი – ერთი ან მრავალი – ვერ შექმნის ზრდასრულობის ატმოსფეროს.

ზრდასრულობა ეს თავისთავად მიზანი არ არის; ის მოდის თქვენი გარეშე, თქვენი, რომელიც მის კულტივირებას ახდენს, შეუმჩნევლად, მედიტაციის გარეშე, გაუაზრებლად. ზრდასრულობა აუცილებელია, ესაა მომნიშვნელო ცხოვრებაში, არა ისეთი სიმნიშვნელო, რომელიც ავადმყოფობასა და უბედურებაში იბადება, მწუხარებასა და იმედში. მწუხარება და შრომა ვერ მოიგანს სრულ სიმნიშვნელო, თუმცა ის აქ უნდა იყოს, დაუბაგიყებელი.

მხოლოდ სრულ ზრდასრულობაში არის სიმკაცრე, ასპექტიზმი. სიმკაცრე არა ფერფლის და ჭვალის, არამედ ყოველგვარი წინასწარგანზრახვისა და წინასწარმოთქმების გარეშე მოსული გულგრილობა ქვეყნიერების მიმართ, მისი სათნოებების, მისი ღმერთების, მისი რესპექტუალობის, მისი იმედებისა და ფასეულობების მიმართ. ისინი სრულიად უნდა უარყო იმ სიმკაცრისთვის, რაც მარტობაში მოდის. ამ განმარტობაზე, კულტურა და საზოგადოება, ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს. მაგრამ ის უნდა იყოს, გამონვეული არა ტვინის ფოკუსებით, რაც დროისა და გავლენების პირშია. ის უნდა მოვიდეს როგორც გრგვინვა, არსაიდან. მის გარეშე არ არსებობს სრული ზრდასრულობა. მარტობა – არსი საკუთარი თავის სიბრაღულის, თავდაცვის, იზოლაციაში, მითებსა და

იდევში ცხოვრების, ძალიან შორსაა განმარტობისგან; იქ არის მუდმივი მცდელობა ინტეგრაციის და მაინც სულ დაყოფაა. განმარტობა – ცხოვრებაა, სადაც ყველა გავლენა დასრულებულია. სწორედ ეს განმარტობაა არსი სიმკაცრის (ასკეტიზმის).

მაგრამ, ეს ასკეტიზმი მაშინ მოდის, როდესაც გონება სუფთაა, და არ არის დაზიანებული ფსიქოლოგიური ჭრილობებით, რასაც შიში მოაქვს. ნებისმიერი ფორმის კონფლიქტი, გვინის სენსიტიურობას ანადგურებს; ამბიციია, თავისი დაუნდობლობით, თავისი დაუღალავი მცდელობით რალაც გახდეს, ასუსტებს გვინის ნატიფ შესაძლებლობებს; სიხარბე და შური ამძიმებს გვინს კმაყოფილებით და მოაქვს უკმაყოფილება. საჭიროა სიფხიზლე არჩევანის გარეშე, გაცნობიერება, რომელშიც ყოველგვარი მიღება და კორექტირება შეწყვეტილია. ზედმეტი ჭამა და ნებისმიერი გადაჭარბება სხეულს აღუნებს და გვინს აჩლუნგებს.

გზის ნაპირზე ყვავილია, სუფთა, ნათელი, გახსნილი ცისკენ; მზე, წვიმა, ღამის სიბნელე, ქარი, ქუხილი და ნიადაგი ამ ყვავილის შექმნაში მონაწილეობდნენ, მაგრამ ყვავილი არ არის არცერთი მათგანი. ამაშია ყველა ყვავილის არსი. თავისუფლებას ავტორიტეტებისგან, შურისგან, შიშისგან, და მარტობისგან არ მოაქვს ეს განმარტობა, თავისი საოცარი სიმკაცრით. ეს განმარტობა მაშინ მოდის, როცა გვინი მას არ ეძებს; ის მაშინ მოდის, როდესაც ზურგით დგახართ მისგან. მაშინ მას ვერაფერს დაუმაგებთ და ვერაფერს წაართმევთ. მაშინ მას თავისი საკუთარი ცხოვრება აქვს, მოძრაობა, რაც არის არსი მთელი ცხოვრების, დროისა და სივრცის გარეშე.

პროცესი მშვიდად მიდის.

22 აბჰისსო

მათვრე ღრუბლებში იყო გახვეული, თუმცა მთები და მუქი გორაკები ნათლად მოჩანდა და მათ ირგვლივ დიდებული სიხუმე იდგა. დიდი ვარსკვლავი პირდაპირ ცეცხლი ვორაკის თავზე ეკიდა და ერთადერთი ხმა, რაც შორიდან აღწევდა, იყო მთის ღინები ხმა, რომელიც კლდეებზე გადმოდიოდა. შორეული სოფლის გარდა ყველაფერს ეძინა, თუმცა, მისი ხმა ასე ძალდა ვერ აღწევდა. ძალე ღინების ხმაც გაქრა; ის აქ იყო, მაგრამ არ ავსებდა ხეობას. ქარი არ იყო, ხეები უძრავად იდგნენ; ფერმკრთალი მთვარის შუქი მიმოთანგული სახლების სახურავებს ანათებდა და ყველაფერი მშვიდად იყო, თვით მკრთალი ჩრდილებიც.

ჰაერში აუტანელი უსაზღვრობის გრძობა იყო, ინტენსიური და დაჟინებული. ეს არ იყო წარმოსახვის ახირება; როდესაც რეალობა თანგაზი ჩერდება. წარმოსახვა სახითათა, მასში არ არის სინამდვილე, ეს მხოლოდ ფაქტია. თანგაზი და წარმოსახვა სასიამოვნო და მაცდუნებელია, ისინი სრულიად უნდა გაქრნენ. აუცილებელია გავება ნებისმიერი მითის, თანგაზისა და წარმოსახვის და თავად გავება გახდის მათ უმნიშვნელოსა და უაზროს. ის აქ იყო, და ის, რაც იწყებოდა როგორც მედიტაცია, დასრულდა. რა აზრი აქვს მედიტაციას თუ აქ – რეალობა! მედიტაციას არ შეუქმნია ეს რეალობა, არაფერს არ შეუძლია მისი შექმნა; მიუხედავად მედიტაციისა ის აქ იყო, მაგრამ ის, რაც აუცილებელია მისთვის, ესაა სენსიტიური, ფიზიკური ცვინი, რომელმაც სრულად, ნებაყოფლობით და ადვილად შეწყვიტა მთელი ლაყობა გონიერულობა არა-გონიერულობაზე. ის გახდა ძალიან მშვიდი, ის ხედავდა და ესმოდა, ინტერპრეტაციის გარეშე, კლასიფიკაციის გარეშე. ის მშვიდი იყო, და არაინ და არაფერი არ იყო საჭირო მის დასამშვიდებლად. ცვინი ძალიან

მშვიდი და ძალიან ცოცხალი იყო. ეს უსაზღვრობა ღამეს ავსებდა, და აქ იყო ნეგარება.

მას არავითარი კავშირი არ აქვს არათერთან, ის არ ცდილობს ფორმის შექმნას, შეცვლას, მტკიცებას; მას არ აქვს გავლენა და ამიგომაც ის უღმობელია. ის კარგ საქმეებს არ აკეთებს, არც უკეთესი ხდება და არც იცვლება, ის არ ხდება რესპექტაბელური და ამიგომ უაღრესად დამანგრეველია. მაგრამ ეს იყო სიყვარული, არა ის სიყვარული რომლის კულტივირებასაც საზოგადოება ახდენს, ეს მტანჯველი რამაა. ეს იყო ცხოვრების მოძრაობის არსი. ის აქ არის, შეურიგებელი, დამანგრეველი, ისეთი სინაზით, რაც მხოლოდ ახალმა იცის, როგორც გაბათხულის ნორჩი ფოთოლი, ის მოგიყვებათ ამაზე. აქ იყო უსაზღვრო სიძლიერე და ისეთი ძალა, რასაც მხოლოდ შემოქმედება ფლობს. ყველაფერი მშვიდად იყო. ის ერთადერთი ვარსკვლავი, რომელიც გორაკის თავზე ეკიდა, ძალიან მაღლა იყო და თავის მარტობაში ანათებდა.

ღილით, ცყეში, ნაკადულის თავზე სეირნობისას, როდესაც მზე ყველა ხეს დაჰნათოდა, ის კვლავ მოვიდა, ეს უსაზღვრობა, ისე მოულოდნელად, ისე ჩუმად, დავდიოდი მასში, გაოგნებული. ერთი ფოთოლი რიგმულად ცეკვავდა, დანარჩენი, მრავალი ფოთოლი კი მშვიდად იყო. ის აქ იყო, ეს სიყვარული, რომელსაც არათერი საერთო არა აქვს ადამიანური ჰორიზონტის ლტოლვასა და ზომასთან. ის აქ იყო, და თიქრს მისი გავდება შეეძლო, გრძნობას კი მისი მოშორება. ის აქ იყო, რომ არასოდეს დანებებოდა და არასოდეს ყოფილიყო დაჭერილი.

სიტყვა „გრძნობას“ შეცდომაში შევყავართ, ეს უფრო მეტია ვიდრე ემოცია, ვიდრე სენტიმენტები, ვიდრე გამოცდილება, ვიდრე შეხება ან ყნოსვა. მიუხედავად იმისა, რომ, ეს სიტყვა ტენდენციურია, იძულებული

ვართ გამოვიყენოთ, რათა გადმოვცეთ რამე, განსაკუთრებით თუ ვსაუბრობთ რაიმეს არსზე. არსი იგრძნობა არა ცვინით, ან რაიმე ფანტაზიით, მისი განცდა ისე, როგორც განიცდება შოკი, შეუძლებელია და რაც მთავარი ეს არ არის სიტყვა. თქვენ არ შეგიძლიათ ამის განცდა, განცდას ჭირდება განმცდელი, დამკვირვებელი. განცდა განმცდელის გარეშე სრულიად სხვაა. სწორედ იმ „მდგომარეობაში“ სადაც არც განმცდელია და არც დამკვირვებელი, ასეთი „გრძნობა“. ეს არ არის ინტუიცია, რომელსაც დამკვირვებელი ინტერპრეტაციას უკეთებს ან მიყვება, ბრმად თუ შეგნებულად. ეს არ არის სურვილი, მისწრაფება გრანსფორმირებული ინტუიციად ან „ხმა ღვთისა“, პოლიტიკოსებისგან თუ რელიგიური ლიდერებისგან გაღვიძებული. ეს გრძნობა, ეს ხედვა, ეს სმენა რომ გაიგო, აუცილებელია ამ ყველაფერიდან წასვლა და თან ძალიან შორს. იმისათვის რომ „იგრძნო“, აუცილებელია მკაცრი სიცხადე, რომელშიც არ არის დაბნეულობა და კონფლიქტი. როდესაც არის სიმარტივე, რომელიც გაძლევს საშუალებას მიჰყვე ბოლომდე, ყოველგვარი გადახრის, მწუხარების, შურის, შიშის, ამბიციის და ასეთი რამეების გარეშე, მოდის არსი „გრძნობის“. ეს სიმარტივე ინტელექტის შესაძლებლობების მიღმაა, ინტელექტი ფრაგმენტულია. მიჰყვე ასე ბოლომდე, სწორედ ესაა სიმარტივის უმაღლესი ფორმა – და არა ლაგაკის განსაცემელი ან დღეში ერთხელ კვება. „გრძნობა“ არსის, ნიშნავს ფიქრისა და მისი მექანიკური შესაძლებლობების, ცოდნისა და განსჯის უარყოფას. განსჯა და ცოდნა აუცილებელია მექანიკური პრობლემების გადასაჭრელად, და ფიქრისა და გრძნობის მთელი პრობლემები სულ მექანიკურია. არსისკენ სვლაში, აუცილებელია სწორედ მესხიერების მექანიზმის უარყოფა, რადგანაც ფიქრი მისი რეაქციაა. დაანგრიე, რომ მიაღწიო ბოლომდე; საუბარია არა გარეგნულ ნგრევაზე, არამედ ფსიქოლოგიურ თავშესაფარსა და წინააღმდეგობაზე, ღმერთებსა და მათ

ფარულ სამყოფელზე. ამის გარეშე არ არსებობს მოგზაურობა სიღრმეებში, რისი არსიც სიყვარული, შემოქმედება და სიკვდილია.

დღეს დილას გაღვიძებისას სხეული და ტვინი უმოძრაოდ იყო, რადგანაც აქ იყო ის ძალა და ძლევამოსილება, რაც არის კურთხევა.

პროცესი მსუბუქად მიდის.

23 აბჰისსო

დილის ცაზე, რომელიც თერმკრთალი, წყნარი და ღროისმიღმიერი იყო, რამდენიმე ღრუბელი დაეხეცებოდა. მზე ელოდებოდა როდის დასრულდებოდა დილის აღმატებულება. მდელოები ნამით იყო დაფარული, ჩრდილები არ იყო და ხეები მარტო იდგნენ, მათ მოლოდინში. ძალიან ადრე იყო, და დინებაც კი გაუბედავი იყო თავის ბობოქარ სირბილში. სიჩუმე იყო, ქარს ჯერ კიდევ ეძინა და ფოთლებიც მშვიდად იყვნენ. არც ერთი სახლიდან კვამლი არ ამოდიოდა, თუმცა სახურავები უკვე ლაპლაპებდნენ დილის სინათლეზე. ვარსკვლავები უხალისოდ უთმობდნენ განთიადს, და იყო, ის, სპეციფიკურად ჩუმი მოლოდინი მზის ამოსვლის. გორაკები ელოდნენ, ელოდნენ ხეები და მდელოებიც გახსნილი თავის მხიარულებაში. შემდეგ მზე მსუბუქი, ნაზი შეხებით მთის მწვერვალებს შეეხო და თოვლმა დილის მზის სინათლეზე კაშკაში დაიწყო. ფოთლებმა გრძელი ღამის შემდეგ შრიალი დაიწყეს, ერთი სახლიდან კვამლი ამოვარდა და დინებამაც თავისი ჩვეული ხმაური გააგრძელა. ნელა, გაუბედავად, დელიკატური სიმორცხვით გრძელი ჩრდილები განვინენ მინაზე, მთებმა საკუთარი ჩრდილი გორაკებს მისცეს, გორაკებმა მდელოებს, ხოლო ხეები ჯერ კიდევ ელოდნენ საკუთარ ჩრდილს, და მალე

ისიც მოვიდა, ნათელი და ღრმა, მსუბუქი, როგორც ფრთები და მძიმე ფიჭვები ცვეკვავდნენ. დღე დაიწყო.

მედიტაცია ეს ისეთი ყურადღებაა, სადაც ყველაფერი ცნობიერდება, არჩევანის გარეშე, ყველაფრის მოძრაობა, ყვალების ჩხავილი, ელექტროხერხი რომელიც ხეს ბურღავს, ფოთლების შრიალი, ღინების ხმაური, ბიჭის ხმა, გრძნობა, მოტივი, ფიქრები, რომლებიც ერთმანეთს მოსდევენ და ღრმად მიდიან, მთელი ცნობიერების შეცნობა. ამ ყურადღებაში, დრო, როგორ გუშინ, რომელიც მიიღგვის ხვალის სივრცეში, და გაღლოვანი და მბრუნავი ცნობიერება ხდება მშვიდი და უძრავი. ამ სიმშვიდეში არსებობს განუზომელი, შეუდარებელი მოძრაობა, მოძრაობა რომელსაც არა აქვს ყოფიერება, რაც არის არსი ნეგარების, სიცოცხლისა და სიკვდილის. მოძრაობა რომელსაც ვერ მიყვები, რადგანაც კვალს არ გოვებს, და თან მშვიდია, უძრავი, ის არსია – ყველა მოძრაობის.

გზა დასვლეთით, წვიმით გააქვნილი მდელოების გასწვრივ მიდიოდა, დახრილ გორაკებზე შეფენილ პატარა სოფლების სიახლოვეს, თოვლიანი მთის სუფთა ღინებას კვეთდა და სპილენძის სამრეკლოიან ეკლესიის გავლით შორს მიდიოდა, მუქ, დაბურულ ღრუბლებსა და წვიმაში, მთებში რომ იყო მოქცეული. აინჟლავდა, ნელა მოძრავი ავტომობილის ფანჯრის უკანა მინიდან, საიდანაც მოვედით იმ მხარეს, მზით განათებული ღრუბლები, ლურჯი ცა და ნათელი, მკათიო მთები მოჩანდა. ინსტიქტურად, ისე რომ არაფერი გვითქვამს, მანქანა გავაჩერეთ, მოვაბრუნეთ და მთებისა და სინათლის მხარეს წავედით. წარმოუდგენელი სილამაზე იყო, და როდესაც გზამ გაშლილ ხეობაში შეუხვია, გული გაჩერდა. ის, ისეთი ჩუმი და ღია იყო, როგორც ეს გაშლილი ხეობა, ის სრულიად შოკისმომგვრელი იყო. ამ ხეობით რამოდენიმეჯერ ვიმგზავრეთ და გორაკების მოხაზულობა,

მდელი და კოტეკები ნაცნობი იყო, და ნაცნობი დინების ხმაც ადგილზე იყო. ყველაფერი აქ იყო, გვინის გარდა, თუმცა მანქანა მას მიყავდა. ყველაფერი ისეთი ინტენსიური გახდა, ეს იყო სიკვდილი. იმიტომ არა, რომ გვინი მშვიდი იყო, ან მიწა და ღრუბლებზე არსებული სინათლე ასეთი ლამაზი, არც მთების უძრავი ღირსების გამო, ამაში არ იყო საქმე, თუმცა ეს ყველაფერი რაღაცას ამატებდა. ეს იყო პირდაპირ სიკვდილი, ყველაფერი უცებ დასრულდა, გაგრძელება აღარ არსებობდა, გვინი მართავდა სხეულს და მანქანას, მეტი არაფერი. გადაუჭარბებლად არაფერი. რაღაც დროის განმავლობაში მანქანა მიდიოდა და მერე გაჩერდა. აქ იყო სიკვდილი და სიცოცხლე, ისე ახლობელი, ინტიმური, განუყოფლად შეერთებულნი, – და არც ერთი მათგანი არ იყო მნიშვნელოვანი. ხდებოდა რაღაც შოკისმომგვრელი.

ეს არ იყო ტყუილი ან ფანტაზია, ამ ტიპის სულელური გადახრებისთვის, ეს ძალიან სერიოზული იყო, ეს არ იყო სათამაშო. სიკვდილი, ეს არ არის ჩვეულებრივი რამ, ის არ წავა, და მასთან კამათი შეუძლებელია. შეგიძლიათ მთელი ცხოვრება იკამათოთ სიცოცხლესთან, მაგრამ სიკვდილთან ეს გამორიცხულია. სიკვდილი საბოლოო და აბსოლუტურია. ეს არ იყო სხეულის სიკვდილი, რაც საკმაოდ ჩვეულებრივი და უბრალო მოვლენა იქნებოდა. იცხოვრო სიკვდილთან ერთად, ეს სრულიად სხვა რამეა. იყო სიცოცხლე, და იყო სიკვდილი და ისინი უმონწყალოდ ერთნი იყვნენ. ეს არ იყო ფსიქოლოგიური სიკვდილი, არც შოკი, ყველა გრძნობისა და ფიქრის განმდევნელი, ეს არ იყო გვინის მოულოდნელი გადახრა ან გონებრივი ავადმყოფობა. ეს არ იყო იმედგაცრუებული და გადაღლილი გვინის უცნაური გადანყვეტილება, ეს არც სიკვდილის გაუცნობიერებელი სურვილი იყო, არაფერი ამდაგვარი არ იყო. ეს ყველაფერი ძალიან არასერიოზულია და შესაბამისად

ადვილად ხელშესაწყობი. ეს იყო რაღაც სხვა განზომილების, ეს იყო რაღაც ისეთი, რაც არ ექვემდებარება ღრთის სივრცეში აღწერას.

ის აქ იყო, თვით არსი სიკვდილის. არსი მისი არის სიკვდილი, ისევე როგორც თვით სიცოცხლის არსიც ეს სიკვდილია. თუქტიურად ეს განუყოფელია – სიკვდილი და სიცოცხლე. და ეს არ იყო ტვინისაგან მოთქმებული, მისი კომფორტისა და იდეური უსაფრთხოების მიზნით. თავად პროცესი სიკვდილის არის პროცესი სიცოცხლის და სიკვდილის პროცესი სიცოცხლის პროცესია. ამ ავტომობილში, მთელი თავისი მშვენიერებითა და ყვაულებით, ამ „ექსტაზის“ გრძნობით, სიკვდილი სიყვარულის ნაწილი იყო, ის ყველაფრის ნაწილი იყო. სიკვდილი არ იყო სიმბოლო, იდეა, რაღაც ისეთი რაც იცით. ის აქ ნამდვილად იყო, როგორც თუქტი, ისეთივე ინტენსიური, მომთხონი, როგორც მანქანის სიგნალი, რომელსაც გავლა უნდა. და როგორც ცხოვრება არასოდეს გაუა და მას ვერც გვერდზე ვერ გადადებ, ასევე სიკვდილიც ამიერიდან არასოდეს წავა, მას ვეღარ განევ გვერდზე. ის აქ იყო საოცარი ინტენსივობითა და დასრულებით.

მთელი ღამე სიკვდილით ვცხოვრობდი, სიკვდილმა, როგორც ჩანს ტვინი და მისი ჩვეულებრივი ქმედებები დაიპყრო; ტვინში არც ისე ბევრი მოძრაობა დარჩა, მაგრამ მათ მიმართ ჩვეულებრივი გულგრილობა იყო, გულგრილობა ადრეც ქონდა, მაგრამ ესლა ყველაფრის მიღმა გავიდა, რისი აღწერაც შეიძლება. ყველაფერი უფრო ინტენსიური გახდა-სიცოცხლეს და სიკვდილიც.

სიკვდილი აქ გაღვიძებისასაც იყო, წუხილის გარეშე, მაგრამ სიცოცხლესთან ერთად. ეს იყო საოცარი დილა. ის კურთხევაც აქ იყო, მთებისა და ხეების მშვენიერება რომ იძლევა.

24 აზვისსო

დღე იყო თბილი, უამრავი ჩრდილით. კლდეები სუფთა ნათებით ბრწყინავდნენ. მუქი ფიჭვები სრულიად უმოძრაოდ მოჩანდნენ, ვერხვებისგან განსხვავებით, რომლებიც უძვირესი ნიავის დაბერვაზეც კი თრთიან. დასავლეთიდან ძლიერი ქარი უბერავდა, მთელს ხეობას ატანდა. კლდეები იმდენად ცოცხალი იყო, თითქოს ღრუბლებს მისდევდნენ, ღრუბლები კი კლდეებს ეჭიდებოდნენ, და მის ფორმასა და მოხაზულობას იძენდნენ. ისინი მის ირგვლივ მიცურავდნენ და რთული იყო ღრუბლებისა და კლდეების გარჩევა. ხეებიც ღრუბლებთან ერთად მიცურავდნენ. თითქოს მთელი ხეობა მოძრაობდა; პატარა, ვიწრო ბილიკებიც, რომლებიც ტყეში და მის იქით მიდიოდნენ, თითქოს ამ მოძრაობას ექვემდებარებოდნენ და გაცოცხლდნენ. ცქრიალა მღვლო მორცხვი ყვავილების სამყოფელი იყო. მაგრამ ამ დილას კლდეები მართავდნენ ხეობას, მათ იმდენი ფერები ქონდათ რომ ფერის გარდა არაფერი იყო. ეს კლდეები, ამ დილას, ძალიან ნაზი და მრავალფეროვანი თავისი ფორმითა და ზომით. და ისეთი გულგრილი ყველაფერის მიმართ: ქარის, წვიმის თუ ადამიანური მოთხოვნილებების აფეთქების მიმართ. ისინი აქ იყვნენ და აპირებდნენ სულ აქ ყოფილიყვნენ.

ბრწყინვალე დილა იყო, ყველგან მზე, ყოველი ფოთოლი თრთოდა, კარგი დილა იყო მოგზაურობისთვის, არა ხანგრძლივი, მაგრამ საკმარისი სამყაროს მშვენიერების სანახავად. ეს იყო დილა, რომელიც სიკვდილმა განაახლა, სიკვდილი არა ხრწნილების, ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის, არამედ სიკვდილი რომელიც ანადგურებს, რათა ადგილი შემოქმედებამ დაიკავოს. არ არის შემოქმედება, თუ სიკვდილი ყველაფერს არ განადგურებს, რაც ტვინმა, თავისი ეგოცენტრული არსებობის

დასაცავად შექმნა. ადრე, სიკვდილი გაგრძელების ახალი ფორმა იყო, სიკვდილი ასოცირდებოდა გაგრძელებასთან. სიკვდილთან ერთად ახალი არსებობა მოდიოდა, ახალი განცდა, ახალი სუნთქვა და ახალი ცხოვრება. ძველი სრულდებოდა, და ახალი იბადებოდა, და ეს ახალი, შემდეგ ადგილს სხვა ახალს უთმობდა. სიკვდილი იყო საშუალება ახალი მდგომარეობის, ახალი გამოგონების, სიცოცხლის ახალი შესაძლებლობის, ახალი აზრის. ის ამინებდა ცვლილებას, მაგრამ თვით ცვლილებას ახალი იმედები მოჰქონდა.

მაგრამ ახლა, სიკვდილს არათფერი ახალი არ მოჰქონდა, ახალი ჰორიზონტი, ახალი სუნთქვა. ეს არი სიკვდილი აბსოლუტური და საბოლოო. და მაშასადამე არათფერი არ არის, არც წარსული და არც მომავალი. არავითარი დაბადება, არათფრის. მაგრამ ეს არ იყო სასონარკვეთა, ან ძიება; აბსოლუტური სიკვდილი დროის გარეშე; ხედვა ისეთი დიდი სიღრმეებიდან, რომელიც აქ არ არის. სიკვდილი ძველისა და ახლის გარეშე. სიკვდილი სიცილისა და ტირილის გარეშე. ეს არ არის ნილაბი, რომელიც რაღაც რეალობას თარავს და მალავს. რეალობა – ეს სიკვდილია, და არ არის საჭიროება რაიმეს დაფარვის. სიკვდილმა ყველაფერი ნაშალა და არათფერი დატოვა. ეს არათფერი, არის ფოთლების ცეკვა, ბავშვის ყვირილი. ეს არათფერი უნდა იყოს კიდევ არათფერი. ის რაც გრძელდება, წარმავალია, მექანიზმი, ჩვევა, ამბიციური მისწრაფებები. არსებობს ხრწნადლობა, მაგრამ არა სიკვდილში. სიკვდილი აბსოლუტური არყოფნაა. და ის აქ უნდა იყოს, რადგანაც ცხოვრებაც და სიყვარულიც მისგანაა. და ამ არყოფნაშია შემოქმედება. აბსოლუტური სიკვდილის გარეშე არ არსებობს შემოქმედება.

რაღაცას ვკითხულობდით, შემთხვევით და თან სამყაროს მდგომარეობას ვაკვირდებოდით, როდესაც უცებ, მოულოდნელად ოთახი იმ კურთხევით აივსო, რომელიც ასე ხშირად მოდიოდა უკვე. პატარა ოთახის კარი ღია იყო, და ის- ის იყო ჭამას ვაპირებდით, როდესაც ის, ამ ღია კარიდან მოვიდა. პირდაპირ ფიზიკურად შეიძლებოდა ამის გრძნობა, როგორც ტალღის, რომელიც ოთახში მოედინება. მან ყველაფერი გააჩერა, „უფრო“ და „უფრო“ ინტენსიური, სიგყვა, „უფრო“ აქ არ გამოიყენება შედარებით ხარისხში; ეს „რაღაც“ წარმოუდგენლად ძლიერია, უძრავი, უზარმაზარი ძალის მფლობელი. სიგყვა, არ არის რეალობა, და ნამდვილი ცხოვრება სიგყვებით არ გადმოიციემა. ის უნდა დაინახო და მოისმინო, მასთან ერთად უნდა იცხოვრო. მაშინ მას სრულიად სხვა მნიშვნელობა აქვს.

ბოლო დღეებში პროცესი მძაფრია, და არ არის აუცილებელი ყოველ დღე მასზე წერა.

(მეტი პროცესზე აღარ საუბრობს, მაგრამ სავარაუდოდ ის გრძელდებოდა)

25 აგვისტო

ძალიან ადრე იყო, გათენებამდე ერთი ან ორი საათი რჩებოდა. ორიონი იმ პიკის მწვერვალს აღწევდა რაც ხვეული და ცყიანი ბორცვების მიღმაა. ცაზე ღრუბელი არ იყო, მაგრამ ნისლის დადგომა ჰაერში იგრძნობოდა. წყნარი საათი იყო, ღინებასაც კი ეძინა; ბორცვები მთაფრის სუსტ შუქზე მუქად მოჩანდა, ისინი მკაფიოდ იხატებოდნენ მკრთალი ცის ფონზე. ქარი არ იყო, ხეები მშვიდად იყვნენ, ვარსკვლავები ციმციმებდნენ.

მედიტაცია არ არის ძიება, არ იძებნება, არ არის პროცესი ცდისა და გამოკვლევის. მედიტაცია აფეთქება და აღმოჩენაა. ეს არ არის ტვინის მოთვნიერება, რათა ტვინი რამესთან შესაბამისობაში მოვიდეს, და არც ინტროსპექტიული თვითანალიზია. ეს უდავოდ არც კონცენტრაციის ტრენინგია, რომელიც მოიცავს, ირჩევს და უარყოფს. ეს არის რაღაც, რაც ბუნებრივად მოდის, როდესაც ყველა ნეგატიური თუ პოზიტიური მტკიცება და მიღწევა გაგებული და თავიდან მოშორებულია. ეს ტვინის სრული სიცარიელეა, ზუსტად სიცარიელე არსის და არა ის, რაც სიცარიელეშია. ხედვა შესაძლებელია მხოლოდ სიცარიელიდან; ყოველგვარი სათნოება, არა საზოგადოებრივი მორალი და რესპექტაბელურობა, მისგან მოდის. სიყვარულიც ამ სიცარიელიდან მოდის, სხვა შემთხვევაში ის არ არის სიყვარული. სამართლიანობის საფუძველიც ამ სიცარიელეშია. ესაა ყველაფრის დასაწყისი და დასასრული.

ფანჯრიდან ყურებისას, როგორც ორიონი აღიოდა მაღლა და მაღლა, ტვინიც ისე ინტენსიურად ცოცხალი და მგრძობიარე ხდებოდა, მედიტაცია რაღაც სრულიად სხვა გახდა, ისეთი, რასთან გამკლავებაც ტვინს არ შეეძლო, ამიტომ უკან დაიხია და დაწყნარდა. თითქოს საათებს, გათენებამდე და გათენების მერე, დასაწყისი არ ქონდათ და როდესაც მზე მთის წვერზე გამოჩნდა და ღრუბლებმა მისი პირველი სხივები დაიჭირეს, განსაცვიფრებელი დიდებულება იყო. დღე დაიწყო, მედიტაცია უცნაურად გრძელდებოდა.

26 აბზისსო

მშენიერი დილა იყო, სავსე მზის სხივებითა და ჩრდილებით; სასტუმროსთან ახლოს მდებარე ბალი ფერებით იყო სავსე, ყველა ფერი ისეთი მკვეთრი იყო, ბალახი ისეთი მწვანე, რომ მკვიფნული იყო გულისა და თვალისათვის. ამ ყველაფრის მიღმა, დილის ნამით დაფარული მთები, სიშკარითა და სინაბით ბრწყინავდნენ. ეს იყო მომაჯადოვებელი დილა, ყველგან სილამაზე იყო; დინების ვინრო ხიდზე, ტყეში მიმავალ ბილიკზე, სადაც მზის სხივები ფოთლებს ეთამაშებოდნენ, ისინი თრთოდნენ და მათი ჩრდილები მოძრაობდნენ, ეს ჩვეულებრივი მცენარეები იყო, მაგრამ თავისი სიმწვანითა და სინაბით აღემატებოდნენ ყველა ხეს, ცისკენ აზიდულს. მხოლოდ გაოგნება შეიძლებოდა აღტაცებისგან, ექსტრავაგანტულობისგან, თრთოლვისგან. შეუძლებელია არ გაოცებულიყავი ყოველი ხისა და მცენარის ღირსეული სიმშვიდით, და შავი ციყვების უსასრულო მხიარულებით, გრძელი და ფაფუკი კუდები რომ ჰქონდათ. წყლების ნაკადი გამჭირვალე იყო და ბრწყინავდნენ მზებზე, რომელიც ფოთლებში აღწევდა. ტყეში ნესტი სასიამოვნო იყო. როდესაც ვიდექი და მოცეკვავე ფოთლებს ვუყურებდი, უეცრად ის სხვა, დროისმიღმიერი მოვიდა და მასთან ერთად მოვიდა სიჩუმეც. ეს იყო სიჩუმე, სადაც ყველაფერი მოძრაობდა, ცეკვაავდა და ყვიროდა, არა ის სიჩუმე, რომელიც მაშინ მოდის, როდესაც მანქანა მუშაობას წყვეტს, მექანიკური სიჩუმე ერთია და სიჩუმე სიცარიელეში სრულიად სხვაა. ერთია განმეორებადი, ჩვევებით სავსე, გარყვნილი, სადაც კონფლიქტური და გადაღლილი ტვინი თავშესაფარს ეძებს; მეორეა ფეთქებადი, რომელიც არასოდესა იგივე, მას ვერ მოძებნი, ვერ გაიმეორებს, ამიტომ ის არასოდეს გთავაზობთ რაიმე თავშესაფარს. ასეთი სიჩუმე მოვიდა და სანამ მივდიოდით აქ იყო, ტყის სილამაზე იზრდებოდა, ფერები ფოთლებსა და ყვავილებში ფეთქდებოდნენ.

ეს არც ისე ძველი ეკლესია იყო, დაახლოებით მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისის, ყოველ შემთხვევაში ასე ეწერა თაღზე, თალი განაახლეს, ის ღია ფერის ფიჭვისგან იყო, და სპილენძის ლურსმნები მასზე ისე ბრწყინავდა თითქოს გაპრიალებული იყო, რაც, რა თქმა უნდა შეუძლებელია. დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ ხალხს, ვინც აქ მუსიკის მოსასმენად იკრიბებოდა, არასოდეს შეუხედავს ამ ლურსმნებისთვის, მთელს ჭერზე რომ ბრწყინავდა. ეს არ იყო მართლმადიდებლური ეკლესია, აქ არ იყო არც საკმეველის სუნი, სანთლები ან ხატები. ის აქ იყო, და მზე თანჯრიდან აღწევდა. აქ ბევრი ბავშვი იყო, როგორც ჩანს, აკრძალული ქონდათ საუბარი და თამაში, თუმცა ეს არ უშლიდათ ხელს ყოფილიყვნენ მოუსვენრად, საშინლად სადღესასწაულოდ გამოიყურებოდნენ, თუმცა მათი თვალები მზად იყო სიცილისთვის. ერთერთს თამაში მოუნდა და ახლოს მოვიდა, თუმცა ძალიან მორცხვი იყო, იმისათვის, უფრო ახლოს რომ მოსულიყო. კონცერტისთვის, რომელიც ამ საღამოს უნდა ყოფილიყო, რეპეტიციას გადიოდნენ, და ყველა იყო საბეიმო მოვალეობის გრძნობითა და ინტერესით. გარეთ ბალახი მკაფიო იყო, ნათელი, ლურჯი ცა და აურაცხელი ჩრდილები.

რატომ ეს მუდმივი სწრაფვა სრულყოფილებისკენ, მიაღწიო სრულყოფილებას, როგორც სრულყოფილი მანქანები, მექანიზმი? იდეა, მაგალითი, სრულყოფილების სიმბოლო, რაღაც საოცარი, გამაკეთილშობილებელია, მაგრამ ასეა კი ეს? რა თქმა უნდა ესაა მცდელობა მიბაძო სრულყოფილს, სრულყოფილ მაგალითის. მიბაძვა – სრულყოფილება? არსებობს კი სრულყოფილება, თუ ეს მხოლოდ იდეაა, რომელიც მხოლოდ მქადაგებლებმა მიანოდეს ადამიანებს, რათა თავად რესპექტაბელური ყოფილიყვნენ. სრულყოფილების იდეაში არც ისე ცოცხა კომფორტი და უსაფრთხოება, ის ყოველთვის მომგებიანია,

როგორც მღვდლისთვის, ისე იმისთვის, ვინც ცდილობს გახდეს სრულყოფილი. მექანიკური ჩვევა, რომელსაც მუდამ იმეორებ და იმეორებ, შესაძლებელია დაიხვეწოს დროთა განმავლობაში, იფიქრო ერთი და იგივე, ვნამდეს ერთი და იგივე, გადახვევის გარეშე, კვლავ და კვლავ, ხდება მექანიკური ჩვევა, და შეიძლება ესაა ის სრულყოფილება, რაც ყველას უნდა. ეს ქმნის და ავითარებს წინააღმდეგობის სრულყოფილ კედელს, რომელის ხელს შეუშლის ნებისმიერ შეწუხებასა და დისკომფორტს. ამასთანავე, სრულყოფილება, ესაა წარმატების სახელგანთქმული ფორმა, ამბიცია კურთხეულია რესპექტაბელურობით, წარმატებული წარმომადგენლებითა და გმირებით. არ არსებობს არავითარი სრულყოფილება, ეს სიმახინჯეა, გარდა მანქანების სრულყოფილებისა. მცდელობა გახდე სრულყოფილი, იგივეა, რაც, რეკორდი დაამყარო გოლფში. შეჭბრი წმინდაა. შეჭბრს, მეზობელთან და ღმერთთან, სრულყოფილებისთვის, ეძახიან ძმობასა და სიყვარულს. თუმცა ყოველ მცდელობას, სრულყოფილი გახდე, უფრო მეტ ქაოსსა და მწუხარებაში შეყავხარ, რაც, უფრო მეტ სტიმულს გაძლევს, სრულყოფილებისთვის.

საოცარია, მუდამ სრულყოფილება გვინდა რაიმეში ან რაიმესთან ერთად. ეს იძლევა მიღწევის საშუალებას და მიღწევის სიამოვნება რა თქმა უნდა ამაოებაა. სიამაყე, ნებისმიერი ფორმით ამაზრზენია და უბედურებისკენ მიყავხარ. სრულყოფილების სურვილი, შინაგანი თუ გარეგანი, გამოირიცხავს სიყვარულს, და სიყვარულის გარეშე, რასაც არ უნდა აკეთებდე, ყოველთვის იქნება იმედგაცრუება და ტკივილი. სიყვარული არც სრულყოფილია და არც არასრულყოფილი; როდესაც არ არის სიყვარული, მაშინ ჩნდება სრულყოფილება და არასრულყოფილება. სიყვარული არასოდეს არათურისკენ არ ისწრაფვის, ის არ სრულყოფს საკუთარ თავს. სიყვარული არის ცეცხლი კვამლის გარეშე. ხოლო,

მისწრაფება სრულყოფილებისკენ, უფრო მეტი კვალია; მაშასადამე, სრულყოფილება მდგომარეობს, მხოლოდ მექანიკურ სწრაფვაში, და სურვილი, იყო უფრო და უფრო სრულყოფილი ჩვევებსა და იმიტაციაში, წარმოშობს მეტ შიშს. ყველას ასწავლიან შეჯიბრს, „წარმატების მიღწევას, როდესაც მიზანი ყველაზე მნიშვნელოვანი ხდება, მაშინ სიყვარული, რაიმესი, თავისთავად ქრება. მაშინ ინსტრუმენტს იყენებენ არა თავად ხმის სიყვარულის გამო, არამედ იმისათვის, რაც ინსტრუმენტს შეუძლია მოიგანოს, დიდება, ფული, პრესტიჟი და ა. შ.

უსასრულო ყოფიერება გაცილებით მნიშვნელოვანია ვიდრე გახდომა. ყოფიერება გახდომის საპირისპირო ფორმა არ არის, თუ ეს საპირისპირო ან სანინააღმდეგოა, მაშინ უკვე ყოფიერება აღარაა. როდესაც რაიმედ გახდომის სურვილი სრულიად ქრება, მაშინ ადვილს ყოფიერება იკავებს. მაგრამ ეს ყოფიერება არ არის სტატიკური, ის არც მიღებაა და არც უარყოფა, გახდომა თავის თავში გულისხმობს, დროს და სივრცეს. ყოველგვარი სწრაფვა უნდა შეჩერდეს, მხოლოდ მაშინ იქნება ყოფიერება. ყოფიერება, ეს საზოგადოებრივი მორალისა და სათნოების სივრცეში არ არის. ის ამსხვრევს ცხოვრების სოციალურ ფორმულას. ეს ყოფიერებაა თავად ცხოვრება და არა ნიმუში ცხოვრების. სადაც არის ცხოვრება, იქ არაა სრულყოფილება, სრულყოფილება ეს იდეაა, სიტყვა. ცხოვრება და ყოფიერება ყოველგვარი აზრობრივი ფორმულის მიღმაა. ეს ყოფიერება მაშინაა, როცა სიტყვა, მაგალითი და შაბლონი დანგრეულია.

ის აქ იყო, ეს კურთხევა, საათობით, თავისი გაელვებით. დილით, გაღვიძებისას, მზის ამოსვლამდე დიდი ხნით ადრე, როდესაც მთვარის დაბნელება იყო, ის აქ იყო, ისეთი ძალითა და ღონით, რომ რამდენიმე

საათის განმავლობაში ძილი შეუძლებელი იყო. მასში არაჩვეულებრივი სისუფთავე და უმანკობაა.

27 აზვისსმო

ერთი ღინება უერთდებოდა მეორეს და ხეობაში ხმაურით მიიკლავნებოდა, და ეს ხმაური არასოდეს იყო ერთნაირი. მას მუდამ თავისი ხასიათი ქონდა, თუმცა არასოდეს იყო არასასიამოვნო ან მონყენილი. პაგარა ნაკადულებს უფრო მკვეთრი ხმა ქონდათ, იქ მეტი იყო ლოდები და ქვები, მათ მშვიდი გუბე ქონდათ ჩრდილში, დათარული მოცეკვავე ჩრდილებით და ღამღამობით სრულიად განსხვავებულ ხმებს გამოსცემდნენ, მსუბუქს, ნაზსა და გაუბედავს. ისინი მოედინებოდნენ სხვადასხვა ხეობიდან და სხვადასხვა წყაროებიდან, ზოგი ახლოდან, ზოგი უფრო შორიდან, ერთი ყინულიდან და ხმაურიანი ჩანჩქერიდან, მეორის სათავე კი როგორც ჩანს ძალიან შორს იყო, ისე შორს, რომ, სეირნობით იქამდე ვერ მიაღწევდი. ორივე ნაკადული დიდ ღინებაში ხვდებოდა, რომელსაც წყნარი და მშვიდი ტონი ქონდა, საოცრად დიდი, ფართო და ჩქარი იყო. სამივეს ხაზივით მიყვებოდნენ ხეები და მათ გრძელი, ხვეული ხაზი, აჩვენებდა თუ საიდან და საით მიდიოდნენ ეს ნაკადები. ისინი იყვნენ ხეობის ბაგონ-პაგრონები და სხვა ყველა უცხო იყო აქ, ხეების ჩათვლით. საათობით შეიძლებოდა მათი ყურება და მათი უსასრულო რაკრაკის სმენა; ძალიან მხიარულები და გართობის მოყვარულები იყვნენ, თვით დიდი ღინებაც კი, თუმცა ის მაინც გარკვეულ ღირსებას ინარჩუნებდა. ისინი მთას ეკუთვნოდნენ, თავბრუდამხვევ სიმაღლეზე, ზეცასთან ახლოს, და ამიგომ იყვნენ ასეთი სუფთა და ასეთი კეთილშობილნი. ისინი არ იყვნენ სნობები, თუმცა მაინც საკუთარ გზაზე რჩებოდნენ, და იყვნენ უფრო შორეული და

გრილი. და ღამის სიბნელეში, როცა მათ ნაკლებად უსმენდა ვინმე, ისინი თავის სიმღერას მღეროდნენ. ეს იყო სიმღერა ბევრი სიმღერის.

როდესაც ხიდი გადავკვეთე, მაღლა, მზი სხივებით დანინწკლულ ცეცხლში, მედიტაცია რაღაც სრულიად სხვა იყო. ყოველგვარი სურვილისა და ძიების გარეშე, ტვინის ყოველგვარი გართულების გარეშე, თავისთავადი სიჩუმე იყო, პატარა ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, ციყვები ხეებზე დახტოდნენ, ქარი ფოთლებს ეთამაშებოდა, და სიჩუმე იდგა. შორიდან მომავალი ნაკადული ისეთ მხიარული იყო, როგორც არასოდეს. და მაინც სიჩუმე იყო, არა გარეგანი, არამედ ღრმა, შინაგანი. მთელს გონებაში სრული სიჩუმე იყო და მას არ ქონდა საზღვრები. ეს სიჩუმე არ იყო რაღაც შემოღობილის ფარგლებში, არეალის ფარგლებში, ლიმიტირებული ფიქრის საზღვრებში, რომელიც ნაცნობია და აღიარებული როგორც სიჩუმე. არ იყო არც საზღვრები, არც საზომი, და ეს მდუმარება არ იყო გამოცდილების ფარგლებში, რომ გეცნო და სადმე შეგენახა. ის აღარასოდეს მოვიდოდა ხელახლა, და თუ ეს მოხდებოდა, ის სრულიად სხვა იქნებოდა. მდუმარება ვერ განმეორდება; მხოლოდ ტვინს შეუძლია მესხიერების დახმარებით იმის განმეორება, რაც იყო, და ის რაც იყო, არ არის რეალობა. მედიტაცია, ღრთისა და სივრცის მიერ შექმნილი ცნობიერების სრული არარსებობა იყო. ფიქრს, რომელიც ცნობიერების არსია, არ შეუძლია, გამოიწვიოს და შექმნას ეს სიჩუმე. ტვინი, მთელი თავისი ვერაგული და გართულებული ქმედებებით, ნებაყოფლობით უნდა დამშვიდდეს, ყოველგვარი ჭილდოსა და უსათრთხოების მოლოდინის გარეშე. მხოლოდ მაშინ იქნება ის სენსიტიტური, ცოცხალი და მშვიდი. ტვინი, რომელსაც ესმის თავისი ფარული თუ ღია მოქმედებები, მედიტაციის ნაწილია. ეს მედიტაციის საფუძველია, ამის გარეშე მედიტაცია მხოლოდ საკუთარი თავის

მოცუებაა, აბსოლუტურად უმნიშვნელო. შემოქმედება რომ აფეთქდეს, ამისათვის აუცილებელია მდუმარება.

ზრდასრულობა(სიმწიფე) არც ღროისაა და არც ასაკის. არ არსებობს ინტერვალი ახალსა და ზრდასრულობას შორის; არ არსებობს არავითარი „ღროთა განმავლობაში“; ზრდასრულობა ეს ის მდგომარეობაა, როდესაც ყოველგვარი არჩევანი შეჩერებულია. მხოლოდ უმწიფრობა ირჩევს და იცნობს არჩევანის კონფლიქტს. ზრდასრულობაში არ არის მიმართულება, დირექტივები, არსებობს ისეთი მიმართულება, სადაც არ არის არჩევანი. კონფლიქტი ნებისმიერ ღონესა და ნებისმიერ სიღრმეზე უმწიფრობის მაჩვენებელია. არ არსებობს ისეთი რამ, რასაც ქვია ზრდასრულობის მიღწევა, გარდა აუცილებელი ორგანული ან მექანიკური სიმწიფისა. გაგება, რომელიც კონფლიქტის საზღვრების მიღმა გაგიყვანს, თავისი ურთულესი ნაირსახეობებით, არის ზრდასრულობა. აუცილებელია შინაგანი თუ გარეგანი კონფლიქტის გაგება, მთელი თავისი სირთულითა და დახვეწილობით. კონფლიქტი, იმედგაცრუება, რაიმეს შესრულება, ერთიანი მოძრაობაა, შინაგანი და გარეგანი. ზღვის ნაკადი, რომელიც ნაპირზე გადმოდის და მერე უკან ბრუნდება ერთიანი მოძრაობაა, და მას ქვია ტალღა, და იქ არ არსებობს არც გარეთ და არც შიგნით. ნებისმიერი ფორმის კონფლიქტი გაგებული უნდა იქნას არა ინტელექტუალურად, არამედ რეალურად, და რეალობა მოდის კონფლიქტთან ემოციურ კონტაქტში. ემოციური კონტაქტი, შოკი, შეუძლებელია მაშინ, როდესაც ის ინტელექტუალურად, ვერბალურად, როგორც აუცილებლობა ისეა მიღებული, ან უარყოფილია სენტიმენტალურად. მიღება ან უარყოფა ფაქტს ვერ შეცვლის და ვერც მსჯელობა ვერ მიიყვანს მას საჭირო ქმედებამდე. მხოლოდ ფაქტის „დანახვა“ მოიგანს შედეგს, მაგრამ დანახვა ყოველგვარი განსჯის, გამართლებისა და იდენტიფიკაციის გარეშე. დანახვა

მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გვინი არ მონანილეობს აქტიურად, არამედ მხოლოდ აკვირდება, თავს იკავებს კლასიფიკაციისგან, განსჯისა და შეფასებისგან. კონფლიქტი გარდაუვალია, თუ არსებობს სწრაფვა სურვილის შესრულებისკენ, თავის გარდაუვალი იმედგაცრუებით, თუ ამბიციური სწრაფვაა, თავისი დახვეწილი და უღმობელი კონკურენციით, და შური ამ უწყვეტი კონფლიქტის ნაწილი, გახდეს, მიაღწიოს, იყო წარმატებული.

არ არსებობს გაგება დროში. გაგება არ მოდის ხვალ, ის არასოდეს მოვა ხვალ; ის ან ახლაა ან არასოდეს. „დანახვა“ არის მომენტალური, როდესაც გვინიდან ხდება „დანახვის“ მნიშვნელობის გაგება, ის იშლება, და მაშინვე აღვიღს იკავებს რეალური „დანახვა“. ეს უფრო აფეთქებაა, ვიდრე განსჯა, გამოთვლა. უფრო ხშირად „დანახვას“ ხელს უშლის შიში. შიში, თავისი თავდაცვითა და გამბედაობით, კონფლიქტის სათავეა. დანახვა უნდა არა მარტო გვინით, არამედ მის მიღმა. თუქტის დანახვას, თავისი ქმედება მოაქვს, სრულიად განსხვავებული იდეისა და ფიქრის ქმედებისგან; მოქმედება რომელიც გამომდინარეობს ფიქრიდან, იდეიდან, ბაღებს კონფლიქტს; ასეთი ქმედება ფორმულასთან მიახლოება ან შედარებაა და ამას მოაქვს კონფლიქტი. ფიქრის არეალში არ არსებობს დიდი ან მცირე კონფლიქტის დასასრული, კონფლიქტის არსი არის არა-კონფლიქტი და ეს არის ზრდასრულობა.

დილით ძალიან ადრე, გაღვიძებისას, ეს არაჩვეულებრივი კურთხევა იყო მედიტაცია, და მედიტაცია იყო ეს კურთხევა. მშვიდობიან ცეცხლში სეირნობისას, ის აქ უზარმაზარი ინტენსივობით იყო.

სარჩევი

შესავალი.....	1
ნაწილი პირველი.....	4
ნაწილი მეორე.....	23
ნაწილი მესამე.....	25